



საქართველოს ბიბლიოთეკა



სურამის ბიბლიოთეკა - 125

N 2 (83) 2021

D. K. Shalvashvili

გორა, მთაწილის რაიონი, სურამის მუნიციპალიტეტი, სურამის ქ. მ. მიხაილოვის ქ.



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი: **მაია მიქაბერიძე**

საკატიო რედაქტორი: **ალექსანდრე ლორია**

სარედაქციო კოლეგია: **გულნარა სტურუა
რუსუდან ასათიანი
დალი მაჩაიძე
გიორგი ჩუბინიძე
მირიან ხოსიტაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: **ლოლა სანაია**

დიზაინი: **გიგი გელაშვილი**

დაკაბადონება: **მაკა ნათაძე**

საქართველოს ბიბლიოთეკა №2 (83) – 2021; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

გარეკანზე ფოტო:
ავტორი:

ძველი სურამის ხედი
ღიმიტრი ერმაკოვი

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



www.fb.com/magazineLibraryofGeorgia



რუსუდან ასათიანი

პრეზიდენტის მიმართვა

3

მაია მიქაბერიძე

რედაქტორისაგან

4

ღირსეული ჯილდო:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა

5

საბიბლიოთეკო კვირეული - 2021

რუსუდან ასათიანი

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული 2021: „ბიბლიოთეკა ყველგან, სადაც ხარ“

7

ნანა ლურსმანაშვილი

„ანა გოგოს ზღაპრები“ - პრეზენტაცია ხარაგაულის ბიბლიოთეკაში

9

ჩემი ისტორია

მაია მიქაბერიძე

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: პირველი გამოცემები

11

ნინო ხვედელიძე

იოჰან მენტელინი და მისი ბიბლია

16

ქაჩაყაი უყოფაქა

ალექსანდრე ლორია

ქართული კულტურისა და სულიერების უძველესი ძეგლი - გარეჯი!

18

საქართველოს ბიბლიოთეკები: რაისობის ისტორია და ელექტრონული

იონანე ბატონიშვილის „სჯულდებიდან“

22

მაკა დიდებულიძე

სურამის ბიბლიოთეკა 125 წლისაა

23

ლელია მარგველაშვილი

სურამის ბიბლიოთეკა დღეს

27

ბესო ბაჯელიძე

ვაზისა და ღვინის დარბაზი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

30

ჩუკურაძის, მიმსილოვა, შაბუტაძის

გულნარა სტურუა

ეს, დიდი მწერალი - გურამ გეგეშიძე...

32

მარიამ მარჯანიშვილი

„მე კვლავ იქა ვარ, სადაც არის ჩემი წარსული“

37

ნინო დოფიძე

რევან ინანიშვილის მოთხრობების ახალი გამოცემების შესახებ

40

გოჩა კობერიძე

ახალი ჟურნალი ბუნების შესახებ

42

საქართველოს საზოგადოებრივი

დავით გურგენიძე

ჭადრაკის მსოფლიო დედოფლები

43

ფაქტები მუხრანის საზოგადოებრივი

მაია შონია

ფოტოისტორია, რომელიც ქობლიანიძეების კოლექციამ შემოგვინახა

46

საქართველოს ისტორია

გვანცა ბურდული

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი)

50

სტუდენტები

დავით გიგინეიშვილი

ფილმი, რომელიც დღევანდელობას ეხმაურება

57

სტუდენტები

ემზარ ჯგერენია

ლეილა ზამბახიძე (1928-2021)

59

უკიდურბიძეები

მოდრობა „ეკვილიბრიუმის“ ქრონიკა

60

საქართველოს სსრ-ის ისტორია: მკვლევარი, ფაქტები

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა: ქრონიკა

62



რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

მოგეხსენებათ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია მისი დაარსების დღიდან ყოველწლიურად, 23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ატარებს საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულს, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ყველა ბიბლიოთეკა. ეს კვირეული საბიბლიოთეკო ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, მის ფარგლებში ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, აღმოვაჩინოთ ჩვენი მიღწევები, გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება და ერთად დავსახოთ გეგმები. ყოველი კვირეულის ფარგლებში იზრდება ბიბლიოთეკების ცნობადობა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

წელს კვირეული უჩვეულო ფორმატში ჩატარდა. რადგან მსოფლიო პანდემიის გამო საზოგადოებრივი თავშეყრა შეზღუდულია, ხოლო საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულზე დამსწრეთა მსურველი კი საკმაოდ ბევრი, გადავწყვიტეთ, ბიბლიოთეკებისთვის მნიშვნელოვანი თარიღები დისტანციურად აღგვენიშნა. Zoom-ის მეშვეობით გავმართეთ რამდენიმე საინტერესო ღონისძიება, მოვიწვიეთ საბიბლიოთეკო სფეროს წამყვანი სპეციალისტები. მიუხედავად ონლაინ ფორმატისა, თითოეულ ღონისძიებას ესწრებოდა ასზე მეტი მსმენელი და საგულისხმოა ისიც, რომ ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს არა მხოლოდ საბიბლიოთე-

ძვირფასე მკითხველო!

კო სფეროს წარმომადგენლებმა, არამედ სხვადასხვა პროფესიის დაინტერესებულმა პირებმა, რაც, ვფიქრობ, კვირეულის ელექტრონულ ფორმატში ჩატარებამ განაპირობა.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ შეაფერხა მუშაობა ყველა მიმართულებით როგორც საქართველოში, ასევე, მთელ მსოფლიოში, საგანმანათლებლო სფეროში და მათ შორის ბიბლიოთეკებშიც მოხდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებებიც. საზოგადოების შეკრების აკრძალვამ გამოიწვია ელექტრონული რესურსების, ელექტრონული მომსახურებისა და დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების განვითარება და ბიბლიოთეკარებმა შეიძინეს ახალი ელექტრონული უნარ-ჩვევები, რაც ძალიან გამოადგება ჩვენს სფეროს მომავალში.

მე ვისურვებდი, რომ მომავალ წელს ბიბლიოთეკების კვირეული ჩატარდეს ჩვეულ ფორმატში, ყველას შეგვეძლოს შევხვდეთ ერთმანეთს პირისპირ, ყველას გვენატრება ის დრო, როდესაც შეგვეძლო ერთმანეთთან ახლოს ყოფნა. თუმცა, ვფიქრობ, რომ გარკვეული ღონისძიებები კვლავ ჩატარდება ონლაინ ფორმატში, ვინაიდან ელექტრონულ კომუნიკაციას არ გააჩნია საზღვრები, შესაბამისად, პანდემიის მძიმე პერიოდში მიღებული გამოცდილება შეგვიძლია პოზიტიურად გამოვიყენოთ ჩვენს სამომავლო საქმიანობაში.

წინამდებარე ნომერში თქვენ იხილავთ სტატიებს საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის შესახებ, საზგასმულია ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის საიუბილეო წელი და მათი განსაკუთრებული წვლილი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ვისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და წარმატებებს.

**მაია მიჯაბერიძე**

რია. აქ ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა, კოლეგების გამოცდილებების გაცნობა და საკუთარი წარმატებების გაზიარება. ხშირ შემთხვევაში კი, ეს ყველაფერი ახალ იდეათა აღმოცენების საფუძველს ქმნის.

პანდემიამდე, როგორც წესი, დასკვნითი ღონისძიებები ტარდებოდა ხოლმე ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში. წელს კი, გასაგები მიზეზების გამო, პროფესიული თავყრილობის ორგანიზება ვერ განხორციელდა. თუმცა კოლეგების წინაშე საკუთარი პროფესიული და შემოქმედებითი მიღწევების წარმოჩენა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების წყალობით მეტნაკლებად მაინც მოხერხდა. ონლაინ შეხვედრებმა დაგვანახა, რომ, მიუხედავად დაბრკოლებებისა, საბიბლიოთეკო ცხოვრება არ გაჩერებულა და ჩვენი კოლეგების პროფესიონალიზმისა და ენთუზიაზმის წყალობით ბიბლიოთეკები მაინც აგრძელებენ საზოგადოებისათვის ასე აუცილებელ საქმიანობას. მიგვაჩნია, რომ საქართველოს თითოეული ბიბლიოთეკის შრომა, არა მხოლოდ კვირეულის ფარგლებში, არამედ მთელი წლის განმავლობაში, სათანადოდ უნდა გაშუქდეს.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა თავის ფურცლებზე როგორც საბიბლიოთეკო კვირეულის მიმდინარეობას, ასევე მასში მონაწილე ბიბლიოთეკების საქმიანობას. ამჯერადაც გვსურს, ჩვენს მკითხველს გავაცნოთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული ღონის-

ხუაქქოხილავან!

ძიებები. რათა საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ერთიანი სურათი გვეჩვენდეს, აუცილებელია თქვენი, ბიბლიოთეკარების ჩართვა ამ პროცესში. თითოეული ინფორმაცია, ვრცელი წერილი იქნება თუ მოკლე ცნობა, მნიშვნელოვანია საერთო საქმისთვის.

წელს, ასევე ვაგრძელებთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბიბლიოთეკების ისტორიის შესახებ მასალების გამოქვეყნებას. ჟურნალის წინამდებარე ნომერში მკითხველი გაეცნობა სურამის ბიბლიოთეკის დაარსებისა და განვითარების რთულ გზას, მის დღევანდელობას. ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია სიამოვნებით ულოცავს ამ პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე ბიბლიოთეკას 125 წლის იუბილეს და უსურვებს მკითხველთა სიმრავლესა და მძლავრ ფინანსურ სტიმულს.

და ბოლოს, განსაკუთრებულად გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი საამაყო მოჭადრაკე ქალბატონების - ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე. ჭადრაკში ხუთ-ხუთჯერ მსოფლიო ჩემპიონობა და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო საჭადრაკო ელიტაში პირველობა მხოლოდ სპორტული მიღწევა არ არის. ეს მთელი ერის სიამაყის მტკიცე საფუძველია, შელახული თავმოყვარეობის ტკბილი სალბუნია და ძლიერი იარაღია იმ ნიჭილიზმის დასანგრევად, რომლის დანერგვასაც ჩვენს ცნობიერებაში დღემდე ცდილობს „მოდმე“ მტერი.

წელს ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის საიუბილეო წელია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია ვულოცავთ ძვირფას ქალბატონებს იუბილესა და ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობასა და კიდევ მრავალ წარმატებას ცხოვრების ნებისმიერ სარბიელზე.

ღირსეული ჯილდო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა



საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი **ლევან თაქთაქიშვილი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთო-სახელმწიფოებრივი მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ბიბლიოთეკა, სხვა საკითხებთან ერთად, აქტიურად მუშაობს საზღვარგარეთ გაფანტული ჩვენი კულტურის ძეგლების მოპოვებისა და გადარჩენისათვის. წარმატებებს ამ საქმიანობაში, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარული.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი სწორედ ასეთი საქმისადმი თავდადებული ადამიანის განსახიერებაა. მისი აქტიური მონაწილეობით ან უშუალო ხელმძღვანელობით ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის რეორგანიზაცია, დაინერგა მრავალი სიახლე, რომლებიც უკავშირდება და-

კომპლექტების, ფონდების ორგანიზების, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენახვის, ელექტრონული კატალოგების წარმოების, ციფრული ბიბლიოთეკის შექმნისა და სხვა საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევან თაქთაქიშვილის ძალისხმევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ემიგრანტული არქივების მოძიებასა და საქართველოში დაბრუნების საქმეში.

სასიხარულოა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობასა და მიღწევებს დადებითად აფასებს როგორც საზოგადოება, ასევე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება.

27 თებერვალს ორბელიანების სასახლეში ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ლევან თაქთაქიშვილს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის ღირსების ორდენი გადასცა.





საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ლევან თაქთაქიშვილს ქვეყნის წინაშე განუღებელი ღვაწლისათვის. მისი თქმით, „ის, რომ დღეს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ყველასთვის ხელმისაწვდომია ქართული ემიგრაციის შემოქმედება - ლიტერატურა, ფოტომასალა და ისტორია, რომლის დაბრუნებაც ძალიან ხანგრძლივი და რთული საქმე იყო, სწორედ ლევან თაქთაქიშვილის დამსახურებაა და ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ.

ემიგრაციაში წასვლა არდათმობის ნიშანი და სიმბოლო იყო საბჭოთა ოკუპაციის წინაშე. ის, რომ საქართველოში ისტორიული დოკუმენტაცია დაბრუნდა სწორედ იმის ნიშანია, რომ ჩვენ არ ვეგუებით, არ ვეპუებით ოკუპაციას და არ ვთმობთ არაფერს. ამის ნაწილია ლევან თაქთაქიშვილი, რაც ძალიან დიდი პატრიოტული საქმეა.

მე ძალიან მიხარია, რომ თქვენი შვილები დღეს აქ არიან და ამას ისმენენ. უნდა ვიცოდეთ, რომ პატრიოტიზმი ზოგჯერ ეს არის ჩუმი, დაუღალავი საქმის გაკეთება და მისი ბოლომდე მიყვანა. ამისთვის მე მინდა, მთელი ემიგრაციის სახელით დიდი მადლობა მოგახსენოთ და როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გითხრათ, რომ ძალიან მაღლიერი და ამაყი ვარ, რომ საქართველოში ასეთი ადამიანები არსებობენ და ყოველთვის იარსებებენ!“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ლევან თაქთაქიშვილის იმ უპირველესი ოცნების ასრულება, რა ოცნებითაც იგი ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოვიდა როგორც მკითხველი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის აღდგენა. მისი ხელმძღვანელობით 1998-2002 წლებში აღდგა საზოგადოების კოლექცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, რაფიელ ერისთავის პირადი ბიბლიოთეკების აღდგენასაც, მე-19 საუკუნის თითქმის ყველა საზოგადო მოღვაწის ავტოგრაფიანისა და რედაქტირებული გამოცემების მოძიებას, რომლებიც 1937 წლიდან გაფანტული იყო ეროვნული ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფონდში. ლევან თაქთაქიშვილის წარმატებული მოღვაწეობა ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამსახურებაა ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების ხელმძღვანელის, ფერიდე კვაჭანტირაძისა, რომელმაც იგი ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებში გამოარჩია და თანამშრომლად მიიღო თავის დაქვემდებარებულ განყოფილებაში.

ვულოცავთ ბატონ ლევანს დამსახურებულ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა,
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია,
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

საბიბლიოთეკო კვირეული - 2021



რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

წელს საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული 2021: „ბიბლიოთეკა ყველგან, სადაც ხარ“ უჩვეულო ფორმატში ჩატარდა. ვინაიდან მსოფლიო პანდემიის გამო საზოგადოებრივი თავშეყრა შეზღუდულია, ხოლო საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულზე დამსწრეთა მსურველი კი - საკმაოდ ბევრი, გადავწყვიტეთ, ბიბლიოთეკებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი თარიღები დისტანციურად აღგვენიშნა. კვირეულის გახსნა ტრადიციულად 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღეს გაიმართა, ხოლო კვირეულის დახურვა კი 30 აპრილს, ბიბლიოთეკარის საერთაშორისო დღეს ჩატარდა.

23 აპრილს კვირეული გახსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. ძალიან საინტერესო დისკუსია შედგა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხზე, ბექდური და ელექტრონული წიგნის თანაცხოვრებისა და

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული 2021:

„ბიბლიოთეკა ყველგან, სადაც ხარ“

დაპირისპირების შესახებ. შეხვედრას მოდერაციას უწევდა ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების უფროსი რომან აფაქიძე.

მომდევნო ღონისძიებაზე, რომელიც 26 აპრილს გაიმართა, განიხილებოდა საბიბლიოთეკო მუშაობის პრაქტიკული დეტალები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა თეო ყაველაშვილმა და მისმა მოადგილე გიგა ხოსიტაშვილმა ჩაატარეს ვებინარი ბიბლიოთეკის დისტანციური მუშაობისა და ონლაინ სწავლების ორგანიზების შესახებ. მომხსენებლებმა გაგვიზიარეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდილება პანდემიის პერიოდში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ილიას უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების მოდული ბიბლიოთეკის მიერ დაინერგა.

მოგეხსენებათ, წელს UNESCO-ს მიერ თბილისს მიენიჭა წიგნის დედაქალაქის სტატუსი და საამაყო, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტს სწორედ ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს და ეს სტატუსიც, რომელიც თბილისმა მოიპოვა, ბიბლიოთეკის დამსახურებაა. ამასთან დაკავშირებით, 27 აპრილს ჩვენ მოვიწვიეთ თბილისის მულტიფუნქციური





ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი და აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი ნინო მაჭარაშვილი. მან დეტალურად გაგვაცნო წლის განმავლობაში განსახორცილებელი ღონისძიებები, რომლებიც გაიმართება მსოფლიო წიგნის დედაქალაქის სტატუსის მქონე თბილისში.

29 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა და ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების უფროსმა რომან აფაქიძემ

საქართველოდან მიეცათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ პრეზენტაციები, თუ როგორ მუშაობდა მათი ბიბლიოთეკა პანდემიის დროს, რა სირთულეებს აწყდებოდა და როგორ გაუმკლავდა ამ სირთულეებს. კვირეულის დახურვის მთავარი მომხსენებელი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ციური კოჭლაშვილი, რომელმაც საზოგადოებას წარუდგინა ეროვნული ბიბლიოთეკის დისტანციური მუშაობის დეტალები. კვირეულის დახურვაში მომხსენებლის სტატუსით ასევე მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატალია ჭყონია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი ირმა კვირკვია და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სოფელ ჩოჩხათის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ნათია ღლონტი.

ელექტრონულ ფორმატში საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარება იყო ძალიან საინტერესო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად პრიორიტეტი ენიჭება პირისპირ ჩატარებულ ღონისძიებებს, მიგვაჩნია, რომ მომავალი წლის კვირეულში დავტოვოთ ელექტრონული ვებინარებისა და დისკუსიების ფორმატიც, ვინაიდან ონლაინ ღონისძიებაზე დასწრება შეუძლია დაინტერესებულ პირს როგორც საქართველოს რეგიონებიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.



ისაუბრეს ბიბლიოთეკების წარსულსა და მომავალზე, ხოლო 30 აპრილს, ბიბლიოთეკების კვირეულის დახურვაზე, ბიბლიოთეკებს მთელი





ნანა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხელმძღვანელი

ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ დაქვემდებარებაშია 25 ბიბლიოთეკა, ცენტრალური, საბავშვო, პატარა ხარაგაულის და 22 სასოფლო განყოფილება. სამი სასოფლო ბიბლიოთეკა ჩართულია პროექტში „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. ეს ბიბლიოთეკები გადაიქცა საინფორმაციო ცენტრებად, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია. თანამედროვე ბიბლიოთეკაში კულტურული პროგრამების შემუშავება და განხორციელება წარმატების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. კულტურული პროგრამების განხორციელებით, საჯარო ლექციების ორგანიზებით, წიგნების პრეზენტაციებით, ფილმების ჩვენებით, მწერლებთან და ხელოვანებთან შეხვედრებით და გამოფენებით ბიბლიოთეკა ხელს უწყობს საზოგადოებრივ დიალოგს. დღევანდელ „ონლაინ“ სამყაროში ბიბლიოთეკის სივრცე ისევ რჩება ცოცხალი კომუნიკაციის, საზოგადოებრივი თავშეყრის, კულტურის, ინფორმაციისა და განათლების გავრცელების ადგილად.

„ანა გოგოს ზღაპრების“ პრეზენტაცია ხარაგაულის ბიბლიოთეკაში

ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკებს მოუწიათ ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით მუშაობა. 23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით საქართველოში ბიბლიოთეკების კვირეული გაიმართა. კვირეულის დევიზი იყო „ბიბლიოთეკა ყველგან, სადაც ხარ“. ტრადიციულად მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრში“ შემავალ ბიბლიოთეკებში. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ღონისძიებების უმეტესობა ღია სივრცეებში ჩატარდა.

განსაკუთრებული და საინტერესო იყო პატარა მეზღაპრე 5 წლის ანა ჭუმბურიძის წიგნის „ანა გოგოს ზღაპრების“ პრეზენტაცია, რომელიც საბავშვო განყოფილებაში გაიმართა. პატარა მეზღაპრე ანა ჭუმბურიძე, თავისი ფანტაზიით ქმნის ზღაპრებს, ხოლო მისი ბებო, ყველასათვის ცნობილი ქალბატონი იზა ვეფხვაძე, ზღაპრებს იწერს და კინძავს. ასე შეკინძული ზღაპრები ორენოვანი წიგნის სახით, სახელწოდებით - „ანა გოგოს ზღაპრები“, გამოიცა ქართულ-ინგლისურ ენაზე.





ლონისძიებაში მონაწილეობა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-2 კლასის მოსწავლეებმა მიიღეს. ბავშვებმა წაიკითხეს „ანა გოგოს ზღაპრები“, იმსჯელეს თითოეული ზღაპრის შესახებ, რომლებიც მეგობრობით, სიკეთითა და სიყვარულით მთავრდება.

ანა ასევე წერს ლექსებს, რომელთა ტექსტზეც რამდენიმე სიმღერა შეიქმნა. ანამ ეს სიმღერები ცოცხლად შეასრულა. ლონისძიების დასასრულს პატარა მეზღაპრეს ბიბლიოთეკისგან სამახსოვროდ გადაეცა სიმბოლური საჩუქარი. ანამ კი ლონისძიებაში მონაწილე ბავშვებს წიგნები და საჩუქრები გადასცა. ლონისძიებაში მონაწილე ყველა ბავშვი დაჯილდოვდა სიგელით „ბიბლიოთეკების კვირეულში აქტიური მონაწილეობისათვის“. დიდი მადლობა საბავშვო განყოფილების თანამშრომლებს: მთავარ ბიბლიოთეკარ სოფიო ლაცაბიძეს, ბიბლიოთეკარებს: მაკა ბუაჩიძეს, ლიკა კალანდაძეს და ხატია ტიელიძეს, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს, რათა ასეთი საინტერესო და დაუვიწყარი დღე ეჩუქებინათ პატარებისთვის.

წიგნის ისტორია



მაია მიქაბერიძე

გაზეთ „საქართველოს“ 1921 წლის 23 თებერვლის 42-ე ნომერში რუბრიკით „ქრონიკა“ საზოგადოებას ეუწყა: „კონსტიტუციის მიღება. თებერვლის 21-ს ღამის 10 საათზე და 13 წუთზე დამფუძნებელმა კრებამ, თბილისის მიდამოებში ზარბაზნების გრიალის ქვეშ, საბოლოოდ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

ეს თარიღი, 1921 წლის 21 თებერვალი, ღირსსახსოვარია საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისათვის. როგორც ცნობილია, კონსტიტუცია არა მარტო იურიდიული აქტი, არამედ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური და იდეოლოგიური დოკუმენტიცაა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მრავალი ასპექტით, იმ პერიოდისათვის პროგრესულ დოკუმენტად არის მიჩნეული. მასში გარანტირებული იყო ქალთა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, გაუქმდა სიკვდილით დასჯა და ა.შ.

კონსტიტუცია ეყრდნობა 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პრინციპებს. დამოუკიდებლობის გამო-



საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: პირველი გამოცემები

ცხადებიდან მალევე შედგა საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც გათვალისწინებული იყო მრავალპარტიულობის პრინციპი. დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, 1919 წლის მარტში, შეიქმნა თხუთმეტი წევრისაგან შემდგარი ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მანამდე არსებული კომისიის მასალები გადაიბარა და მუშაობა განაგრძო.


კონსტიტუციის პროექტი ჯერ 1920 წლის მაისში დაიბეჭდა, შემდეგ ივნისში და განსახილველად დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდათ. პროექტის განხილვა დაიწყო იმავე წლის ნოემბერში და მას კრების მრავალი სხდომა მიეძღვნა. საბოლოო დოკუმენტი უნდა მიეღოთ 1921 წლის გაზაფხულზე, მაგრამ წითელი არმიის შემოტევამ პროცესი დააჩქარა და კონსტიტუცია 21 თებერვალს, თბილისში გამართულ საგანგებო სხდომაზე მიიღეს. მისი სტამბურად გამოქვეყნება დედაქალაქში ვეღარ მოეწონებოდა.

ესწრო მტრის მოახლოების გამო. წითელი არმია უკვე 25 თებერვალს შემოვიდა თბილისში. საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ 24 თებერვლის ღამეს დატოვა თბილისი და ჯერ ქუთაისში გადავიდა, 10 მარტიდან ბათუმში, სადაც დარჩა 17 მარტამდე, შემდეგ კი ემიგრაციაში გაემგზავრა. [5]

სწორედ დროის ამ მონაკვეთში უნდა გამოცემულიყო ბათუმში საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც არის ამ დოკუმენტის პირვე-



ლი ნაბეჭდი გამოცემა. გამოცემა 40 გვერდისგან შედგება, ზომა - 19X13 სმ. წიგნს თავფურცელზე გამოცემის ადგილად აწერია: ბათომი, მის ქვეშ - სტამბა ნ.ი. ხვინგიასი, კიდევეფროქვევით - 1921წ.



ნიკო და ნესტორ ხვინგიები

ჟურნალ-გაზეთებსა და საოციალურქსელში კონსტიტუციის ტექსტის დაბეჭდვას ზოგ შემთხვევაში ნიკო ხვინგიას მიაწერენ, ზოგში კი - მის უმცროს ძმას, ნესტორ ხვინგიას, უმეტესად კი არ აკონკრეტებენ მესტამბის სახელს და მხოლოდ ინიციალით მოიხსენებენ (ნ. ხვინგია). გაუგებრობას ქმნის ის, რომ ორივე ძმა პოლიგრაფისტი იყო, ხოლო თვით გამოცემას კანზე აწერია - სტამბა ნ.ი. ხვინგიასი, რომლის ქვეშ ნიკოც შეიძლება მოიპოვებოდეს და ნესტორიც.



ნიკოლოზ (ნიკო) ხვინგია



ნესტორ ხვინგია მეუღლესთან ერთად

ვითარებაში გარკვევის მიზნით მოკლედ შევეხებით სხვადასხვა მოსაზრებებს ამ საკითხზე.

მესტამბე ხვინგიების ოჯახის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ისტორიკოსი გ. ჯავა-

ხიშვილი: „მესტამბე ხვინგიების დინასტია XIX საუკუნის ბოლოს იწყება. პირველი მესტამბე იყო ნიკო იაკობის ძე ხვინგია. იგი დაიბადა 1887 წელს ხონის სოფელ პატარა კუხში. 7 წლის ნიკო მიაბარეს ხონის ოთხკლასიან სასწავლებელში, რომლის გამგეც იყო ალექსანდრე მაჭარაძე. სწორედ ამ პიროვნებას სკოლაშივე ჰქონდა პატარა სტამბა, სადაც ნიკო ხვინგიამ მოწაფე-ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა.“ [6]

ალხანიშნავია, რომ ნიკოსა და ნესტორ ხვინგიას ბიოგრაფიული მონაცემები გ. ჯავახიშვილმა აიღო ხვინგიების მესამე, უმცროსი ძმის, ვლადიმერის „ავტობიოგრაფიული აღწერილობიდან“, რომელიც ამ უკანასკნელს მკვლევარის თხოვნის შემდეგ შეუდგენია. თვით ვლადიმერიც პოლიგრაფისტი გახდა, მაგრამ მისი მოღვაწეობა, მისი ძმებისაგან განსხვავებით, უკვე გასაბჭოების შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

ვლადიმერ ხვინგიას მოგონებების მიხედვით, ნიკო ხვინგია მოგვიანებით უფროსი ასოთამწყობი ხდება. 900-ან წლებში იგი ბათუმში გადადის და ნ. გურსკაიას სტამბაში იწყებს მუშაობას. მალე ნიკო ხვინგია და მისი მეგობარი, ვახტანგ ჩანტლაძე შეთანხმდნენ და ერთობლივად იყიდეს ნ. გურსკაიას სტამბა. 1907 წლიდან, როცა ნიკო ხვინგია უკვე სტამბის მეპატრონეა, იგი იწყებს ქართული წიგნების გამოცემას.

ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში ნიკო ხვინგიას სტამბა სახელმწიფო გაერთიანების ნაწილი გახდა. თუმცა, ყოფილი მესაკუთრე ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებში არ მოყოლილა. ამას, სავარაუდოდ, ორი ძირითადი მიზეზი უნდა ჰქონოდა: ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებასაც სჭირდებოდა პოლიგრაფისტები საკუთარი იდეოლოგიური ლიტერატურის დასაბეჭდად, მეორე მხრივ კი, ნიკო ხვინგია სანდო ადამიანად მიიჩნეოდა. ვლადიმერ ხვინგიას მოგონების მიხედვით, ნიკოს მონაწილეობა მიუღია ბათუმის არალეგალური სტამბის მონყობაში, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები. ამავე მოგონებების მიხედვით, ნიკო იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონია რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლებთან: ალ. წულუკიძესთან, მიხა ცხაკაიასთან, ი. სტალინთან. შესაძლოა, ამ ფაქტორმა ითამაშა დადებითი როლი ნიკოსა და მისი ძმების ბედზე საქართველოს გასაბჭოების შემდგომ. ნიკო ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა აჭარის პოლიგრაფიულ

წარმოების მუშათა კავშირისა და დაინიშნა ჯერ მბეჭდავ-კავშირთა არსებულ შემნახველ-გამსესხებელ სალაროს ხაზინადარად, შემდეგ კი სამანქანო განყოფილების ტექნიკურ ხელმძღვანელად.

ნიკოს ხვინგიას შესახებ მოგონებები აქვს ზ. ჭიჭინაძეს წიგნში „ნიკოლოზ ბესარიონის-ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ. [თბ., 1916]“. იგი წერს: „ნიკო იაკობის ძე ხვინგია. ბათუმის მესტამბე. განუსაზღვრელის სიყვარულით აღზნებული სასტამბო საქმეთა განვითარების ასპარესზე, ამან მისცა დიდი საფუძველი და დახმარება, რომ სპირიდონ ჭელიძემ ბათუმში გაბედა და დღიური ქართული გაზეთის გამოცემა დაიწყო. ნიკო ხშირად სწერდა ამ გაზეთში ცოცხალ წერილებს“.

მოგონების ეს ფრაგმენტი ნათლად გვიხატავს საერთო ქართული საქმისათვის თავდადებული ადამიანის პორტრეტს. ნიკო ხვინგია გარდაიცვალა 1929 წელს.

ნიკო ხვინგიას უმცროსი ძმა, ნესტორი დაიბადა 1888 წელს. ნესტორმა ახალგაზრდობიდანვე შეისწავლა სასტამბო ხელობა. მას ამ საქმეში დახმარებია სიმონ მეზუკე. ნესტორი თავისი ძმის სტამბაში მუშაობდა ჯერ ხონში, მერე ბათუმში. ბათუმში ნესტორ ხვინგია 1900 წლიდან გადადის და მუშაობას იწყებს ნეონილა გურსკაიას სტამბაში, სწორედ იმ სტამბაში, რომელსაც მოგვიანებით მისი ძმა და ვახტანგ ჩანტლაძე შეიძენენ.

ამ ცნობებისაგან განსხვავებული მოსაზრება აქვს გ. სიორიძეს, რომელიც წერს, რომ სტამბა შეიძინა ნესტორ ხვინგიამ [და არა ნიკომ-მ.მ], რომელმაც იგი ტექნიკურად განაახლა და 1910 წლიდან დაიწყო მუშაობა. სტამბაში გამოიცემოდა ქართული და რუსული გაზეთები, ასევე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მხატვრული შინაარსის წიგნები. მაგალითად, ამ სტამბაში დაბეჭდილია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბათუმის კომიტეტის გამოცემა „საქართველოს ავტონომია“ (1917 წ.), აგრეთვე, „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამა“ (1917 წ.). ასევე იბეჭდებოდა ფურცლოვანი გამოცემები: აფიშები, სარეკლამო განცხადებები და სხვ. ნესტორ ხვინგია გარდაიცვალა 1943 წელს. [5]

სტამბის მფლობელად ნესტორ ხვინგია მიაჩნია აგრეთვე ისტორიკოს ოთარ გოგოლიშვილს. მისი თქმით, იმ დროისთვის ბათუმში ათამდე სტამბა ყოფილა. ხვინგიების სტამბა დღევანდელი კოსტავას 13 ნომერში მდებარეობდა. ის, რომ კონსტიტუციის დასაბეჭდად მაშინდელმა მთავრობამ ნ. ხვინგიას სტამბა შეარჩია, გასაკვირი არ არის. „ცნობილია, რომ ნესტორ ხვინგია დაახლოებული იყო „სოციალ-დემოკრატებთან“, კონკრეტულად კი ისიდორე რამიშვილთან, კარლო ჩხეიძესთან. რომელიმე პარტიის წევრი ოფიციალურად არ ყოფილა.“ - წერს ო. გოგოლიშვილი.[1]

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში დაცულია ნიკოლოზ ხვინგია-სთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის, 1921 წლის ბათუმში ტიპოგრაფიის მფლობელთა ჩამონათვალი, სადაც მისი სახელიც არის ნახსენები (ფონდი რ.8. ანან.1 საქ 44, ფ 30).[7]


ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, კონსტიტუციის დაბეჭდვაში ორივე ძმას მიუძღვის წვლილი. ნიკოს, როგორც სტამბის მეპატრონის, სურვილისა და თანხმობის გარეშე ვერავინ ვერაფერს დაბეჭდავდა, ნესტორმა კი, როგორც ასოთამწყობმა, უშუალოდ იმუშავა კონსტიტუციის ტექსტის აწყობასა და გამოცემაზე. ზოგიერთი ცნობით, ძმებმა ხვინგიებმა კონსტიტუცია უფასოდ დაბეჭდეს, დაახლოებით, 100 ცალი ტირაჟით. [1] ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ დღეს ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ფრანგულ ენაზე

1922 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა კონსტიტუციის ტექსტი - „Constitution De La République de Géorgie“. გამოცემა დაიბეჭდა სტამბაში სახელწოდებით „იუნიონი“ (სენ-ჟაკის ბულვარი, N46). ეს იყო კონსტიტუციის რიგით მეორე გამოცემა. მის ფრანგულ ენაზე დაბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წითელი რუსეთი საქართველოს დაპყრობის შემდეგაც აგრძელებდა



საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას, ოღონდ ამჯერად იდეოლოგიურ ფრონტზე. რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა საერთაშორისო საზოგადოებას არწმუნებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა შეუდგარი სახელმწიფო იყო და ამით ცდილობდა, ერთგვარად გაემართლებინა საკუთარი აგრესიული ქმედებები.



საქართველოს ხელისუფლება, ემიგრაციის პირველივე დღეებიდან ფრანგულ ენაზე ბეჭდავდა დოკუმენტებსა და საინფორმაციო ხასიათის მასალას, რათა უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებას სწორი წარმოდგენა ჰქონოდა არა მარტო 1921 წლის თებერვალში საქართველოში განხორციელებული რუსული ბოლშევიკური აგრესიის შესახებ, არამედ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობაზე, მის ღირებულებებზე, მისწრაფებებზე, კულტურის დონეზე და ა.შ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ფრანგულ ენაზე გამოცემასაც ეს დატვირთვა ჰქონდა.

გამოცემის წინასიტყაობაში მკითხველი ეცნობა გამოქვეყნებული დოკუმენტების რაობასა და იმ ვითარებას, რა დროსაც მოხდა ამ დოკუმენტის მიღება.

კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და კორექტურა ეკუთვნის ვინმე ბორჟოს (სხვა არაფერიცნობილი მისი ვინაობის შესახებ), რომელსაც განუული შრომისთვის მადლიერებით იხსენიებენ ემიგრირებული მთავრობის წევრები. [2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ინგლისურ ენაზე

1953 წელს ინგლისურენოვან ქართულ ემიგრანტულ ჟურნალში „თავისუფალი საქართველოს ხმა“ (ინგლ. The Voice of Free Georgia, N1) დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ინგლისურენო-



ვანი ტექსტი. ინგლისური თარგმანი შეასრულა ჟურნალის დამაარსებელმა და რედაქტორმა ალექსანდრე ცომიაძემ.

ალექსანდრე ცომიაძე კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო ფარულ მოძრაობაში ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ჩაება. 1922 წლის თებერვალში მონაწილეობდა საქართველოს გასაბჭოების წლისთავთან დაკავშირებულ საპროტესტო გამოსვლებში. სტუდენტობის პერიოდში ორჯერ დააპატიმრეს კიდევ. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ნაწილის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1924 წლის საერთო სახალხო ამბოხებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა, უცხოეთში გახიზნულიყო. იგი ჯერ სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ქართულ ემიგრანტულ პრესასთან.

ალექსანდრე ცომიაძე აქვეყნებდა, როგორც მეცნიერულ და პოლიტიკურ, ისე პუბლიცისტურ და პოლემიკური ხასიათის წერილებს. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ვერმახტის ქართული ლეგიონის შემადგენლობაში. ომის დამთა-

ვრების შემდეგ იგი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. აქაც მეთად მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო – მიზნად დაისახა პუბლიცისტური მოღვაწეობით ამერიკის საზოგადოებისათვის საქართველოს საკითხი გაეცნო. ამ მიზნით 1953 წელს ნიუ-იორკში დააარსა ინგლისურენოვანი ჟურნალი "The Voice of Free Georgia" („თავისუფალი საქართველოს ხმა“), რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ლეო დუმბაძე, ალექსი ჩხენკელი, დიმიტრი სინჯიკაშვილი, გივი ზალდასტანიშვილი და სხვა ემიგრანტები. სულ გამოვიდა ჟურნალის რვა ნომერი, მისი გამოცემა შეწყდა 1957 წელს, ალექსანდრე ცომაიას გარდაცვალების შემდეგ.

ჟურნალი ამერიკელებს აცნობდა საქართველოს წარსულს, მის აწმყოს, ქართველი ხალხის მისწრაფებებსა და იმ განწყობას, რაც ხალხს ჰქონდა რუსული ოკუპაციის მიმართ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია რუსულ ენაზე

რუსულ ენაზე 1921 წლის კონსტიტუცია დიდი ხნის განმავლობაში არ თარგმნილა. მისი რუსული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1991 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. სამი ისტორიული დოკუმენტი“. კრებულში, რომელიც შეადგინა გურამ შარაძემ, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის გარდა შევიდა: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული 1918 წლის 26 მაისს; 2) რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება.

სამივე ისტორიული დოკუმენტი წარმოდგენილია ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. რუსულ ენაზე კონსტიტუცია თარგმნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

1921 წლის კონსტიტუციის თემას საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი ბატონობის პერიოდში ტაბუ ჰქონდა დადებული, ხოლო თვით კონსტიტუციის პირველი გამოცემის ერთი ეგზემპლარი ინახებოდა ყოფილი „საქ. სახელმწიფო წიგნის პალატის“ დახურულ ფონდში. მისი გამოყენება მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეეძლო ისტორიის მკვლევარებს. სხვა ბიბლიოთეკებში, მათ შორის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, ეს გამოცემა არ ინახებოდა. საზღვარგარეთული გამოცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას აბრკოლებდა თვით საბჭოთა სახელმწიფოს ჩაკეტილი ცხოვრების წესი.

საქართველოს კონსტიტუციის 1922 წლის ფრანგული და ინგლისური გამოცემების შესახებ საქართველოს საზოგადოებას დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ზეპირი ცნობები ჰქონდა. საქართველოში ეს გამოცემები შემოვიდა ქართული ემიგრანტული არქივების შემოტანის შემდეგ. დღეს ეს დოკუმენტები ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ნებისმიერი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. მკითხველს აქვს საშუალება, ასევე გაეცნოს მათ ციფრულ ვერსიებს, რომლებიც ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ არის განთავსებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1-რატომ დაიბეჭდა საქართველოს პირველი კონსტიტუცია ბათუმში // ბათუმელები. ნეტგაზეთი. – 2016. – 21 თებ. - <https://batumelebi.netgazeti.ge/news/36565/>

2-კუბლაშვილი, ვ. წინასიტყვაობა // საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია და საქართველოს სენატის დებულება.- თბ., 2014.

3-მახარაძე, გ. პრესა და საგამომცემლო საქმე // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. ტომი III: ბათუმის ოლქი 1877-1920. - ბათუმი, 2008. - გვ. 560-567.

4-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. სამი ისტორიული დოკუმენტი / შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი გურამ შარაძე. - თბ., 1991. - 174 გვ.

5-სიორიძე, მალხაზ. საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნების ადგილი, დრო და გარემოებები // არხეიონი - ბათუმი, 2011. - N I. - გვ. 83-87.

6-ჯავახიშვილი, გიორგი. ხვინგიების ოჯახი // წიგნი და გამომცემელი / გ. ჯავახიშვილი. - ბათუმი : საბჭ. აჭარა, 1980. - გვ. 34-37.

7-ქარდავა, ფრიდონ. ვინ დაბეჭდა პირველი კონსტიტუცია? (სამი ხვინგია) // აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო. ინტერნეტრესურსი: <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=1022207&gid=2#.YF3Fc68zaUm>



ნინო ხვედელიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპაში მოძრავი ლიტერებით წიგნის ბეჭდვის გავრცელება ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება იოჰან გუტენბერგისა და პეტერ შუფერის მოსწავლეებს – ალბრეხტ პფისტერსა და იოჰან მენტელინს. გერმანული წიგნის ისტორიის მკვლევრების მოსაზრებით, ჯერ კიდევ 1460 წელს ბამბერგსა და ფრანკფურტში არსებობდა მათი სტამბები. პფისტერი წიგნებს ბეჭდავდა ისეთივე შრიფტით, როგორსაც იყენებდა გუტენბერგი.

სხვა წყაროს მიხედვით, სტამბები პარალელურად ფუნქციონირებდა ბამბერგსა და სტრასბურგში. გუტენბერგმა წიგნის ბეჭდვის საქმე წამოიწყო სტრასბურგში. მისი შეგირდი იყო იოჰან მენტელინი.

მომავალი მესტამბე-გამომცემელი დაახლოებით 1410 წელს დაიბადა სტრასბურგთან ახლოს მდებარე შლეთშტადში (ახლანდელი სელესტა). სავარაუდოდ, მან სასწავლებლად სტრასბურგს მიაშურა, შეისწავლა კალიგრაფისა და ინიციალებითა და მარტივი ორნამენტებით გაფორმება-გაფერადების სპეციალობა.

1447 წელს იოჰან მენტელინი გახდა სტრასბურგის მოქალაქე. ამ დროიდან მან მოღვაწეობა დაიწყო ეპისკოპოსის ნოტარიუსად და ხელნაწერთა გადამწერად. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მან დაარსა სტამბა, დაიწყო გუტენბერგისეულზე უფრო მომრგვალებული და მკაფიო შრიფტის ჩამოსხმა.

პირველი გამოცემა, რომელზედაც იოჰან მენტელინის სახელი იყო მითითებული, გახლდათ 1465 წელს დაბეჭდილი ქრისტიანი ღვთისმეტყველის, თეოლოგისა და ფილოსოფოსის ნეტარი ავგუსტინე

იოჰან მენტელინი და მისი ბიბლია

ნე ავრელიუსის (354-430) ტრაქტატი - ქადაგების ხელოვნების შესახებ „Tractatus de arte prdedicandi“.

ვარაუდობენ, რომ იოჰან მენტელინმა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1458 წელს დაიწყო წიგნების გამოცემა. მკვლევრები მას მიაწერენ ლათინურ ენაზე დაბეჭდილ, თითოეულ გვერდზე 49-სტრიქონიან, დიდი ფორმატის მქონე ბიბლიას. მისი პირველი ტომი 1460 წლით არის დათარიღებული. გუტენბერგის 42-სტრიქონიანი ბიბლიისაგან განსხვავებით, წიგნის შემადგენელ ფურცელთა ნაკლები რაოდენობის გამო, მენტელინის ბიბლია გამოსაყენებლად უფრო მოსახერხებელი იყო.



იოჰან მენტელინი (1410-1478)

იოჰან მენტელინმა მალე მოიპოვა წარმატებული გამომცემლის სახელი. 1466 წელს იმპერატორმა ფრიდრიხ III-მ მას მიანიჭა გერბი და თავადის ტიტული. მენტელინის სტამბაში ორმოცამდე წიგნი გამოიცა. პირველ რიგში ეს იყო თეოლოგიური და ფილოსოფიური ნაშრომები ლათინურ ენაზე. სტამბაში კორექტორებიც მუშაობდნენ, რაზეც მეტყველებს ამ წიგნების მომზადების მაღალი ხარისხი. მენტელინმა გამოსცა შუასაუკუნეებისა და ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებები, ეკლესიის მამათა ნაშრომები, კალენდრები: იოანე ოქროპირის, ნეტარ ავგუსტინე ავრელიუსის, თომა აკვინელის, არისტოტელეს, ისიდორ უმცროსის, ალბერტ დიდის, პუბლიუს ვერგილიუს მარონის, პუბლიუს ტერენციუსისა და სხვათა ნაწარმოებები.

მენტელინი წიგნებს გამოსცემდა დიდი ტირაჟით, რაც მას პროდუქციის დაბალ ფასში გაყიდვის საშუალებას აძლევდა. ამასთანავე, ის ბეჭდავდა



სარეკლამო განცხადებებს. მიუნხენის სამეფო ბიბლიოთეკაში ინახება ეგზემპლარი, რომლის ჩართულ ფურცლებზეც დაბეჭდილია მენტელინის სტამბის გამოცემების ჩამონათვალი, ქვეშ კი დატოვებულია ცარიელი ადგილი, სადაც მიწერილია წიგნითმოვაჭრეების სახელები, რომლებთანაც შესაძლებელი იყო ნაბეჭდი პროდუქციის ყიდვა. ეს იყო წიგნში დაბეჭდილი პირველი რეკლამა, რომელიც 1471 წლით თარიღდება. მეორეა მენტელინის „პროსპექტი“, რომელიც დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

მენტელინის ნამუშევრებს შორის განსაკუთრებული იყო პირველი გერმანულენოვანი ბიბლია. წიგნი გამოიცა 1466 წელს, გუტენბერგის ბიბლიის გამოცემიდან ათი წლის შემდეგ. ბიბლიის ტექსტის შერჩევასა მენტელინმა გამოიყენა XIV საუკუნის თარგმანი, რომელიც ნურნბერგში იყო შესრულებული შუასაუკუნეებში დამკვიდრებული პრინციპით - „სიტყვა-სიტყვით“. გერმანული ბიბლიათმცოდნეების მოსაზრებით, მენტელინმა გამოიყენა გერმანიისა და ჩეხეთის მეფის - ვენცელის ექვსტომეული ხელნაწერი ბიბლიაც. ამდენად, მას არქაული ტექსტის გამოყენებამ ნაკლებად გაუმართლა, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით წიგნის გაყიდვის თვალსაზრისით.


აღნიშნული გამოცემის ბავარიის ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარზე არსებობს ბიბლიის მფლობელის, აუგსტურგელი მემატიანისა და ვაჟრის, გეკტორ მიულისის მინაწერი, რომელშიც მითითებულია, თუ რამდენი გადაიხადა მან გამოცემაში - „1466 27 Junio ward ditz buch gekaft vningepunden vmb 12 gulden“ („წიგნი შეძენილია 1466 წლის 27 ივნისს ყდის გარეშე 12 გულდინის საფასურად“). იმდროისათვის ამ ფასად შესაძლებელი იყო ოთხი ხარის შეძენა.

დასახელებული გამოცემა მოიცავს 406 ფურცელს და დაბეჭდილია „ინ ფოლიო“ (30x43 სმ.) ფორმატზე. მის წინა გამოცემებთან შედარებით წვრილი და მკაფიო შრიფტის გამოყენების წყალობით, წიგნის თითო გვერდზე განთავსებულია 61 სტრიქონი ორ-ორ სვეტად. ამით მენტელინმა შეამცირა დაანახარჯი და გაზარდა ტირაჟი. დაბეჭდილია წიგნის მხოლოდ ძირითადი ტექსტი, თავსართები და ინიციალები კი ჩახატულია ხელით. მენტელინის ბიბლია ცამეტჯერ გამოსცეს სამხრეთ გერმანელმა გამომცემლებმა.

იოჰან მენტელინი ოცნლიანი პოლიგრაფიული მოღვაწეობის შემდეგ, 1478 წელს, გარდაიცვალა. თავდაპირველად იგი დაკრძალეს წმინდა მიქაელის სამლოცველოს სასაფლაოზე. დღეისათვის მისი ნეშტი სტრასბურგის საკათედრო ტაძარში განისვენებს. მენტელინს ორი ქალიშვილი ჰყავდა. პირველი ცოლად გაჰყვა მესტამბე-გამომცემელს მარტინ შოტტას. მისი მეორე ქალიშვილი - სალომეა კი ადოლფ რუმ ფონ ინგვაილერზე დაქორწინდა. ცნობილი გერმანელი მესტამბე ადოლფ რუმე (1435-1489) წარმოშობით ინგვაილერიდან იყო. იგი სენეკასა და პლუტარქეს ნაწარმოებებს ბეჭდვად ლათინურ „ანტიკვას“ შრიფტით. რუმემ მენტელინთან დაიწყო მუშაობა სტამბაში. ისინი ერთად გამოსცემდნენ სამედიცინო ტრაქტატებსა და თეოლოგიურ ნაშრომებს. მენტელინის სიკვდილის შემდეგ, სტამბის მართვას ადოლფ რუმე ჩაუდგა ხელსავე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. М.; Л., 1926.
2. Книговедение: Энциклопедический словарь / Редкол.: Н.М. Сикорский (гл.ред.), О. Д. Голубева, А.Д. Гончаров и др. М., 1982.



ქართული კულტურა



ალექსანდრე ლორია

მწერალი, მეცნიერი, საბიბლიოთეკო საქმის ამაგდარი მოღვაწე

გარეჯის სამონასტრო კომპლექსი შუა საუკუნეებში ერთ-ერთ უდიდეს სასულიერო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. მან უძველესი გზა განვლო, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა. იყო აღზევება და დაცემა, ავბედითობა, მაგრამ არასდროს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი უძველესი წარმოშობისაა. დაარსდა მე-6 საუკუნეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან მაშინვე შეიძინა ის ფუნქციები, რომელსაც დროთა განმავლობაში აღწევდა, ხოლო მე-12 საუკუნეში აღორძინების პიკს მიაღწია - ნამდვილ სრულყოფილ სამონასტრო „ქალაქს“ წარმოადგენდა. სამწუხაროდ, დროთა მსახვრალმა ხელმა განაპირობა, რომ ბევრი რამ ვერ შემორჩენილიყო დღემდე.

ტრადიციული აზრით, გარეჯში ამ პერიოდში 12 მონასტერი მოქმედებდა. ყველაზე მნიშვნელოვანს დავით გარეჯის მონასტერი წარმოადგენდა, რომელიც „ლაზრადაც“ კი მოიხსენიებოდა. აღორძინების ხანაში სამწერლო-სამწიგნობრო საქმიანობასთან ერთად გარეჯში ჩამოყალიბდა ე.წ. ბერთუბნის სამხატვრო სკოლის ტრადიციები - შეიქმნა თამარის, გიორგი ლაშას, სატრაპეზოს უნიკალური ფრესკები. ამან მთელ საქართველოში დიდი გავლენა მოახდინა სამონასტრო მხატვრობის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსს, როგორც ჩანს, მთელ ამიერკავკასიაში ჰქონდა ერთ

ქართული კულტურისა და სულიერების უძველესი ძეგლი - გარეჯი!

(მოკლე მიმოხილვა)

დროს დიდი ავტორიტეტი. ამის საწინდარია ის, რომ გარეჯელი ბერები მისიონერობასაც კი ეწეოდნენ. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ გარეჯის მღვდელმთავარს ისეთი საკითხების განხილვაზე იწვევენ, როგორც იყო, მაგალითად, 1216 წელს დვინში გამართულ სამსჯავროში მონაწილეობა, რომელიც ეხებოდა სომხურ ქალკედონისტურ მონასტრებს შორის ატეხილ დავას. დოკუმენტში იგი მოიხსენიება, როგორც „დიდი მამამთავარი გარეჯისანი“ [6]

კომპლექსში შემავალ მონასტრებს მდიდარი წიგნადი ფონდები ჰქონდა. ბევრი ხელნაწერი ადგილზე იქმნებოდა, ბევრიც გადაინუსხებოდა ხოლმე ან შენირულობით შემოდიოდა. ცნობილია, რომ გარეჯი აღორძინების დროს დიდ ლიტერატურულ ცენტრსაც წარმოადგენდა. ეს საქმიანობა აქ სამი მიმართულებით ვითარდებოდა: 1.ჰაგიოგრაფიული-ჰიმნოგრაფიული კრებულების დამუშავება; 2.დოგმატიკურ-პოლემიკური ხელნაწერების გამრავლება; 3.ბიბლიოთეკების შექმნა [4]

თავისი არსებობის მანძილზე გარეჯის ლავრას არაერთი განსაცდელი გადაუტანია, რასაც არაერთხელ გამოუწვევია მისი დაქვეითება და განვითარების შეფერხება. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლებელი შეიქმნა კომპლექსის ერთგვარი გამოცოცხლება, მაგრამ სრულყოფამდე ვერ იქნა მიღწეული. არჩილ მეფემ აქ აღმშენებლობას მოჰკვიდა ხელი, მაგრამ ამ დროს უკვე ღონეგამოცლილი მონასტრების მთელი სიმძლავრით ამოქმედება შეუძლებელი გახდა.

კომპლექსის აღორძინებას დიდი ენერჯია შეაღია ერეკლე პირველმაც, მაგრამ ძველი დიდების აღდგენა ვეღარ მოხერხდა, თუმცა მის ამ საქმეზე გამოყოფილმა ბერმა, ონოფრე მაჭუტაძემ იმდენი იღვანა, ბევრი რამ გაუმჯობესდა.



მისი ღვაწლის შედეგად მოხდა ის, რომ გარეჯში მონასტრები ამოქმედდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართა საქმიანობის გაშლა-განვითარებისათვის ხელშეწყობა. მომრავლდნენ მწერლები, მოქადაგენი და ბიბლიოფილები. ამ პერიოდში გარეჯი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში [1].

ონოფრე მაჭუტაძე დიდი გულისყურით ეკიდებოდა ბიბლიოთეკების საქმიანობას, აქ ნაბეჭდი წიგნებიც მოიპოვებოდა. ხელნაწერთან ერთად აქ 75 ტომი იყო შეგროვებული. თითოეული ტომი რამდენიმე წიგნისგან შედგებოდა [4].

მეფეთა და ფეოდალთა განსაკუთრებული ყურადღება გარეჯს ერთგვარ პრიორიტეტს ანიჭებდა. ამაზე ბევრი უზრუნია სწავლულ მეფეს - ვახტანგ მეექვსეს, მაგრამ დაქვეითების შეუქცევადი კანონზომიერება არ იძლეოდა საშუალებას, ახალი აღორძინება დამდგარიყო.



ონოფრე გარეჯელი (მაჭუტაძე)

სპარსელთა და ოსმალთა თარეშმა, შინაურმა არეულობამ გარეჯი კვლავ დააქვეითა. ერეკლე მეორეც მთელი ძალით ცდილობდა, არ დაცლილიყო გარეჯი. 1773 წელს გერმანე წინამძღვარს წერდა: „...ერთი ბერი არ დადგეს, მე მაგ მონასტერს არ დავცლი და არც უკაცოდ გავუშვებ. ბერი რომ არ ვინ დადგეთ, ერთ კაცს და ხუცეს ხომ ბევრს ვიშოვნო, რომ დავაყენო“ [5].

სამონასტრო ბიბლიოთეკებს თავიანთი განსაზღვრული პრინციპები და იდეები ედო საფუძვლად. ცნობილია ექვთიმე მთაწმინდელის წერილი გიორგი ბერის მიმართ, რომელშიც ჩამოყალიბებულია ფორმულა, როგორი წიგნები არაა დასაშვები მონასტრის ბიბლიოთეკისათვის. ის წერს: „წიგნი რომელთა ეკლესია არა შეიწყნარებს არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაინერნენ“. შემდეგ ჩამოთვლილია წიგნები, რომელთაც უნდობლობას უცხადებს ქრისტიანული ეკლესია [3].

გარეჯში წიგნების გადაწერის დიდი ტრადიცია არსებობდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიგვანიშნებდა, ერთი და იმავე დროს ერთი და იმავე წიგნის გადამწერის სხვადასხვა ხელით ნაწერი ცხადყოფს, რომ იგი რამდენიმე პირის მიერაა გადაწერილი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ასეთი რამ შემთხვევითი მოვლენა არ არის. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამონასტრო ბიბლიოთეკებში ძველთაგანვე არსებობდა გადამწერთა ამხანაგობანი [7]. უდავოა, ასე იყო დავით გარეჯის სამწიგნობროშიც.

სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ წიგნებს ძვირფასი განძის თანაბრად იცავდნენ. მაღალი წოდების წარმომადგენელთა თავგამოდებულმა ზრუნვამ, მეტმა მეოხმა, შემომწირველთა სიმრავლემ განაპირობა ის, რომ მიუხედავად წიგნების უმონყალოდ განადგურებისა შემოსევების დროს, ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია სასულიერო საცავებში ერთ დროს დაუნჯებულმა წიგნადმა ფონდებმა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დავით გარეჯისა და სხვა სამონასტრო წიგნსაცავების მიერ წიგნების დაცვის, მოვლის, შევსებისა და სარგებლობის ორგანიზაციის მდგომარეობა. წიგნთა ბრუნვის ტექნიკურად უზრუნველყოფის შესახებ რაიმე პირდაპირი დოკუმენტი არ არსებობს, მაგრამ რა მასალაც გავაჩნია, იმისი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გარკვეული



დასკვნები გავაკეთოთ. მაგალითად, წიგნების დროებით საკითხავად გაცემის ორგანიზებული წესრიგი რომ უცხო არ იყო მე-17 - მე-18 საუკუნეების გარეჯის სამონასტრო ბიბლიოთეკებისათვის, ცხადყოფს თუნდაც ერთ-ერთი საბუთი, რომელშიც ვკითხულობთ:

„დავით გარეჯის წიგნები აქვს ტბილელს-ძველი ხრონოგრაფი, კუალად სვინაქსარი, კუალად მამათ ცხოვრება, ბატონიშვილის გიორგის მღვდელს აქვს ნიკოლაოს ქალწულთა მეტაფრასი. ნინოწმინდელს აქვს დოდოელთა გულანი...სტამბის ერთი ზადიკი, ერთი მარხუანი დოდოელთა იოანე მღვდელსა აქვს. ერთი მარხუანი ხელწერილი აბრამ მღვდელს აქვს, გიორგიწმიდას...“[2].

სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება, რომ აქ წიგნები ხელუხლებლად კი არ ეწყობო, არამედ მათ ფართო გამოყენება ჰქონდა, ხდებოდა მათი გაცემა და მომხმარებელთა აღნუსხვა. პროფ. მ. ჯანაშილის მტკიცებით, „ბიბლიოთეკებს ჰქონდათ საკუთარი კატალოგებიც და აგრეთვე ცალკე ფურცლები აღსანიშნავად იმისა, თუ ვის ჰქონდა წიგნი დროებით [10].

როგორც მკვლევარი მ. ქავთარია ადგენს, ზოგჯერ საზღვარგარეთაც კი მიჰქონდათ ბიბლიოთეკების წიგნები. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთ წიგნზე 1768 წელს გაკეთებული მინაწერი: “ნათლისმცემლისა არის, მე ანტონი არქიმანდრიტმა ნათხოვნი...ნავილე, ოდეს წარვედ მეორედ იერუსალიმად. ეს სადღესასწაულო, ესე გარეჯის...ნათლისმცემლის უდაბნოს მიუვიდეს. ვინაც არ მისცეს, ამ მონასტრის ნათლისმცემლის რისხვა და იმ მონასტრის მამათ მადლი გაუწყდეს“ [5].

როგორც ჩანს, წიგნების საქმესთან ურთიერთობაში წოდებათა შორის სრული თანხმობა სუფევდა. არავითარი სოციალური იერარქია აქ არ არსებობს. ამაზე არაერთი წყარო მეტყველებს, უმთავრესად წიგნებზე გაკეთებული მინაწერები - ეს წიგნი ვინაც არ უნდა „გამოსწიროს“ ბიბლიოთეკას - „ანუ ხელმწიფებამ ან პატრიარქმა, ან ეპისკოპოსმან ანუ წინამძღვარმან, ან ხუცესმა იმასაც რისხავდეს ღმერთი“. სხვა მინაწერში ნათქვამია: „მონასტერს ვინმემ წიგნი რომ „გამოსწიროს ან მეფემან, ან დადიანმა, ან დიდებულმან, ან თავადმან, ან აზნაურმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ გლეხმან, ვინც იკადროს და გამოსწიროს, შეჩვენებულ იყოს“ [8].

საინტერესოა, როგორი იყო სისტემა სამონასტრო ბიბლიოთეკებში წიგნების დაჯგუფებისა. ამ თვალსაზრისით, არაერთ თანამედროვე სპეციალისტს აქვს გამოთქმული თავისი აზრი, მაგრამ რაიმე დოკუმენტი პირდაპირ რომ გვამცნობდეს ამას, არ არსებობს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ წიგნების დაჯგუფების ტრადიციებს როგორც შინაარსობრივად, ისე მათი დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით. მათი გაცნობისათვის განსაკუთრებით უხვ მასალას იძლევა ე.წ. „მზითვის წიგნები“- ნუსხა იმისა, რასაც მზითვად ატანდნენ ქალს, მათ შორის წიგნებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა ნიშნითაა დაჯგუფებული - „საღმთო წიგნი“, „სამეცნიერო“, „საკითხავი“, „საერო, საშინაო“, „სათანაო“, „დაუჯდომელი“.

სავარაუდოა, სასულიერო დაწესებულებების საცავისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო რაიმე გვარი ასეთი დაჯგუფება, თუმცა კატალოგების არსებობაზე გადაწყვეტილად რაიმეს თქმა ვერ ხერხდებოდა. არის მოსაზრებები, რომ სასულიერო ბიბლიოთეკების ზოგ ნაწილს გააჩნდა წიგნების დაჯგუფების თავისი წესები. ამის ერთგვარი დასტურია ნიკო მარის მიერ სინას მთაზე აღმოჩენილი კატალოგის ფრაგმენტი.

ყველაფერი მოწმობს იმას, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი წიგნსაცავები თავიანთი ორგანიზაციულ-სტრუქტურული, მნიგნობრულ-კულტურული გავლენის თვალსაზრისით, საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. ნათლად ჩანს, რომ აქ გამორჩეული ადგილი ეჭირა დავით გარეჯის მონასტერსა და მის ბიბლიოთეკას.

რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სასულიერო მემკვიდრეობის შექმნაში გარეჯს, ამაზე ნათლად მეტყველებს აქ სხვადასხვა დროს მოღვაწე პირთა სახელების ხსენება. ისინი ბევრნი არიან, მაგრამ რამდენიმეს დასახელებაც საკმარისია, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამ კულტურის ცენტრის მნიშვნელობაზე. ვარაუდობენ, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ვაჟს - დემეტრე პირველს უნდა ეღვანა გარეჯში და სიკეთე დაეთესა აქ. მის კვალს ბევრი შედგომია.

მრავალი სახელოვანი პიროვნება მცირე თუ დიდი ხნით დაყოვნებულა ამ საღვთო ადგილას და თავიანთი ღვაწლით რაღაც შეუმატებიათ მისი სახელისათვის. განსაკუთრებით გა-



სულხან-საბა_ორბელიანი

მორჩეულია ამ მხრვ მე-17 საუკუნე. სწორედ ამ საუკუნის მეორე ნახევარს ემთხვევა გარეჯში სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა. მეფის კარს დაახლოებული ასეთი გავლენიანი პირის საქმიანობა, ცხდია, ბევრ რამეს შესძენდა მონასტრებსა და მათ ბიბლიოთეკებს. შეიძლება მისმა გავლენამაც იმოქმედა დიდად, ვახტანგ მეექვსე მუდამ რომ ზრუნავდა აქაურობის აღმავლობისათვის. სულხან-საბა აქაც ვერ წყვეტდა ლიტერატურულ საქმიანობას. აქ შექმნა ქადაგებათა კრებული „სწავლანი“. ორი აზრი არაა, რომ იგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა არსებული საცავების წიგნებით გამდიდრების საქმეს და თვითონაც აქტიური მკითხველი იყო.

მე-17 საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ მწერალი ბესარიონ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (ნიკოლოზ რუსთაველი), დიდი მწიგნობარი გაბრიელ საგინაშვილი, მდივან-მწიგნობარი ელისე, ზაზა (ექვთიმე) ბარათაშვილი, არაგვის ერისთავთა შთამომავალი იოსები და სხვები. ისინი თავად წარმოადგენდნენ ცნობილ ნაშრომთა ავტორებს, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვოდა სამონასტრო კომპლექსის ფეხზე დაყენებასა და მის აღორძინებაში. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ანტონ პირველი-კათალიკოსი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა სამონასტრო მშენებლობაში. აქ უმოღვაწია ცნობილ ქართველ მოგზაურსა და მწერალს ტიმოთე გაბაშვილს, მწიგნობარ ამბროსი მიქაძეს, გაბრიელ მცირეს, გერონტი სოლოლაშვილს და სხვებს. თავიანთი კვალი დააჩინეს აქაურობას მცირე ხნით მოღვაწე მწერლებმა: იოანე გედევანიშვილმა, გიორგი ავალიშვილმა და სხვებმა.

ლიტერატურულ მოღვაწეობა საქმიანობა მონაშობს, რომ გარეჯში უდავოდ მრავალი წიგნი მოიყრიდა თავს, რომელსაც აუცილებელია, გარკვეული წესრიგით განალაგებდნენ და აღნუსხავდნენ. მათი გამოყენებაც სათანადოდ იქნებოდა ორგანიზებული.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რა ბედუკულმართობაც არ დასტეხოდა თავს, მაინც ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი კაცისათვის რელიგიურ-კულტურულ და სულიერად განმტკიცების უმნიშვნელოვანეს კერას. იგი ამჟამად არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. რა არ გადაიტანა მან - მონღოლების შემოსევა, ოსმალების თარეში, ლეკიანობა და ურთიერთმტრობა, მაგრამ ის დღემდე მტკიცედ დგას და ისტორიულად დაკისრებულ თავის მოვალეობას ასრულებს. რამდენად ამბზრზენია, რომ ვილაც-ვილაცა შინაური მტრები თუ მოძულენი გაჩნდნენ, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიან და იძულებულს გვხდიან, ვთქვათ: „გარეჯი საქართველოა!“

დამონმებული ლიტერატურა

- 1-მენაბდე, ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტომი 1, ნაკვ.1.-თბ., 1962. - გვ. 299.
- 2-მენაბდე, ლ. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1712).- თბ., 1959. - გვ. 41-42.
- 3-ჟორდანიას, თედო. ქრონიკები. ტომი 2.- თბ., 1897. - გვ. 83-88.
- 4-ქავთარია, მ. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა.- თბ., 1965. - გვ.44, გვ.96, ხელნაწერი Ad, 317, გვ.96, ხელნაწერი A, 104.
- 5-ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თედო ჟორდანიას მიერ.- ფოთი, 1903. - გვ. 119.
- 6-ჭავჭავიშვილი, ივ. ქართველი ერის ისტორია. ტომი 2.- თბ., 1965. - გვ. 306.
- 7-ჭავჭავიშვილი, ივ. ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. - თბ., 1949. - გვ. 55-56.
- 8-ჭანაშვილი, მ. ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა // სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები. ტ. 5.-თბ., 1940, გვ. 274.
- 9-ლორია, ა., გურგენიძე, ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში(1921 წლამდე). - თბ., 1974.

საქართველოს ბიბლიოთეკები: გაახსების ისტორია და დღევანდელი

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიიდან



იოანე ბატონიშვილი


იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი, იყო არა მარტო სახელმწიფო მოღვაწე, გამორჩეული მებრძოლი და სარდალი, არამედ

უაღრესად განსწავლული პიროვნება. იგი იყო განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, რომელიც საქართველოს მომავალზე ფიქრისას საბიბლიოთეკო საკითხსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ.

იოანე ბატონიშვილმა მამას, მეფე გიორგი მეორემეტეს, 1799 წელს წარუდგინა მოხსენება იმ რეფორმების შესახებ, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებლად უნდა გატარებულიყო ქართლ-კახეთში. ამ ნაშრომს ეწოდება „სჯულდება“.

„სჯულდების“ მიხედვით, სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგანმანათლებლო დაწესებულებებიც უნდა გახსნილიყო. ამავე კონტექსტში მოიაზრებოდა საერო ბიბლიოთეკის მოწყობის გეგმაც, რომელიც „სჯულდებაში“ ცალკე მუხლად არის გამოყოფილი. საბიბლიოთეკო საქმესთან ერთად ასეთ ბიბლიოთეკას სამუზეუმო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.

სამწუხაროდ, შემდგომ განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, ეს პროექტი არ განხორციელებულა.





მაკა დიდებულიძე

ა(ა)იპ საშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

ქართულ საბიბლიოთეკო სივრცეში ერთ-ერთი უძველესია სურამის სადაბო ბიბლიოთეკა, რომელსაც წელს დაარსებიდან 125 წელი შეუსრულდა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული სურამი იქცა ქართველ და არა მარტო ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა უსაყვარლეს დასასვენებელ ადგილად. აქ ზაფხულის ცხელ დღეებს ატარებდნენ ჩვენი დიდი მამულიშვილები: იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, იონა მეუნარგია, ნიკო ნიკოლაძის ოჯახი, უფრო მოგვიანებით კი - ივანე ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ვლადიმერ მაიაკოვსკი...

XIX საუკუნის ბოლოს სურამის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა სამკითხველოს გახსნის საკითხი. ამ საქმეში ადგილობრივ ინტელიგენციასთან ერთად ჩაერთვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. სურამის მკვიდრი, ცნობილი მოღვაწის იოსებ ბებიაშვილის ქალიშვილი, თამარ ბებიაშვილი იგონებდა: „პირველი ბიბლიოთეკა სურამში დაარსდა იაკობ გოგებაშვილის მითითებით და ამ საქმეს მეთაურობდა მამა (იოსებ ბებიაშვილი). დიდი დახმარება გაუწია მამას წიგნების დაგროვებაში სურამის მკვიდრმა ალექსანდრე ხორავამ. პირველად ბიბლიოთეკას განაგებდა

სურამის ბიბლიოთეკა 125 წლისაა

ანანო ხიდირბეგიშვილი“. როგორც ჩანს, ქ-ნი თამარი გულისხმობდა გასული საუკუნის 10-იან წლებს, როდესაც ერთხანს გაუქმებულმა სურამის სამკითხველომ კვლავ განაახლა მუშაობა. პირველი სამკითხველო კი სურამში დაარსებულა მე-19 საუკუნის მიწურულს, კერძოდ, 1895 წელს. ამ წლის 4 ივნისს გაზეთი „ივერია“ საზოგადოებას აუწყებდა: „დ. სურამი: კვირას, 13 მარამობის თვეს, ვაკურთხეთ სურამის სახალხო წიგნთსაცავი, ხალხი ბლომად დაესწრო, უფრო ინტელიგენცია. დეკ. სოლომონ ელი-მანარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომლითაც ნათლად განგვიმართა ფრიად დიდი მნიშვნელობა წიგნთსაცავისა ხალხის განათლებაში და განვითარებაში. სამწუხაროდ ვერ დაესწრო კურთხევას მდაბიო ხალხი, რომლისთვისაც უფრო საჭირო იყო გაგება და ჩაგონება სამკითხველოს სარგებლობისა“.

1896 წელს იგივე გაზეთი წერდა: „სწორედ შვიდი თვეა, რაც სურამში უფასო სამკითხველო დაარსდა. თუ არა ხალხის გამოღვიძებით, სწავლის შექმნის სურვილით, რით შემძლიან ავხსნა სურამში სამკითხველოს დაარსება... იმედია, ეს სამკითხველო გახდება სხვადასხვა ინტერესებით გატაცებული სურამელების შემაერთებელ ქვაკუთხედად.“

მართლაც, სურამის სამკითხველო მალევე იქცა არა მარტო ადგილობრივი ინტელიგენციის უსაყვარლეს კერად, ამასთანავე, სამკითხველო და მისი თანამშრომლები გახდნენ ამ კუთხის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ერთგვარი წინამძღოლნი და სულისჩამდგმელნი. როგორც ირკვევა, ილიას „ივერია“ ინტერესდებოდა სამკითხველოს საქმიანობით და თავის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის წერილებს მის შესახებ. ცნობილი მეტყვევე, ამ სამკითხველოს ერთ-ერთი დამაარსებელი მიხეილ მურმანიშვილი

წერდა: „სამკითხველო შუა დაბაშია მოთავსებული, შოსე გზის პირად. დილიდან საღამომდის სამკითხველოს კარი ღიაა, ასე რომ მსურველს ყოველ წუთს შეუძლია შევიდეს ამ გონების მოსამზადებელ საღაროში და დაეწაფოს სიტკბოების წყაროს“. მართლაც, სამკითხველოში არ წყდებოდა მკითხველთა ნაკადი. ამავე დროს, მისი ხელმძღვანელობით მზადდებოდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. აქ იდგმებოდა წარმოდგენები, ტარდებოდა საქველმოქმედო საღამოები, რომელთა შედეგად მიღებული შემოსავალი მისსავე წიგნადი ფონდის შექმნასა და მატერიალური ბაზის განვითარებას ხმარდებოდა. პერიოდულად ჩნდებოდნენ მეცენატებიც, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ თანადგომას. გაზეთის რედაქციას კი უყურადღებოდ არ რჩებოდა არამც თუ ამ ადამიანების ღვაწლის აღნიშვნა, არამედ ახლადგახსნილი ბიბლიოთეკის წინაშე მდგარი საკითხებიც. 1895 წლის 4 ივლისს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ერთი წელიწადი არც კია, რაც საჯარო წიგნთ-საცავის დაარსება განვიზრახეთ და აი, გამოჩნდა კიდეც რამდენიმე გულშემატკივარი ადამიანი, მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ, თუმცა პატარა თანხით, მაგრამ წიგნთ-საცავი გავხსენით. დიდ სიკეთეს იზამდნენ ჩვენი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი, რომ ჯერ ნორჩსა და ნივთიერად სუსტს ჩვენ წიგნთ-საცავს დახმარებას აღმოუჩენდნენ და თავიანთ გამოცემებს გამოუგზავნიდნენ.“

ახლადგახსნილ სამკითხველოს დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ფოტოხელოვანმა ალ. როინაშვილმა. „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძოთ უგულისთადესი მადლობა ვუძღვნათ ქ-ნ მ. ლოლაძის ასულს, ელ. ორჯონიკიძეს და ბარბარე აბაზაძეს, რომელთაც დიდი შრომა მიიღეს სურამის სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ საღამოს გამართვაში და შესწირეს ზემოხსენებულს წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა ქართული წიგნები, აგრეთვე ბ-ნ ალ. როინაშვილს და სხვა პირთ, რომლებმაც შემოსწირეს სხვადასხვა ქართული წიგნები. სასურველია, ამათს მაგალითს სხვებმაც მიჰბადონ და არ დაიშურონ მცირედი შეწირულობა“ (1895, N153) - წერდნენ გაზეთის ფურცლებზე ა. მაჭარაშვილი, მ. მურვანიშვილი და მ. ბუაჩიძე. მსგავსი მადლიერების ბარა-



ალექსანდრე როინაშვილი

თებს ხშირად შეხვდებით იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. იმავე წლის 10 აგვისტოს წიგნთ-საცავის დამფუძნებლები ა. მაჭარაშვილი და მ. მურვანიშვილი ერთგვარი მადლიერებით იუწყებოდნენ ბიბლიოთეკისათვის წიგნების შემომწირველების შესახებ: „ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულისთადესი მადლობა ვუძღვნათ იმ პირთ, რომლებმაც ინებეს და შემოსწირეს სურამის სახალხო წიგნთ-საცავს ფული თუ წიგნები: კნ. მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ – ორბელიანისას, რომელმაც შემოსწირა 5 მ. ალ. როინაშვილს სხვა-და-სხვა საუკეთესო ქართული წიგნები, ღირებული 50 მ. ქ. ანნა ალექსანდრეს ასულს მანსვეტოვისას...“ და ა.შ. (ივერია, 1895, N170).

სამკითხველოს გაფართოებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში ჩართული იყვნენ სასულიერო პირებიც. ამის დასტურია დეკანოზ რაჟდენ გიგაურისა და სხვათა მიერ ბიბლიოთეკისათვის წიგნების გადაცემა. იგივე მიხეილ მურმანიშვილი საჯაროდ უხდოდა მადლობას ყველა იმ ადამიანს, ვინც ახლადგახსნილ სამკითხველოზე ზრუნავდა. „გთხოვთ უმორჩილესად, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულისთადესი მადლობა ვუძღვნათ ბ. დეკ. რაჟდენ გიგაუროვს, რომელმაც შემოსწირა სურამის სახალხო წიგნთ-საცავს 20 წიგნი თავისი შედგენილი და გამოცემული, ქ. მარიამ სოლომონის ასულს ელიოზოვისას 12 წიგნი და ბ. ექიმს ფონ. კლუზეს ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ს 7 წიგნის შემოწირვისათვის“- წერდა ცნობილი მოღვაწე 6 სექტემბრის ნომერში.

მ. მურმანიშვილი, როგორც თავისი ქვეყნის

პატრიოტი, ყურადღების გარეშე არ ტოვებდა იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებას, რომ სამკითხველოს უპირველესი მოვალეობა და მისია მკითხველთა რაოდენობის გაზრდა და წიგნით ფართო საზოგადოების დაინტერესებაა. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისითაც სურამის სამკითხველო ერთ-ერთ მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა. „არ შემიძლიან არ განვუზიარო მკითხველებს ამდენ ვარამთან ერთი სასიხარულო ამბავიც: ამ ზაფხულში დაარსდა სურამში სამკითხველო-წიგნთ-საცავი, რომელიც თუმცა ჯერ-ჯერობით ღარიბია, მაგრამ მტკიცე ნიადაგზე დაყენებული დიდის სისწრაფით იძენს მკითხველს საზოგადოებას. ყოველ ჟამს სამკითხველო სავსეა ხალხით და 1 სექტემბრიდან დღემდის (12 სექტ.) 140 წიგნია გატანილი და წაკითხული. დიდის ხალხით კითხულობენ წიგნებს აქაური სკოლის ბავშვები, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვუსრულებთ ყველას კითხვის სურვილს, რადგან ძალიან ცოტა გვაქვს საყმანვილო წიგნები“ - წერდა იგი გაზეთ „ივერიის“ 21 სექტემბრის ნომერში (1895, N202).



მიხეილ მურვანიშვილი

სამკითხველოსადმი დიდ ყურადღებას იჩენდნენ დიდი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის ოჯახის წევრები და ახლობლები. იგივე მ. მურვანიშვილის ცნობით, ცნობილ მოღვაწეს, დიმიტრის ვაჟს, კოტე ყიფიანს, სამკითხველოსათვის შეუწირავს „ასორმოცდაათი მშვენიერი საკითხავი წიგნები“ (ივერია, 1895, N257).

საზოგადოების წარმომადგენლები, მატერიალური დახმარების გარდა, სხვადასხვა ფორმითაც ზრუნავდნენ სამკითხველოზე. 29 დეკემბრის „ივერიაში“ სამკითხველოს გამგე იოსებ მესხი წერდა:

„ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გამოვუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სურამის უფასო სამკითხველოს: ალექსი ნიკოლოზის ძე დეკანოზიშვილმა დაახლოებით 12 მანეთის ქართულ-რუსული წიგნები, ყველა დაკაზმული და გამოსადეგი, დავით მუსხელიშვილმა - 1893 წლის ჟურნალი «Русская мысль», 12 ნომერი, პეტრე იოსების ძე ყიფიანმა ქართული და რუსული წიგნები და ალუქვა სამკითხველოს შემდეგშიაც მზრუნველობა, ლუარსაბ დიმიტრის ძე მურვანიშვილმა, რომელმაც უსასყიდლოდ დაჰკაზმა 50 წიგნი და რომელიც ძლიერ დიდ დახმარებას მიჩენს საქმის წარმოებაში და მკითხველთა წიგნების დაცვლაში, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს, რა დაინახეს სამკითხველო საიმედო ნიადაგზედ დგას და მრავალ პირთაგან თუ დაწესებულებათაგან თანაგრძნობას შემწეობა მოუდის. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსნი არიან ნინო ბესარიონის ძე მახარაძისა და ალ. მიხეილის ძე ციმაკურიძე, რომელთაც, თუმცა არა სჭირდებათ პირადად სამკითხველო (პირველი იღებს გაზეთებს, მეორე სხვა სოფელში სცხოვრობს) წევრებათ ჩაენერნენ და ხუთ-ხუთი მანეთი უკვე შემოიტანეს, და ვლადიმერ ნიკოლოზის ძე არდიშვილი, რომელმაც ალუქვა 6 მანეთი.

გარდა ამისა, ბატონი რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, რადგან სწორი ადრესი არ ვიცი, საშუალება მომეცით, ვახარო ბ.ბ. მიხეილ მურვანიშვილს და მიხეილ მურვანიშვილს, რომელთაც იმდენი შრომა გასწიეს სამკითხველოს დაარსების დროს, და შემდეგაც მუდამ თვალ-ყურს ადევნებენ და შემწეობას არ აკლებენ, რომ ამიერიდამ, თუ ასე წავიდა საქმე, როგორც ამ ბოლოს ჟამს, სამკითხველოს მყობადი უზრუნველყოფილია: აღარ დარჩა სურამში შეძლებული და შეგნებული კაცი, რომელიც თავის ნებით წევრად არ ჩაენერა. წავიდა, გაჰქრა ის ძველი დრო, როცა ზოგიერთნი უნდობის თვალთ უყურებდნენ სამკითხველოს და ფიქრობდნენ დამაარსებელნი ბოლოს ვერ მოაბამენო“ (ივერია, 1895, N281).

ასეთივე ყურადღების ცენტრში იყო წიგნთსა-

ცავი მომდევნო, 1896 წელს. ამ წლის განმავლობაში არაერთი შეწირულობა მიიღო ბიბლიოთეკამ, როგორც თანხით, ასევე წიგნებით. განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა სამკითხველოს გამგე იოსებ მესხი, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს გაზეთ „ივერიაში“ და მადლიერებას გამოხატავდა სამკითხველოს თანადგომთა მიმართ. ამით იგი არა მარტო მადლის გამოხატვის ტრადიციულ-ზნეობრივ ეტიკეტს იცავდა, არამედ სტიმულს აძლევდა ქველმოქმედთ, ხოლო საზოგადოების დანარჩენ ნაწილს საზოგადო საქმეზე ზრუნვის კარგ მაგალითსაც აჩვენებდა.

როგორც აღვნიშნეთ, მსგავს სამადლობელ ბარათებს უხვად შეხვდებით გაზეთების ფურცლებზე. ქველმოქმედთა ვინაობის გაცნობასთან ერთად, ეს წერილები დღეს ჩვენ გვანჯდის მეტად საინტერესო ინფორმაციას სამკითხველოს ფონდის შემადგენლობის შესახებ. 1896 წლის „ივერიაში“ (N7) იოსებ მესხი მადლობას უხდის ჟურნალ-გაზეთთა რედაქციებს, რომლებიც დაკლებული ფასით უგზავნიან სურამის უფასო სამკითხველოს თავიანთ გამოცემებს: „კავკაზს“, „ნოვოე ობოზრენიეს“ „კვალს“, „ჭეჭილს“, „მოამბეს“.

თუმცა სამკითხველოს ისტორიაში იყო დადებითი პერიოდებიც, რომლის გამოსწორებას ცდილობდნენ ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები, აქ ჩამოსული სტუმრები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჭარ ალ. ხორავას დამსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სამკითხველოსთან გახსნილ საკვირაო სკოლაში ადგილობრივ ყმაწვილებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას.

1902 წელს ჟურნალი „კვალი“ კვლავ წერს სურამის სამკითხველოსა და საკვირაო სკოლის შესახებ: „14 ივლისს მოხდა სამკითხველოს წევრთა კრება ღვ. ბებიაშვილის თავმჯდომარეობით. მეორე კრება ჩატარდა 23 ივლისს, რომელზედაც ამოიჩინეს ბიბლიოთეკის გამგეობა: კომიტეტის თავმჯდომარედ კ. დიდებულიძე. ამხანაგებათ ღვ. ბებიაშვილი და დ. მურმანიშვილი, ბიბლიოთეკარად კ. ნებიერიძე /უჭამაგროდ/. ეს კრება მით არის შესანიშნავი, რომ პირველად წამოყენებული იქნა კითხვა საკვირაო სკოლის დაარსების შესახებ. ეს კი მეტად სიმპატიური საკითხია,

სურამელ გლეხთა შორის ასში სამმა არ იციან წერა - კითხვა...ამ საკითხს კრება სიხარულით შეხვდა“.

სიხარულით აღვნიშნავ, რომ კონსტანტინე სოლომონის ძე დიდებულიძე არის ჩემი წინაპარი, მამაჩემის პაპა, რომელიც იყო გორის მაზრის ვეჯილი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.



კონსტანტინე დიდებულიძე

XX საუკუნის 10-იან წლებში სამკითხველომ მრავალი მიზეზის გამო არსებობა შეწყვიტა, თუმცა მალევე, ადგილობრივი ინტელიგენციისა და ცნობილი მოღვაწეების ძალისხმევით, ის კვლავ ამოქმედდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სურამის სამკითხველო გახდა საქართველოს სსრ (შესაბამისად სსრკ-ს) საბიბლიოთეკო სისტემის ნაწილი. მიუხედავად ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი წნეხისა, ბიბლიოთეკა 70 წლის მანძილზე პატიოსნად ემსახურებოდა როგორც სურამელ მკითხველებს, ასევე დამსვენებლებს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამ ახალი შესაძლებლობები გაუხსნა საქართველოს ბიბლიოთეკებს.

სურამის ბიბლიოთეკა, რომელმაც დაარსებიდან დღემდე რთული, მაგრამ საინტერესო გზა განვლო, დღესაც ასრულებს იმ მთავარ დანიშნულებას, რისთვისაც 125 წლის წინ დაარსდა - თავისი წვლილი შეიტანოს ხალხის განათლებაში და განვითარებაში.



ლეილა მარგველაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
სურამის ბიბლიოთეკა

სურამის ცენტრში მდებარეობს პატარა მოკრძალებული ბიბლიოთეკა თავისი დიდი ისტორიითა და ტრადიციებით. ვამაყობთ სურამელები ამ პატარა დაბის უძველესი ლეგენდარული წარსულით. მე-19 საუკუნეში სურამი წარმოადგენდა ქართული სულიერებისა და კულტურის მნიშვნელოვან კერას. სურამში მოუხაროდათ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებს. სურამს ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული ინტელიგენცია. აქ ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ღირსეული მამულიშვილები, რომელთა თავდაუზოგავი შრომით იქმნებოდა სურამის ისტორია.

2020 წელს სურამის ბიბლიოთეკას 125 წელი შეუსრულდა. სურამის ბიბლიოთეკის გახსნის თარიღად მიჩნეულია 1895 წელი. ამას მოწმობს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი პუბლიკაციები სურამში ბიბლიოთეკის გახსნისა და მუშაობის შესახებ, რომლებიც ეკუთვნის ნ. სიხარულიძეს, ი. მესხს, ნებიერიძესა და სხვებს („კვალი“, 1896 №28, №33. „ივერია“, 1895 №139, 1895 №153, №170, №268). ასეთივე ცნობას გვანვდის აგრეთვე ცნობილი მეტყვე მიხეილ მურვანიშვილი თავის წიგნში „მეტყვეის მოგონებანი“. თვითონ ბატონ მიხეილსაც დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის სურამის ბიბლიოთეკის გახსნაში.

სურამის ბიბლიოთეკა დღეს

კაცობრიობის მიერ თავისი განვითარების ისტორიის მანძილზე მოპოვებული უნივერსალური ცოდნის სარწმუნო, ყოვლისმომცველი წყაროები არქივებში, მუზეუმებში და კულტურის სხვა დაწესებულებებთან ერთად ბიბლიოთეკებშიც არის თავმოყრილი. ჩვენ, ბიბლიოთეკარები, ვიცავთ და ვუფთხილდებით ყოველივეს. სურამის საქალაქო ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ოლია საძაგლიშვილი, კოლია ჩიტაძე, ზორიკა დავითიანი, ლენა ავდიშევა, თინა ჩხეიძე, მაყვალა გრიგალაშვილი. ასევე, სურამის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: მერი ჯობაძე, მერი ლომიძე, ნუნუ აბესაძე, მერი მახათაძე და ნანული ხაჭაპურიძე. ეს ადამიანები ყოველთვის რუდუნებით ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ პატარა რაიონში მცხოვრები მოსახლეობის ერუდირების საქმეში. მათ ბევრი სიძნელე გადაიტანეს და შემოგვინახეს დღევანდელი ბიბლიოთეკა.

გახსნის დღიდან სურამის ბიბლიოთეკამ მრავალ ქართველს გაუძლო და დღემდე შეუფერხებლად ფუნქციონირებს. თავისი არსებობის მანძილზე, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფონზე მანაც განიცადა აღმავლობა და დაღმასვლაც. ხაშურის რაიონის ბიბლიოთეკების ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი იყო ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის პერიოდი, რომელიც რაიონში 1977 წლიდან განხორციელდა. ქსელს სათავეში ჩაუდგა სარაიონო ბიბლიოთეკა, რომელსაც დაექვემდებარა დანარჩენი ბიბლიოთეკები როგორც ადმინისტრაციულად, ისე მეთოდურად. ქსელში სულ გაერთიანდა 53 ბიბლიოთეკა-ფილიალი. აღმავლობის წლების დასტურია ბიბლიოთეკების რიცხოვნობის ზრდა, წიგნობრივი ფონდების მრავალმხრივი დაკომპლექტება, კვალიფიციური კადრების მომრავლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ფინანსური უზრუნველყოფა.

მე-20 საუკუნის დასასრულს მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისი აისახა საქართველოზეც, რამაც უფრო მეტად დაამძიმა ქვეყანაში მანამდე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. ეს პრობლემა ეხება თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებით კულტურის სფეროს. 1990-იანი წლებიდან რაიონის საბიბლიოთეკო ცხოვრებას მძიმე დაღი დაესვა. გაუქმდა 19 ბიბლიოთეკა, შეწყდა ყველა სახის დაკომპლექტება, გაუარესდა ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მასობრივი შემცირებები განსაკუთრებით დაიწყო 2004 წლიდან. ბიბლიოთეკების შემცირების მიზნით 2008 წლის თებერვალში სურამში გააერთიანეს ოთხი ბიბლიოთეკის ფონდი: სურამის №6 საქალაქო ბიბლიოთეკის, №7 საბავშვო ბიბლიოთეკის, №9 გვერდისუბნის ბიბლიოთეკის, №11 იტრიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები. ამ გაერთიანებით შეიქმნა მუნიციპალიტეტის სურამის განყოფილება.

2011 წლის აგვისტოში რეორგანიზაციის გამო დადგა სურამის ბიბლიოთეკის დახურვის საშიშროება. ნამდვილად დიდი შეცდომა იქნებოდა საუკუნოვანი ბიბლიოთეკის ხელყოფა. მან ხომ საუკუნის ქართველებს გაუძლო და დღემდე შე-

მოგვრჩა როგორც კულტურული მემკვიდრეობა. ბიბლიოთეკართა დიდი ძალისხმევით და სურამის ინტელიგენციის გვერდში დგომით (შეგროვდა ხელმოწერები, პედაგოგების მოთხოვნა) სურამის ბიბლიოთეკა გადარჩა. ამ დროისათვის ხაშურის რაიონში სულ სამი ბიბლიოთეკა იყო. შემდგომში, საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, ქალბატონ რუსუდან ასათიანისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, ქალბატონ მაკა დიდებულის ძალისხმევით ხაშურის რაიონს შემოემატა ორი ბიბლიოთეკა: ცხრამუხისა და ხცისის ბიბლიოთეკები.

როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკებში ძირეული ცვლილებები დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვასთან. ინტერნეტი შეგვიძლია თამამად მივიჩნიოთ ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სიახლედ. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკებმა შეიძინეს მრავალფეროვანი ფუნქცია. თანამედროვე ეტაპზე ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. სურამის ბიბლიოთეკაში ოთხი



1983წ. 18 ოქტომბერი. სურამის სკოლების მოსწავლეები, ბიბლიოთეკარები.




კომპიუტერია. 2010 წლიდან პერიოდულად ტარდება უფასო ტრინინგები კომპიუტერულ უნარჩვევების დაუფლებაში ბიბლიოთეკის მკითხველებს შორის. თანამედროვე ბიბლიოთეკებში დიდი ადგილი უკავია ელექტრონულ კატალოგებს. ეს მკითხველს საშუალებას აძლევს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ისარგებლოს სხვა დიდი ფონდების მქონე ბიბლიოთეკების რესურსებით. სურამის ბიბლიოთეკაში დასასრულს უახლოვდება ელექტრონული კატალოგების შექმნა.

სურამის ბიბლიოთეკას დღესდღეობით სამი ოთახი უჭირავს სურამის ცენტრში. ერთი ოთახი დარბაზს უკავია, ორი ოთახი წიგსაცავია. 2021 წლისათვის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი 25817 ეგზემპლარს შეადგენს. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ემსახურება ყველა კატეგორიის 700-დან 800-მდე მკითხველს. ვიზიტორები კი უამრავი ჰყავს როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული დამსვენებლების სახით. ბიბლიოთეკას ოთხი ბიბლიოთეკარი ემსახურება: მთავარი ბიბლიოთეკარი ლეილა მარგველაშვილი, ბიბლიოთეკარები: მარინე აკოფოვი, ნინო შილაკაძე და ირინა ლომიძე.

ბიბლიოთეკის მომსახურების ზონა საკმაოდ დიდია. სურამში ოთხი საჯარო სკოლაა. რადგან რეორგანიზაციის შედეგად სოფლები ბიბლიოთეკის გარეშე დარჩნენ, ამ ბიბლიოთეკის მომსახურების სფეროში შედის ახლომახლო სოფლები. ზაფხულობით კი დამსვენებლებიც სარგებლობენ ბიბლიოთეკის მომსახურებით. ჩვენი მიზანია, მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ბიბლიოთეკის რესურსები, ხელი შევუწყოთ კითხვას, წიგნების პოპულარიზაციასა და ინფორმაციულობას, გავზარდოთ ბავშვებსა და მოზარდებს შორის ბიბლიოთეკით სარგებლობის მოტივაცია. გვსურს, რომ ბიბლიოთეკის გარემო მკითხველისათვის იყოს მიმზიდველი, კომფორტული და საინტერესო. ამ მიზნით ბიბლიოთეკაში ეწყობა მრავალი ღონისძიება.

დღეს დიდი ტარდიციის მქონე სურამის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მოწინავე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა ხაშურის მუნიციპალიტეტში, წინ კი უამრავი გეგმა და პროექტი გველოდება, რომელთა წარმატებული განხორციელება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ ძირძველი კერის პოპულარიზაციას.





ბესო ბაჯელიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკა შეიქმნა 2014 წლის შემოდგომაზე, როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის ერთერთი სამკითხველო დარბაზი (ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსი, II სარ-

ვაზისა და ღვინის დარბაზი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

თული). ვაზი და ღვინო არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ბრენდი და გამომდინარე აქედან, აუცილებელია ამ ტიპის სამკითხველო დარბაზების არსებობა. მსგავსი ტიპის სამკითხველო დარბაზები საბჭოთა პერიოდშიც იყო გორსა და თელავში, თუმცა ისინი უფრო ღვინის ქარხნის სტუმრების დასათვალიერებელ სივრცეს წარმოადგენდა, ვიდრე სამკითხველო დარბაზს. შულავერის ცნობილი აღმოჩენის შემდეგ (პირველი კულტურული ვაზის ჯიშის vitis vinifera–ს არტეფაქტი საქართველოშია ნაპოვნი) კიდევ უფო დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა ქართული ვაზი და ღვინო, იმატა როგორც მეცნიერების, ასევე ტურისტების ინტერესმა. მევენახეებმა დაიწყეს საოჯახო მარნების მშენებლობა.

ქართული ვაზი და ღვინის პოპულარიზაციის





პროცესში ეროვნულმა ბიბლიოთეკამაც მიიღო მონაწილეობა და ღვინის კლუბთან ერთად გახსნა ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკა. ეს არის სამკითხველო დარბაზი, სადაც თავმოყრილია ლიტერატურა მეღვინეობა-მევენახეობისა და მახლობელი დარგების შესახებ. აქ არის სახელმძღვანელოები ნიადაგმცოდნეობაზე, კლიმატზე, შხამქიმიკატებზე და ასე შემდეგ.

ღვინის ბიბლიოთეკა ყოველკვირეულად მარაგდება ახალ-ახალი წიგნებით და გამოცემებით. გვაქვს ძალიან საინტერესო ენციკლოპედიური გამოცემები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ასევე - რუსულ ენაზეც. გარდა სტანდარტული საბიბლიოთეკო საქმიანობისა, ღვინის დარბაზში ხორციელდება რამდენიმე საინტერესო პროექტი: ივსება მეღვინეების ციფრული ბაზა, სადაც შესულია ყველა ქართველი მეღვინის ბიოგრაფია. ასევე ხდება მეღვინეების ფოტო არქივის გაციფრება. უამრავი საინტერესო ფოტოა ნაპოვნი გაციფრების პერიოდში. ვუკავშირდებით მეღვინეების ოჯახებს და ვაციფრებთ ფოტოებს. დედანი, რა თქმა უნდა, რჩება მფლობელთან, ელექტრონული ვერსია კი თავსდება ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბაზაში.

ასევე ვაგრძობთ საკოლექციოდ ღვინის ბოთლების ეტიკეტებს. ხდება იმ ეკლესია-მონასტრების აღწერა, სადაც მისდევენ მეღვინეობას, ან არის საინტერესო თემატური არტეფაქტები. ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ღვინის დარბაზის სივრცით, იქნება ეს ლექცია, პრეზენტაცია თუ სხვა თემატური ღონისძიება. უკვე ჩატარდა ღვინის კლუბის რამდენიმე ლექცია.

გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე მეღვინეობის უცხოური გამოცემები საკმაოდ ძვირია, ჩვენ ვთავაზობთ მკითხველებს, ყოველწლიურად მოგვანოდონ ინფორმაცია ასეთ წიგნებზე. ჩვენ გვაქვს საშუალება, ყოველწლიურად შევიძინოთ ხოლმე დაახლოებით 30 უახლესი საინტერესო გამოცემა.

ჩვენსა, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები



გულნარა სტურუა

საბიბლიოთეკო საქმის ამაგდარი მოღვაწე,
ჟურნალისტი


ბედი თუ ტალანტი? რამდენჯერ მიფიქრია ამ ორ სუბსტანციაზე. ბედიო - ამბობენ, ტალანტს ხუთი პროცენტი დაუთმეს...

დიახ! პატიოსანი თუ ხარ, თანაც მშრომელი, განათლებული, კარგი სპეციალისტი, მოამაგე და მზრუნველი ყველაფრისადმი, ოჯახისადმი, ხალხისადმი, ქვეყნისადმი და ამავე დროს შემოქმედიც... - გგონიათ, რომ საკმარისია ეს თვისებები ცხოვრებისათვის, იმისათვის, საზოგადოებას უყვარდე და გაფასებდეს, ან, უბრალოდ იმისათვის, რომ წარმოჩნდე ისეთი, როგორც ხარ? სად არის ასე! არა, ასეც არისო, მკარნახობს მეორე ხმა. ხშირად ამ მეორე ხმას ვუსმენ და ვუსმენთ ბევრი, ხმას კი არა, უბრალოდ ასე გვწამს, ასეთები ვართ, სხვანაირად ცხოვრება არ შეგვიძლია. სარგებელზე არასოდეს ვფიქრობთ, არც იმაზე - ვინ რას იტყვის, ვინ როგორ შეგვაფასებს... და მაინც, ფიქრზე თუ მიდგა საქმე, ბოლოს იმ თავდაპირველ კითხვასთან მივდივარ: ბედით, თუ - ნიჭით, შრომით, გონებრივი კაპიტალით, შემოქმედებით? ეჰ... რა ვიცი. მაგრამ, რაც მე არ ვიცი, თურმე კარგად იციან სხვებმა: „ამ ცხოვრებაში ქვუაც, ნიჭიც, ძალაც, ნებისყოფაც, ყველაფერი ფუჭი და ამოა, გამართლების ანუ ღვთის წყალობის გარეშე“... (გ.გეგეშიძე)

ახლა ჩვენს ერთ დიდ კლასიკოს მწერალზე - გურამ გეგეშიძეზე ვფიქრობ: იგი სულ ახალახან,

ეს, დიდი მწერალი - გუჩამ გუგუშიძე...

წყნარად და უჩუმრად წავიდა ჩვენგან. ფიქრები უფრო გურამის თანატოლმა მეგობარმა მთავლელთა კლუბიდან - გიორგიმ ამიფორიაქა. მთებსა და ჭიუხებს ერთად ვეჭიდებოდითო, მასთან, ერთ ბოთლ ღვინოსთან ან არაყთან ერთად, თავშექცევას რა სჯობსო, რა საუბარი აქვს, რა სიტყვა - პასუხიო... ხშირად უთქვამს ჩემთვის ბატონ გიორგის ჯერ კიდევ გურამის სიცოცხლეში, როდესაც იგი თავის ძველ მეგობარსა და საამაყო ადამიანთან სტუმრობის შემდეგ შემხვდებოდა ვაკის პარკში, დილით, სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გამოსულს, ახლა კი ცხარე ცრემლებით მათირა, როდესაც გურამის დაკრძალვის ამბები მომიყვა... საბურთალოზე დაუსაფლავებიათ, ალბათ თავისიანებთან... მე რას წავიდოდი, უძღურად მყოფი... (პანდემია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული). გურამი, ყველა წიგნიერი ქართველის ახლობელი და კეთილისმყოფელი, ჩემი არცთუ ისე შორეული ნათესავი იყო: გურამის ბებია (მამიდან) - ფედოსია გოგუაძე და ჩემი ბაბუა (დედიდან) - დარისპან გოგუაძე ალალე დაძმანი იყვნენ. ჩვენ, მშობლების სიცოცხლეში, დიდი ურთიერთახლობლობა გვქონდა. გურამის მამა - შალვა ბიძია და დედა - ოლია დეიდა, თბილი და ძალიან საყვარელი ადამიანები, ხშირად იყვნენ ჩვენი არა თუ მასპინძლები, არამედ პატრონებიც კი... შალვა ბიძია - ექიმი, თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოში (რამდენადაც მახსოვს) ერთ-ერთი განყოფილების უფროსი, მშობლიური გრძნობით გვივლიდა და ხელმძღვანელობდა ჩვენს ჯანმრთელობას. ჩემს მოხუც ბაბუაზე (შალვას ბიძა) ხომ დიდი ამაგი აქვს... ასე, რომ მაჩაბლის ქუჩის პირველ ნომერში, მეორე სართულზე არსებული ოროთახიანი განკრიალებული ბინა და მისი მობინად-



გურამ გვეშვიძე



რენი ჩემი ბავშვობის დაუვინყარი მოგონებების ერთ-ერთი საგანძურია... მაგრამ ეს რა სახსენებელია იმასთან შედარებით, რაც შემდგომ გურამის ცხოვრებამ და შემოქმედებითმა მოღვაწეობამ მოუტანა ქართულ კლასიკურ მწერლობას.

2016 წელს გურამის ბოლო რომანი - „ნათლისქრობა“ წავიკითხე. წიგნი ჯერ კიდევ ბოლომდე არ

მქონდა დამთავრებული, მაგრამ იმდენად ვიყავი აღფრთოვანებული ამ დიდებული რომანით, არ შემეძლო არ შევხშიანებოდი ავტორს. ყურმილი თავად აიღო, ეს რა დაგინერია, ჩემო ძვირფასო-მეთქი... ჩემი ალტაცება გავაცანი. გაუხარდა.

„...ასე ყოფილა და ასეა ახლაც, ადამიანი არ იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ ვითარდება და ცხოვრების ფორმებსაც გარდაქმნის. არსი იგივეა, გარსი არა! (გ. გვეშვიძე - „ნათლისქრობა“, გვ. 375)“, და მახსენდება მარკუს ავრელიუსი - „ნურასოდეს დაივინყებ, რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის, იგივე იქნება მარად“. ასე მსჯელობენ ფილოსოფოსნი. „ნათლისქრობის“ ავტორიც ამავეს გვეუბნება, ღრმად გვახედებს იმ ცხოვრებაში, რომელშიც ამ ეპოქის შვილები ცხოვრობდნენ, საქმიანობდნენ, ზოგი მოღვაწეობდა კიდევ... რას არ წვდება მწერლის გონების საწიერი. ჰორიზონტის იქეთაც ქვრეტს მისი თვალი. სად არ იყურება, რას არ ამჩნევს და აღწერს. უზადოა მისი კალამი, საოცარია ამ კალამით აკრეფილი ქართული სიტყვა, ბუნებისა თუ კაცის ნებისმიერ მოქმედების, მოძრაობის ლამაზად, მოქნილად გამომხატველი.

ცრემლიანი მარტის თვეა და გაცრეცილი პალტოს აწეულ საყელოში სახეჩაფლული გიორგი უნდილაძე გამოყავს მწერალს ასპარეზზე. ეს ის დაწყვეტილი, სისხლიანი წელია, ხრუშჩოვის სტალინის (როგორც კულტის) მიმართ გატარებული პოლიტიკით შეურაცხყოფილმა და ეროვნული გრძნობებით აღტკინებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ სტალინის გარდაცვალების თარიღის საყოველთაოდ აღნიშვნა რომ განიზრახა. ამას რაც მოჰყვა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, აი ის არის, რაც არის! რა სიმწარეს, რა ტრაგედიებს არ მოსწრებია ჩვენი ქალაქი, რომლის ისტორია, თავისთავად, ერთი დიდი ტრაგედიაა, მაგრამ სულ სხვა განცდაა, სულ სხვა შეგრძნებაა, როცა ტრაგედია შენს თვალწინ ხდება...

გიორგი უნდილაძე იმდროინდელი ახალგაზრდობის სიმბოლური პერსონაა ამ დიდ ეპოპეაში. ბექა, როსტომი, ცქიტო ჯანდიერი, გივი, ქართლოსი - მაშინ ახალგაზრდები, სტუდენტები, იგივე ჩვენა ვართ, ვინც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დავიბადეთ, ვისაც დიდი დრო მეოცე საუკუნეში გვიცხოვრია, გაგვიტარებია, და



ახლა ამ დროის ცხოვრებასა თუ სიცოცხლეს ანალიზს უკეთებს ავტორი. ცხოვრება, პოლიტიკური თუ სოციალური, მრავალნახნაგოვანი, ათასგვარი შიგთავსით სავსე ცოცხალი ორგანიზმია, ამ ორგანიზმში ხდება და თავსდება სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობა. მისი ერთი ნახნაგიდან შეფასება შეუძლებელია....

21 წლის, უნივერსიტეტის სტუდენტი, გიორგი უნდილაძე თითქოს ახლა იწყებს ცხოვრების საიდუმლოებების შესწავლას. ხომ წარმოუდგენელი რამ არის, ჩანვდე სიკვდილის რაობას, ახსნა კაცობრიობის ეს შეუცნობელი ფენომენი! და, როდესაც ცხრა მარტის თბილისის აყირავებულ ცხოვრებაში გიორგიც აღმოჩნდა მეგობარ ბიჭებთან ერთად, როდესაც ქაშვეთის ეკლესიასთან რუსმა ჯარისკაცებმა უიარაღო ხალხს გაუხსნეს ცეცხლი და მისი მეგობარი ბექა იქვე ჩაიკვცა, „გაოგნებული გიორგი და გოჩა ერთმანეთს მიაშტერდნენ...“ რა მოხდა, ნუთუ გაიხსნა „იდუმალი სინამდვილე?“ ნუთუ ეს არის ცხოვრება? დიახ, ეს არის, - ამბობს მწერალი და მკითხველიც მიჰყავს იმ მიხვეულ-მოხვეულ, სახიფათო უღელტეხილებით ჩახერგილ ბილიკისაკენ, რომელიც გაყინულ, მდუმარე მწვერვალისაკენ მიიწვევს, მაგრამ არ ვიცით, რატომ დუმს ეს მწვერვალი, ან საერთოდ რა არის და რა ხდება იქ!

საიდან სად მოვსულვართ, რანი ვიყავით და რანი ვართ ახლავ, გვეუბნება მწერალი. ფიქრებში ჩაფლულნი ინტერესით მივდევთ ახალგაზრდა გიორგის, საიტკენ მიდის, როგორია მისი ცხოვრება, რა ტკივილი აწუხებს, რა უხარია...

სხვა რამ სიკეთესთან ერთად, გიორგი უნდილაძე მთასვლეელია. „მთებში ხეტიალით გატაცება მაძიებლობის დაუცხრომელმა ჟინმა წარმოშვა. რა არის იქ, როგორ უნდა აძვრე მიუდგომელ მწვერვალზე, რომლის თხემზე დასაბამიდან დაფენილ თოვლში, ჯერ არავის დაუდგამს ფეხი. შენ იქნები პირველი, თუ იქ ახვალ. ამ სწრაფვის დაძლევა შეუძლებელია. შემეცნების სურვილი სად არ მიიყვანს ადამიანს, უსასრულობის შემზარავ ქვესკნელსაც გაუსწორებს თვალს და თავის ხვედრზე დააფიქრებს ამ სამყაროში, ყოველივე ეს კი სიმამაცეს მოითხოვს, რაც გონიერებასა და სიკეთესთან შერწყმული ადამიანის სრულყოფის საწინდარია“... (გვ.210)

მაძიებლობამ და შეუცნობლისაკენ სწრაფვამ საქართველოს კუთხე-კუნჭული მოატარა მწერა-

ლს. სად არ ყოფილა ის, სად არ უვლია, ბარში თუ მთაში, ყველა კუთხის ზნე-ჩვეულება შეუსწავლია, იქაურთა ცხოვრებით უცხოვრია, მათ ბუნებაში ღრმად ჩაუხედავს, იქ ბევრი უცნაური რამ წაუკითხავს. რა არის ადამიანის ცხოვრება. სიცოცხლე- რისთვის, რატომ! რამდენი ბოროტი ბაქტერია და ბაცილა დაძრწის თურმე და ამავე დროსრამდენისიკეთედასიხარულიაადამიანში.

წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს იმ ტრაგიკულ დღეებს, როდესაც გიორგი უნდილაძე და მისი მეგობარი გოჩა მომსწრენი გახდნენ ცხრა მარტის უმძიმესი დღისა, როდესაც ახალგაზრდები, სიკვდილის წინაშე პირისპირ აღმოჩნდებიან, როდესაც გიორგიმ „ცხადზე უცხადესად შეიგრძნო, რომ სინამდვილე მოჩვენებაა, საწუთრო - მყიფე, წუთისოფელი გაუტანელი...“ და მერე უმძიმესი სურათები... მიცვალებულის მისვენება სახლში, თავზარდაცემული მშობლების უმტკივნეულები რეაქცია, „კაკებესა“ თუ ეგრეთწოდებული სუკის დამოკიდებულება ამ ტრაგედიისადმი - უხმაუროდ დაკრძალეთ, თორემო... აქეთ რომ ემუქრებოდნენ გაუბედურებულ ოჯახებს... ყველამ ვიცით, რაც იყო და რაც მოხდა მაშინ, მაგრამ გურამ გეგეშიძის მსგავსად, ეს მართლაც და შემადრწუნებელი სურათები არავის არ აღუწერია. საავადმყოფოს მორგის განყოფილებაში შეყრილი გვამები, მშობლების მიერ ძლივს ამოცნობილი, უკვე სიცოცხლემოსწრაფებული, დასახიჩრებული შვილებისა და ნათესავების ხილვისას ჭირისუფალთა გულებიდან ამოხეთქილი ღრიალი... მწერლის მგრძობიარე კალმით დახატული და აღწერილი ეს უსაშველო სევდა და ნალველი, რაც ცხრა მარტის დღეებმა მოუტანა საქართველოს, იშვიათად თუ შემხვედრია ჩვენს ლიტერატურაში. საინტერესოა არა მარტო ფაქტები, არამედ მწერლის ანალიტიკური აზრები, ფიქრები, რაც თან დევს თითოეულ მოვლენას. ფიქრებში ჩაფლულია მკითხველიც და მწერალთან ერთად ფეხდაფეხ მიჰყვება გიორგი უნდილაძეს. ახლა უნივერსიტეტშია გიორგი. ცხრა მარტის ამბებთან დაკავშირებით კრება იმართება. დეკანი, პრორექტორი და კათედრის გამგე ამ უბედური დღის გამართლებას ცდილობენ აუდიტორიის, სტუდენტების წინაშე, კიცხავენ სტალინის ღირსების დასაცავად ქუჩაში გამოსულ ახალგაზრდობას... უსმენს გიორ-

გი კათედრიდან წარმოთქმულ მათ სიტყვებს და კიდევ უფრო ღრმავდება კონფლიქტი მასა და იმ სოციალურ გარემოს შორის, სადაც უწევს ცხოვრების შეცნობა. ნეტავ რას ამბობს კათედრის გამგე, რას იგონებს, რას უყვება სტუდენტებს, ვითომ მომიტინგეების მხრიდან მოხდა გასროლაო და ურცხვი სიცრუით უნდა დაარწმუნოს მსმენელები. მხოლოდ ამის შემდეგ, საპასუხოდ გაისროლესო რუსმა ჯარისკაცებმა. ეს ხომ საშინელი ცილისწამებაა და... გიორგის რაღაც შინაგანი ბიძგი ადგილიდან წამოაგდებს. იგი ეწინააღმდეგება ამ „პატივცემულ ავტორიტეტებს“, დასცინის მათ და გულდამძიმებული, გაჭავრებული ტოვებს აუდიტორიას. ვინ აპატიებდა საწყალ სტუდენტს სიმართლის თქმას. გიორგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს...

ხომ ვთქვით, რომ ცხოვრება მრავალპრიზმიანია, მრავალწახნაგოვანი, თავად ადამიანიც ასეთია. ზოგი რას ფიქრობს და ზოგი რას. ზოგი დარწმუნებულია თავის სიცრუეში, მაგრამ მაინც ცრუობს - „ასეა საჭირო და იმიტომ“. ზოგს კი მართლაც სჯერა, რასაც ამბობს... უკვირს გიორგი უნდილაძეს, მაგრამ მაინც უსმენს ერთ საინტერესო პიროვნებას, ძველი არისტოკრატიის წარმომადგენელს, „კომუნისტური ეპიდემიისაგან“ შემთხვევით გადარჩენილ და მაინც ასე უცნაურად მოაზროვნე - ბატონ საშას. სტალინი სოკრატისეული ბრძენკაციაო... სამშობლო უყვარდაო, „თანამედროვე მსოფლიოში პატარა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო. თქვენ არ გახსოვთ მენშევიკების ხანა, ახალგაზრდები ხართ, წარმოუდგენელი არეულდარეულობა და ურთიერთდაპირისპირება ხლეჩდა საქართველოს... იგივე იყო ერეკლეს მეფობის მიწურულს, კრწანისის ომის დროსაც და მის შემდეგაც... ეს ყოველივე სტალინს გაცნობიერებული ჰქონდა და საქართველოს გადარჩენისთვის ერთადერთ გზად საბჭოთა კავშირში, ამ დიდ იმპერიაში გაერთიანება მიაჩნდაო“... ბატონი საშას ენით გამოამჟღავნა მწერალმა ზოგთა დღესდღეობითაც შემორჩენილი შეხედულება და გამართლება იმ სასწაულებისა, რაც კომუნისტების მოძრაობისა და „მოღვაწეობის“ შედეგად ხდებოდა ხელისუფლებაში ძალადობრივად მოსვლის დასაწყისიდანვე... ამ აზრის საპირისპიროდ მწერალი, უამრავ პერსონაჟთა შორის ისეთ მოქმედ პირებსაც გვაც-

ნობს, რომელთა ცხოვრებასაც ანტიჰუმანური თეორიებით გაჟღენთილმა კომუნისტებმა საფუძველი გამოაცალეს. სოსოიე ტაკიძე ერთ-ერთი მათგანია, გურიის შორეული სოფლიდან, ორმოცი წლისა, უკვე ცხოვრებისგან მოტეხილი. ომში ტყვედ ჩავარდნილმა, „რა შიში, რა გულისხმეთქა, რა ტანჯვა-წამება არ განიცადა, რამდენი უბედურება და სიკვდილი არ იხილა“... ბოლოს ციმბირიდან სადღაც, ჯირგისტალში მოხვდა... სამშობლო ენატრება, მაგრამ შიში აიძულებს იქვე, იმ უცხო ქვეყანაში დარჩეს...

და ასე, უნივერსიტეტიდან, კათედრის გამგესთან შელაპარაკების გამო, უსამართლოდ გარიცხული სტუდენტი მიდის ცხოვრების სუსხიან, თოვლითა და ყინულით მოჭირხლულ მთაგორიან გზაზე. თავგადასავლებით, ხიფათებით დახუნძლულია ეს გზა და ამ გზაზე ბევრი რამ ხდება, ისეთი, რაც ბევრჯერ შეგვხვედრია, გვინახავს, მაგრამ არ დავფიქრებულვართ, არ გავციცნობიერებია, რატომ, რისთვის, ამდენი ბოროტება, გაუტანლობა, სიძულვილი და იქვე ადამიანები სულ სხვა მისწრაფებებით, მშობლიური, თბილი და კეთილი გრძნობებით, მამულის სიყვარულით. თავად გიორგი უნდილაძეა ასეთი. ბებიისა და ბაბუის კერიის მოგონებებით იკვებება მისი სულიერი სამყარო... „ბებიას დარგული წითელ ვარდები, გრძელი აივნის წინ რომ ბრდღვიანებდნენ და ტკბილ სურნელებას ავრცელებდნენ ირგვლივ... სწორედ ამგვარი წვრილმანები წარმოადგენდა მისთვის სამშობლოს“... (გვ.398)

სხვადასხვა აზრით, ხასიათით, ცხოვრების წესით, ნირით და ქცევით გამორჩეულ ადამიანებთან შეხვედრა, მათთან ურთიერთობა ურთულესია, მაგრამ ეს არის სწორედ ცხოვრება და მისგან მიღებული გაკვეთილებით კიდევ უფრო ძლიერდება ადამიანის სწრაფვა სრულყოფილებისაკენ.

თანდათან ივსება გიორგი უნდილაძე ცხოვრებისეული ცოდნით... ეს ცოდნაც არ არის რაიმე შეღავათის მომცემი, წუთისოფლის იოლად გადასაგორებელი, ცხოვრების შემამსუბუქებელი. მგონი პირიქით ხდება. უფრო და უფრო მძიმდება მისი სატარებელი ჯვარი.

გიორგი უნდილაძემ, გარიცხულმა სტუდენტმა, ვერ აღიდგინა თავი უნივერსიტეტში, ვერ უშველეს ნაცნობ-მეგობრების ზარებმა. და ახლა იგი ჯარშია განვეული. აი აქ მოხვდება გიორგი, რომ-



გორც სპორტსმენი, მთასვლელთა კლუბში. უცნაური და მეტად შთამბეჭდავია მისი, როგორც მთასვლელის ცხოვრება. ნაშალი ქანებით ჩახერგილი გზები, ბილიკები, დიდი მწვერვალის დაპყრობის ჟინი, სიხარული და აღმაფრენა, მაგრამ იქვე დიდი ტრაგედია... მის თვალწინ მოულოდნელად იღუპება მეობარი, მთასვლელი გივი, ერთი წუთის წინ გოროზი და მიუკარებელი მწვერვალის დაპყრობით გახარებული, ცოლშვილთან შეხვედრაზე მეოცნებე. რამდენი სიცოცხლე ჩაქრა გიორგის თვალწინ. ეს არის ნათლისქრობა? შეიძლებაოდა სხვა სათაურიც. გული მწყდება, რატომ არ დავეკითხე მწერალს ამ დიდი ეპოპეის სათაურის შესახებ?!

დაკვირვებული, ანალიტიკოსის თვალით, მღელვარებით, განცდებით, სამშობლოს სიყვარულით, ადამიანებისადმი ნდობითა და პატივისცემით გადმოგვცემს გურამ გეგეშიძე რომანის მრავალრიცხოვან გმირთა საინტერესო და დამაფიქრებელ ცხოვრების დეტალებს. პარალელურად, საქართველოსა და მსოფლიოს მნიშვნელოვან, ისტორიულ ამბებსაც შეგვახსენებს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ არაფერი იცვლება, რომ ყოველივე იგივეა, რაც იყო, რომ „დედამიწის ზურგზე არ არსებობს შეუბღალავი ისტორიის მქონე ხალხი“, რომ „წუთისოფელი დაუსრულებელი ბრძოლაა და გაუთავებელი ძალისხმევა, თუ ვერ იბრძოლებ, ვერც იცოცხლებ“ (377 გვ.) თვალმოუწყვეტლივ იკითხება ფიქრებითა და აზრებით დახუნძლული ეს დიდი მხატვრული ტილო. იკითხება, როგორც ღრმად გასააზრებელი ცოდნა, გამოცდილება, ადამიანის უცნაური სულისკვეთებით, მოულოდნელობებით სავსე და განუმეორებელი ცხოვრება. სად არ იყო, რა არ ნახა ამ ახალგაზრდა კაცმა. მეოცე საუკუნის საქართველოსთან ერთად ყველა მისი ბედისწერის საფეხური გამოიარა და ბოლოს

ისიც ნახა, როგორ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქართველები. საქართველოს ისტორიის ავად დაგრეხილ ლაბირინთებში ფიქრებაშლილ მოსიარულეს რა უნდა გაკვირვებოდა?! რას ან ვის უნდა მიეყენებინა მრავალჯერ დაჭრილი გულის ტკენა - აფხაზეთის ომს, ოსებისა და რუსების ვერაგობას (ამ ყველაფერზე მხატვრულ-ფილოსოფიური ეპიზოდებია გაშლილი რომანში)? რა თქმა უნდა, მაგრამ მოხდა უარესიც!..

„ძირს ტირანი!“ ყვიროდნენ ერთნი, „მოლაღატეებო, ჯაშუშებო!“- ყვიროდნენ მეორენი და ესენი ისევ და ისევ დაპირისპირებული ქართველები იყვნენ. რუსთაველზე ტყვიები ცვიოდა...

„ერი ხანგრძლივი რაობაა, უცბად არ ქრება“ - ფიქრობს მწერალი. „მაგრამ თუ ღირსება დაკარგე, ფულში გაცვალე თავმოყვარეობა, დაივიწყე თვითმყოფობა და აითქვიფე, გინდ ყოფილხარ და გინდ არა...“ კითხულობ ქართველთა ყოფის, ცხოვრების, ისტორიის ამსახველ ამ შვიდასზე მეტ გვერდიან რომანს და მწერალთან ერთად უცნაურად გეჩვენება ის, რომ „ადამიანმა იცის თავისი ბოლო, მოკვდება, .. მოისპობა მისი სახსენებელი ამ ქვეყნად, მაგრამ მაინც არხეინად განაგრძობს ამ ქვეყნად ცხოვრებას, აწყობს გეგმებს, ელოლიავება იმედებს. ნუთუ რაღაც შინაგან ხმა კარნახობს, რომ სიცოცხლე არ ქრება?“ (738გვ.) ასეა ნამდვილად. მწერალი გურამ გეგეშიძე არსად არ წასულა. მან თავისი სულიერი საგანძურით, „ნათლისქრობაა“ ეს თუ სხვა მნიშვნელოვანი რომანები და მოთხრობები, უკვდავება მოიპოვა. ეპოპეა გრძელდება!..

ბატონი გიორგი მეუბნება - „გურამის საფლავზე ავედი, მინდოდა განმარტოებულს დამეტირა და ერთი ჭიქა ღვინოც მომესხა მის საფლავზე, ვერ მივაგენი, ვერ ვიპოვე... ეს, ნამდვილად დიდი მწერალი, დიდი ადამიანი! არ მიკვირს, ქართველები ვართ!



მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

*მე კვლავ იქა ვაჩ, სქაყ
shnl ხეში ნახსყოთი*

პოეზია ყველაზე აღმატებული ხელოვნებაა და არაფერს შეუძლია გამოხატოს აზრი სრულყოფილ ლექსზე უკეთ, - ამბობდა დიდი იტალიელი მწერალი გაბრიელ დ'ანუნციო.

პოეტი ალექსანდრე ლორია ემოციურობით გამორჩეული შემოქმედი. მისი ლირიკა მღელვარე გრძობითაა აღსავსე და მკითხველში იგი სწორედ ამგვარ ემოციათა გამოწვევას ცდილობს. ავტორის სამშობლოსადმი მიძღვნილი თუ სატრფიალო ლექსების ციკლი, უპირველესად, განუმეორებელი გულწრფელობის გამოხატულებით ხასიათდება და ამიტომაც, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ მისი შემოქმედება ყველა ერს ეკუთვნის.

ალექსანდრე ლორიას მთელი ცხოვრება, ბიოგრაფიული დეტალები იქნება ეს თუ შემოქმედებითი ლაბორატორია, იმთავითვე, პატრიოტული თემატიკით შემოიფარგლება.

**„თუ ახ გიყვარს სამშობლო,
თუ ახა თითი მისთვის,
ძუძუ ხად გიწოვია?
ხისთვის,
ხისთვის,
ხისთვის?“**

...
**თუ ახ იწვი მიწისთვის,
ამ მზისა და ცისთვის,
გაჩენიღბახ ამ ქვეყნად
ხისთვის,
ხისთვის,
ხისთვის?“**

ზემოთ დასახელებულ ლექსში პოეტი სიცოცხლის უაზრობასა და ჩვენი ყოფნა-არყოფნის ამაოებასთან ერთად, აშკარად გამოხატავს პირად განწყობილებას, მაგრამ ეს გრძობა საზოგადოა, კონკრეტულ ინდივიდუალური და განზოგადოებულია.

მართალია, პოეტიკა ცნობს თეზას, რომ პოეზიაში ლირიკული გმირი, უპირველესად, თვით ავტორია, მაგრამ ამ ლექსში პოეტის მიერ გადმოცემულ შთაბეჭდილებებს არ ჰყავს მოქმედი გმირი ჩვეულებრივი გაგებით.

ალექსანდრე ლორიას პატრიოტული ხასიათის ლექსებში ნათლადაა გამოკვეთილი ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი ეროვნული ინტერპრეტაცია, რომელსაც თან სდევს სევდის მოტივიც:

**„ჩვენო დიდო საუფლოვ -
საქაითველოვ პაგაჩავ!
თითქოს ბედად გეწეხა,
ამდენ ჭიხის აგანა.“**

...
**დღესაც კი აქვთ წადიდი
ნგხევის ჩვენი ნებისა,
ჩვენი დამდა - დაქვევის,
ჩვენი დამონებისა.“**

პოეტის მღელვარე განწყობილებით აჟღერებულ ლექსებში, ავტორის განცდასთან ერთად სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომის ტენდენციებიცაა ასახული. ეს განწყობილება მჟღავნდება ლექსებში - „აფხაზეთო...“ და „2008 წლის აგვისტო“:

**„აფხაზეთო, ხა გზა-კვადი იჩჩიე -
გადიმგეხე შენი ძმა და თვისი.
აქამდე ხომ თავისუფლად სუნთქავდი,
ახდა გახდი უცყვი მონა სხვისი...“**

ეს ლექსები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ მოყვრად მოსული მტრის რეალურ ზრახვებ-



სა და ქმედებებში. ამიტომ პოეტი ყველა მამუ-
ლისშვილის წინაშე, ამ სოფლისათვის ზრუნვას
უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს და მის თავ-
დადებას პიროვნების უკვდავების პირობად
სახავს.

**„შედახუდა მგხისგან - ცეცხლითა და აღით,
გათუდიდა ხუსის მძიმე ჩექმის ნაღით.
ცდილობს აეფახოს თითქოს კეთიდ სიოს,
მაგხამ სუხს, ხომ მოგსპოს, სუდ მთლად
დაგაქციოს.“**

**მოდოდა ადხე უფხოსი ძმის ნიღბით,
ვითომ წუხდა შენი ბედითა და იღბლით,
დღეს გამორჩნდა, გუდში ხა ზხახვები ედო,
დაგინგხიოს უნდა თავანი და ეხდო.
მაგხამ ახ შედგება უდხეკედი ეხი
ჩვენ გვინახავს ბევხი კახს მომდგაი მგეხი,
გავვიძღია უფხო ავბედითი წდების,
დხო მოსუდა მეხე ისევ განახლების.“**

თავის შემოქმედებაში ალექსანდრე ლორია
სიყვარულის თემასაც აჟღერებს. ეს მარადიული
გრძნობა სევდის მოტივსაც წარმოშობს. სევდის
მიზეზი კი ორგვარია: ორგანული და ფსიქიური.
ე.ი ცნობიერიცა და ქვეცნობიერიც.

ალექსანდრე ლორიას შემოქმედებაში ჩვენ
ვპოულობთ სევდის ყველა იმ ფსიქიურ და ფიზი-
კურ ნიშნებს, რომლებსაც თანამედროვე ფსიქო-
ლოგები სევდას განუყრელად ანიჭებენ: პასივო-
ბას, მის მიერ ადამიანის აქტივობის შენელებას
და გამრუდებას, მისი აზროვნების და წარმოსა-
ხვის დასუსტებას, ბრძოლაზე და მოქმედებაზე
ხელის აღებას, ცრემლთა ფრქვევას, უიმედობას
და მრავალ სხვას:

**„მე ალახ მომდგამს ძველი სიცოცხდე
და სუხნელებაც აკდია სიგყვას,
სევდით ვულიმი შოხეუდ აზხებს,
ეხთხედ გხძნობით მთხადს შენთვის ხომ მით-
ქვამს.“**

**„აჩასოდეს მინაგხია უკვდავება,
აჩცა ვმდგაჩვახ მე დიდების კახთან,
აჩაფეხი მწამებთა ქვეყანაზე
მაჩადიუდ სიყვახუდის გაჩდა.“**

**„ხოგოხ მინდა შენი ნახვა
სწოხედ ახდა, ამ წუთში...
სწოხედ ახდა!**

**სწოხედ ახდა!
მაგხამ დხოში წახსუდში.“**

**„დამიჯეხე დავილადე, ჩაქჩა ჩემი სანთელი,
ნულაჩ ეძებ ჩემში გხძნობას, შენგან ასე გათუ-
დიღს.“**

**ალაჩ ღვივის ჩემში ძველი ცეცხლოვანი ვნებანი.
დაჩჩა მხოლოდ სუდში მისი მწაჩე მოგონებანი.“**

თავის ლირიულ პოეზიაში მწერალი მოკრძა-
ლებით აცხადებს:

„მე ალაჩა ვწეხ, ძვიხფასო, დექსებს.“

„მაშინ მეც მავიწყდება ჩემი ჩუმი სიბეხე.“

ცხოვრების ამაოებით დაღლილი მწერალი
მომავალს უხალისოდ შესცქერის:

**„დამლდა ცხოვრების პხოზამ
ასეთი მქონია ბედი.“**

ალექსანდრე ლორიას სევდის მიზეზი ერთსა
და იმავე დროს სხეულებრივიცაა და ფსიქიკუ-
რიც:

**„ყვედა ფდიდი, მიუში, ბიდწი
წმინდა გაძახს მოესია.
მოვიკდავდი თავს უთუოდ,
ხომ ახ იყოს პოეზია.“**

მაგრამ საბოლოოდ, შემოქმედი მაინც არ ნებ-
დება ბედის განაჩენს:

**„ჩემი იაჩალი კადამია ბასხი
მასში აჩის ჩემთვის ამ ცხოვრების აზხი.“**

პოეტი ლექსში „ჩემი ეპიტაფია“ გაუბედავო-
ბით უკმაყოფილო მოღვაწის პოზიციიდან აცხა-
დებს:

**„ბევხი ჩამის თქმა შეეძლო -
ვეჩაფეხი ვეჩ თქვა.“**

ავტორი საკუთარი თვალთ ნათლად ხედავდა
პირადი სევდის სიმწარის სიღრმეს:

**„დამეშადა წახსუდი
ნაწიდ-ნაწიდ ფიქიებად,
ეხთი, გამაგებინა,
შემდეგ ხალა იქნება.“**

შემოქმედი ლექსში „არ უშავს რა“ მკაფიო სუ-
რათს გამოხატავს იმ ადამიანისა, რომელიც სე-
ვდის გავლენით მთლიანად თავისი შინა სამყა-

როსაკენ მიბრუნებულა, სოციალური სიტუაციის მიმართ ენთუზიაზმს არ იჩენს და საბოლოოდ, ინტროვერსიის ნამდვილი მსხვერპლი გამხდარა:

„თუ ვინმე ფიქრობს, მისი ცხოვრება - აქაფებუდი ცაღლა ზღვაუხი მუდამ იბოხგებს, ასე მშფოთვახედ, ასე დამაზი და უცნაუხი.

...

ყვედაფეხს თავისი აქვს საზღაუხი.“

ალექსანდრე ლორია თავის პოეზიაში ზოგჯერ ამხედრების ტენდენციებსაც ამჟღავნებს, რომელიც გარეგნულად თითქოს სულის დაცემას ეწინააღმდეგება და მისგან ძირითადად განსხვავდება.

„ღხომ თუ ვინმე აგვიჩემა - დამყოდნი თუ უჩრები, თუ ნიშანში ამოგვიღო ველახ გადაუჩრები.“

ავტორს კარგად ესმის დროის მუხანათობის შედეგი, მაგრამ მის ცნობიერებას, მის ნების-


ყოფას, მთელ მის არსს ამხედრების მომენტები იპყრობს, რომლითაც იგი თავის საკუთარ ტკივილსა თუ ტანჯვის მოშორებას ცდილობს. და ლექსში „ნატვრა“ მას მხსნელად ერთი რამ მიანიანა:

„მზის სხვივი და სითბო მომცა, სუხნელება ადესის. მოკვდე, თუ კი ხამ ვინაგხო უფხო უღიადესი.“

ასევე საყურადღებოა, მისი ფრთიანი სტრიქონები:

„ასე მგონია, საუკუნემ გამასწხო ჩემმა, მე კი კვდავ იქ ვახ, სადაც ახის ჩემი წახსუდი, გახს მახვევია ყვედაფეხი დხო გადასუდი, დამვიწყებია ბედისწეხა - ჩემი მდევედი, ფეხისცვალება, ჟამთასვდა თუ დხო უდმობედი.“

ასეთ მაჟორულ განწყობით ჰკრავს თავის ლექსთა კრებულს „დრო და მონატრება“ ალექსანდრე ლორია და მკითხველს რჩება რწმენა იმისა, რომ მის პოეტურ სტრიქონებს კვლავ და კვლავ იხილავს.





ნინო დოღიძე

კლუბ "ექვსნის" ხელმძღვანელი
ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა
შემოქმედებითი განვითარების ცენტრი

რევაზ ინანიშვილის მოთხრობების ახალი გამოცემების შესახებ

„ყაყაშიანოჲ ყუკოაჲჟი ბჰშა“

რევაზ ინანიშვილის მოთხრობების ახალ გამოცემაზე მიიწვი ვისაუბრო. ორ კრებულზე გიამბობთ - "მოთხრობები ქალებზე" და "მოთხრობები სიყვარულზე," რომლებიც სულაკაურის გამომცემლობამ ახალი დიზაინით და თემატიკით სულ ახლახანს, 2020 წლის ბოლოს გამოსცა. ეს გამოცემები ნამდვილი საჩუქარია მკითხველისთვის. ამ მოთხრობების უმეტესი ნაწილი უკვე წაკითხული მქონდა, მაგრამ, ასე შეკრებილი და ძვირფასი ქვებივით ჩანს ჩემთვისაც იმხელა ბედნიერება იყო, სიხარულით ვცმუკავდი შეკვეთილი წიგნების მოლოდინში.

რევაზ ინანიშვილი ჩემი საყვარელი მწერალია. ბავშვობიდან ვკითხულობ და მგონია, რომ სწორედ პატარაობიდან ღრმა სიბერემდე არ არსებობს ასაკი, როცა არაა მისი წაკითხვის დრო, როდესაც მისთვის შესაფერისი არ ხარ.

მისი ნათელი მოთხრობები პირველად, რასაც აკეთებს - გეუბნება, ვინ ხარ და ვინ იქნები. როდესაც კითხულობ, ამას ისე უთქმელად და უხმაუროდ გაგრძნობინებს, ვერც აცნობიერებ. თხრობის სტილი მსუბუქი, სადა, ჩუმი, ფაქიზი და ფრთხილია.

ერთ გოგონას ვაკითხებდი ჩემთან ერთად ამ ახალი გამოცემის კრებულს - მოზარდ, პატარა

გოგოს და ეს აზრი გამიზიარა: ვერ ვიგებ ამ მოთხრობებს. იმდენად უბრალო და ჩვეულებრივი ამბებია, სულ ვეძებ, რა ვისწავლო, რა სიბრძნე დავინახო და ვერ ვხვდები. ძალიან საგულისხმო იყო ჩემთვის ეს შეფასება, მისი გულწრფელობა. ამ გოგონამაც ეს სიჩუმე და უბრალოება დაინახა, სადაც ტრაფარეტულად კი არ ამბობს ავტორი - აი სიკეთე, სამშობლოს სიყვარული ან სიცოცხლის მშვენიერება. იგი ფაქიზად გიყვება და შენ აღიქვამ.

„მოთხრობები ქალებზე“ ერთმანეთზე საინტერესო პერსონაჟების ისტორიებია. ისეთი სინამდვილით და სიზუსტით გადმოსცემს ავტორი მათ განცდებს თუ თავგადასავლებს, მათ კანში შედიხარ. არ ვიცი ჩვენი დროის სხვა ქართველი მამაკაცი მწერალი, რომელიც ასე იცნობს ქალს და ასე შეუძლია გადმოსცეს მისი ამბავი. ალბათ არის კიდევ და აუცილებლად მივყვები ამ „გამოძიებას.“

„როგორც კი შენი სულის დახილს აჰყვები, ისეთი აღარ ხარ, როგორც სხვებს უნდის, და ყველა გე-

კითხება: ცუდად ხომ არა ხარ?“ - ამბობს ევა, ერთ-ერთი პერსონაჟი, ნაზი და სათუთი გოგო, ძალიან რომ ენატრება თავისი სოფელი და, რომელიც, სხვათა შორის, თავის შეყვარებულს



გულწრფელად გამოუტყდება, როგორ აკოცეს მისი ნების საწინააღმდეგოდ ქუჩაში სამჭერ უცნობმა ბიჭებმა. თუმცა ეს უკვე სხვა ამბავია. მხოლოდ იმის ჩვენება მინდა, როგორი მრავალფეროვანია თემები თითოეულ მოთხრობაში და რა ცეცხლი დუღს მათში.

ამბების მრავალფეროვნებას რომ გავყვეთ, აქ წაიკითხავთ ბარბალე ბადიურის ამბავს, კაკლის ბერტყვისას რომ ჩამოვარდა და გარდაიცვალა ადამიანებისგან მიტოვებული და გაუცხოებული; თოვლას სიყვარულის ტრაგიკულობას, დიდი დალის ავადმყოფობას, მედეას, თინიკოს ფანჯრიდან გადმოვარდნის სიმძიმეს და ახლა, ამ ჩამოთვლისას მივხვდით, რამდენი სიკვდილია ამ მოთხრობებში, რამდენი სევდა და დარდი.

„მოთხრობები სიყვარულზე“ ერთი კინოსავით მოთხრობით იწყება. უფრო ვუყურებდი, ვიდრე ვკითხულობდი. პერსონაჟებთან ერთად გავიდა წლები, ჯერ თავდავიწყებით სიყვარულში და მერე - საბოლოოდ განშორებაში.

- „- გაგაცილებ, მზია - წამოიწია გაბრომ.
- მე შენთან გაბუტული ვარ.
- ღმერთო კი მომკალი.
- მოკვდი.“

ეს ნაწყვეტი მოთხრობა „მზიადან“ მოვინიშნე. ჩემი „მკითხველთა კლუბის“ მოსწავლეებისთვის შეყვარებულთა თუ გულშეყარდნილთა ფრაზებს და სიტყვებს ვაკვირდები, ვაგროვებ მათ სახასიათო და სახუმარო გამოთქმებს. მინდა მერე თანამედროვე სამეტყველო ენას შევადაროთ, გავმხიარულდეთ, ენის ცვლილებას დავუკვირდეთ და დროის დინებას გავყვეთ ქალაქიდან ქალაქში, საუკუნიდან საუკუნეში.

„ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ ამ კრებულში ჩემი ყველაზე საყვარელი მოთხრობაა.

მთავარი პერსონაჟი ელენე ახალგაზრდა მასწავლებელია, ძალიან ჭკვიანი და მოკრძალებული, შეყვარებული მეგობარ მხატვარზე, რასაც ვერასდროს გაუმხელს მას. მეტიც, ძალი-

ან მცირედიტაც კი ბედნიერია. მასთან შეხვედრა და ხუთწუთიანი საუბარი მთელი თვის საგზლად ეგულება იქამდე, ვიდრე კიდევ ჩამოვა ქალაქში სხვადასხვა მარაგის შესავსებად. მისი მზრუნველობა დედის და დის მიმართ, ურთიერთობა მეზობლებთან, მეგობრებთან, უცნობ ადამიანებთან ნათლად აჩენს მის ძლიერ და, ამავე დროს, სათუთ ხასიათს, კეთილ ბუნებას, მომლოდინე, ამაყ გულს, სევდიან სიჩუმეს, როდესაც სინამდვილეს ვერავის ვერ მოუყვები. აქაც ევას ნათქვამი მახსენდება - „ყველას მაინც ისეთი რომ უნდებარ, როგორიც თვითონ უნდა, სხვა შემთხვევაში მარტო ხარ“.

ამ ჩანაწერის წერისას ვნახე მოთხრობის მიხედვით გადაღებული ნანა მჭედლიძის ფილმიც - „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, რომლის არსებობაც უფროსი მეგობრის წყალობით გავიგე დავისიამოვნე - თითქოს სიხარული გამიბეჭრდა.

დასასრულს მინდა ერთი რამ აღვნიშნო - რევან ინანიშვილის მოთხრობები, თუნდაც მისი ბიოგრაფია, ვგულისხმობ მაშინ გადასახლება 1937 წელში, სულ ერთი ბენოთი მაინც, მაგრამ მძაფრი, ძლიერი განცდით თუ განწყობით, მაგონებს ზაირა არსენიშვილს, მის სამეტყველო ენას. ზაირა არსენიშვილისგან განსხვავებით, ინანიშვილის მოთხრობებში თემატურად ძალიან მცირეა საბჭოური ეპოქის სასტიკი ხატება,

მაგრამ ეს მცირედიც ბევრის მთქმელია. მოთხრობა „ლარა“ ერთი მაგალითია იმისა, რის თქმასაც ვცდილობ - რევან ინანიშვილის მოთხრობებში კრთება საბჭოთა მწარე რეალობა. რომ შემეძლოს, უფრო უკეთ დავაკვირდებოდი ამ ორი მწერლის სამეტყველო ენას და გამოსახველობაში არსებულ მსგავსებას და თემატურ სიმძაფრეში - განსხვავებას.

არ ვიცი, შესაძლოა სულაც არაა ასე და არც არაფერს

ვამტკიცებ, მხოლოდ ფიქრებს გიზიარებთ და მთელი გულით ვხარობ რევან ინანიშვილის ახალი კრებულების გამოჩენას.



ველური ბუნება

WILDLIFE



გოჩა კობრივი

მთავარი რედაქტორი

ბუნების წიაღიდან ბოძებულ სიმდიდრეზე როცა არის საუბარი, უმეტეს ჩვენთაგანს ოქრო, ნავთობი ან გაზის საბადოები წარმოდგება თვალწინ. ხოლო ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სიმდიდრეს ველური ბუნება წარმოადგენს, რომელიც შეუფასებელიც არის და სამწუხაროდ დაუფასებელიც. ნავთობის მომპოვებელი ქვეყნები ზომავენ მარაგებს და უკვე ფიქრობენ იმაზე, თუ რა მოხდება, როცა ეს მარაგები გამოილევა, ან თვითონ ნავთობზე მოთხოვნა შემცირდება. ველური ბუნება კი ის რესურსია, რომელზეც მოთხოვნა სულ უფრო მატულობს და რომლის გამოლევა მხოლოდ ჩვენივე, ადამიანების დაუდევრობით და უკიდევანო სიხარბით არის შესაძლებელი.

ველურ ბუნებაზე უზარმაზარი წნეხის გამო, რაც სულ უფრო გამანადგურებელ და ხშირად შეუქცევად ეფექტს იწვევს, აუცილებელია განგაშის გამოცხადება და მყისიერი ზომების მიღება მის შესანარჩუნებლად. ჩვენ, საქარ-

ახალი ჟურნალი ბუნების შესახებ

თველოს ბუნებაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები, რომლებიც წარმოვადგენთ სახელმწიფო, საზოგადოებრივ, არასამთავრობო, სამეცნიერო და კერძო სექტორს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით გადავწყვიტეთ შეგვექმნა სივრცე (ჟურნალი „ველური ბუნება“), სადაც ვიმსჯელებთ, ვიკამათებთ და რაც მთავარია, ერთობლივი ძალებით შევეცდებით, გადავჭრათ პრობლემები. ვიმედოვნებთ, რომ ეს საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ განადგურებისგან დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ბუნება, არამედ ვისწავლოთ მისი მდგრადი გამოყენება და განვითარება.

ჟურნალი „ველური ბუნება“ სწორედ ამ მიზნით გაერთიანებული, თითქოს აქამდე დაპირისპირებული ადამიანების პირველი ერთობლივი პროექტია. ეს ინიციატივა ცხადყოფს, რომ ბუნებას შეუძლია ჩვენი გაერთიანება, რათა მოხდეს არსებული ცოდნის, გამოცდილების და ენერჯის არა ერთმანეთის წინააღმდეგ (რაც პირველ რიგში ისევ ბუნებას ვნებს), არამედ ერთმანეთის გასაძლიერებლად გამოყენება, რაც ადამიანისა და ველური ბუნების ჰარმონიულ თანაცხოვრებას უზრუნველყოფს.

საქართველოს საამაყო ქაღები



დავით გურგენიძე

ქართველი ეტიუდისტი
მსოფლიო ჩემპიონი საქადრაკო ეტიუდების შედგენაში

ჭადრაკი საქართველოს კულტურული და სპორტული ცხოვრების ის ნაწილია, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სავიზიტო ბარათი და ქართველი ხალხის საყოველთაო სიამაყის საგანი გახდა. საოცარია მიღწევა, რომელიც ქართველ მოჭადრაკე ქალებს ეკუთვნით. 1962 წელს სწორუპოვარმა ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიო ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი დაიდგა. 1978 წელს მაია ჩიბურდანიძემ ესტაფეტა ჩაიბარა და ღირსეულად იდედოფლა. 29 წლის განმავლობაში ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე ხუთ-ხუთჯერ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. ოთხი მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისთვის „სუფთა“ ქართული იყო. ნონასა და მაიასთან ერთად ეს ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანის სახელებთანაა დაკავშირებული.



ჭადრაკის მსოფლიო დედოფლები

არანაკლებ ტრიუმფალური იყო ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა მიღწევები მსოფლიო საქადრაკო ოლიმპიადებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრებმა ოთხჯერ მოიპოვა ვერა მენჩიკის თასი. მანამდე კი ორჯერ, გამარჯვებულ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მხოლოდ ჩვენი თანამემამულეები თამაშობდნენ.

ისტორიული მოვლენა იყო ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1997 წელს ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის დაწესება. ეს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ჩემპიონის სახელის უკვდავყოფა და ქართველ მოჭადრაკე ქალთა ფენომენის აღიარებაა. ცარიელ ადგილზე ასეთი მასშტაბის წარმატებათა მიღწევა შეუძლებელია. საუკუნეების განმავლობაში ჭადრაკის არსი კარგად ჩაიწერა ქართველი ადამიანის თვითმყოფად ბუნებაში. ბრძენთა თამაში ქართველებისთვის ნიჭის, გონიერებისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენისა და განვითარების საშუალება გახდა. ჭადრაკი თანდათანობით მკვიდრდებოდა ქართული ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

წლეულს, ჩვენი ორი დიდი ჩემპიონი, დაბადების საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ მიმდინარე წელი დედოფლების წლად გამოაცხადა.

-აჰ იქნებოდა ნონა, აჰ ვიქნებოდიო ჩვენც, ქაჩთვედი მოჭადრაკე ქაღები,- ეს მაია ჩიბურდანიძის სიტყვებია. მაიას ჩემპიონობას კი გაჩიედ ჭანტუხიამ სტაგია მიუძღვნა „ოჰი დედოფლის გამბიცი“ და ფხითიანი ფხაზით გამოხატა დედოფლის გვირგვინის გადაცემის ცეხემონიადი: „მაია -ნონას ყვედაზე ღიღი გამაჩკვებაა!“

დედოფლის ათი ზვირვინი



ნონა გაფრინდაშვილი - ელიზავეტა ბიკოვა
9:2
1962 წელი. მოსკოვი



ნონა გაფრინდაშვილი - ალა კუშნირი
8,5:4,5
1965 წელი. რიგა



ნონა გაფრინდაშვილი - ალა კუშნირი
9,5:4,5
1969 წელი. თბილისი, მოსკოვი



ნონა გაფრინდაშვილი - ალა კუშნირი
8,5:7,5
1972 წელი. რიგა



ნონა გაფრინდაშვილი - ნანა ალუქსანდრია
8,5:3,5
1975 წელი. ბიჭვინთა, თბილისი



მაია ჩიბურდანიძე - ნონა გაფრინდაშვილი
8,5 : 6,5
 1978 წელი. ბიჭვინთა



მაია ჩიბურდანიძე - ნანა ალექსანდრია
8:8
 1981 წელი. ბორჯომი, თბილისი



მაია ჩიბურდანიძე - ირინა ლევიტინა
8,5:5,5
 1984 წელი. ვოლგოგრადი



მაია ჩიბურდანიძე - ელენა ახმედოვსკაია
8,5:5,5
 1986 წელი. სოფია, ბორჯომი



მაია ჩიბურდანიძე - ნანა იოსელიანი
8,5:7,5
 1988 წელი. თელავი



ფოტოებით შემონახული საქართველოს ისტორია



მაია შონია

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფოტოარქივის შექმნა გოჩა ქობლიანიძემ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო. პროფესიით ისტორიკოსის, „საქნიგნის“ თანამშრომლის ძველი ამბებით დაინტერესება ბუნებრივი იყო. მამის დაწყებული საქმე შვილმა, არქიტექტორმა ბაადურ ქობლიანიძემ განაგრძო. თბილისისა და მისი არქიტექტურის სიყვარული ფოტოკოლექციის შექმნის საოცარ ვნებაში გადაიზარდა. მან ძველი ფოტოების შეგროვება 90-იან წლებში დაიწყო, მაშინ, როცა თბილისში ყველა ყველაფერს ყიდდა. ყიდულობდა მშრალ ხიდზე, ოჯახებში შემორჩენილი არქივებიდან, კერძო კოლექციებიდან, აუქციონებზე. მისი ინტერესის სფერო გახდა თითოეული კადრი, რომელიც საქართველოში ან საქართველოს შესახებ იყო გადაღებული.

ქობლიანიძეების ფოტოკოლექცია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ანუ ფოტოგრაფიის დაარსებიდან, XX საუკუნის 50-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს. ფოტოები ისეთ ამბებს, პეიზაჟებს, შენობებს, ადამიანთა პორტრეტებს ინახავს, რომლებიც უკვე დაკარგულად ითვლებოდა. ეს არის კოლექცია, რომელშიც ასლი არ არსებობს, ამბობენ ამ საქმის სპეციალისტები. აქ ნახავთ ცნობილი ფოტოხელოვანების, ალექსანდრე როინაშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის

ფოტოისტორია, რომელიც ქობლიანიძეების კოლექციამ შემოგვინახა

ფოტოებს. მათ გვერდით კი ფოტომოყვარულების მიერ აღბეჭდილ უბრალო ადამიანებისა თუ ეპოქალური მოვლენების ამსახველ საოცარ კადრებსაც იპოვით. ბაადურ ქობლიანიძისთვის ფოტოს არჩევა გამოცდილების საკითხია, რომელიც წლების მანძილზე დაგროვდა. ადამიანების ჩაცმულობის, ფოტოს ხარისხის, ქალაქის მიხედვით ფოტოზე ასახული პერიოდის დადგენა, ან ასლისა და ორიგინალის ერთმანეთისგან გარჩევა მისთვის მარტივია.

კოლექციონერისთვის ცნობილი და უცნობი ფოტოგრაფები არ არსებობენ, მთავარია ფოტოს შინაარსი და მასზე აღბეჭდილი კადრის მნიშვნელობა.

მართალია, ფოტომოყვარულმა წლების მანძილზე ნაგროვები უნიკალური მასალა მთლიანად ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა, მაგრამ ამ საქმეს ისევ აგრძელებს, რადგან ის ჰობია, სიყვარულია, რომელიც არასოდეს მთავრდება და როცა ხედავს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი იპოვა, ის აუცილებლად ინაცვლებს მის მომავალ კოლექციაში.

კოლექციის მნიშვნელობაზე საუბრობს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი: „ეს არის უნიკალური ფოტოარქივი, რომლის მსგავსს მე არ ვიცნობ. რაოდენობითაც და მნიშვნელობითაც ეს კოლექცია თვით იოსებ გრიშაშვილის პირად ფოტოფონდსაც კი ჯობია, რომელიც მის მუზეუმშია დაცული. ამ კოლექციის ძირითადი ნაწილის შეგროვება 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც ბაზრობაზე თავისუფლად შეიძლებოდა გეყიდათ ილია ქავჭავაძის ან გრიგოლ რობაქიძის ფოტოების ორიგინალები.“

20 წლის განმავლობაში ბაადურ ქობლიანი-ძემ 2800 ფოტო მოაგროვა. აქ ჩვეულებრივი ფოტო არ არსებობს. კოლექციის ყველა ფოტო ეპოქალურია, რადგან უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების ამსახველია.

ჩვენი ერთ-ერთი აღმოჩენაა რესტორან „ელდორადოს“ ფოტო ფიროსმანის ნახატებით. ნახატები კედელზე განთავსებულია კედელზევე მიხატული ჩარჩოთი, რაც, სავარაუდოდ, ასევე ფიროსმანის ნამუშევარია. კოლექციაში დაცულ ალექსანდრე როინაშვილის ფოტოებზე ეროვნული მოღვაწეების მთელი პლეადაა ასახული: ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი და სხვები. აქვე ნახავთ სამოყვარულო ფოტოების უნიკალურ კოლექციასაც, რომელზეც აღბეჭდილია თბილისის სანაპიროს მშენებლობა, საეკლესიო შენობის დანგრევის ფაქტი. შემონახულია ასევე თბილისის რეკონსტრუქციის კადრები, საყოფაცხოვრებო ფოტოები, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა. ფოტოები ბრწყინვალეაა შენახული. მსგავსი კოლექცია ჩვენს ბიბლიოთეკაში აქამდე არ ინახებოდა.“

ფოტოკოლექციის თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია და თითოეული კადრი იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამორჩეული ექსპონატის დასახელება თითქმის შეუძლებელია. კოლექცია მოიცავს პეიზაჟებს, პორტრეტებს, ხელოვნების ნიმუშებს, საქართველოს რეგიონებს, სპორტულ მოვლენებს. აქ ინახება საქართველოში ჩატარებული ჭიდაობის პირველი საერთაშორისო ტურნირებისა და პირველი ქართველი ძიუდო-

ისტების ფოტოები. ჭიდაობა იყო სპორტის სახეობა, რომელზეც ქართველი თავადები ფსონებსაც კი დებდნენ და გამარჯვებულ ფალავნებთან ერთად ქეიფებსაც კი აწყობდნენ. ამ და სხვა მსგავს ისტორიებს ფოტოკოლექციაში არაერთს იპოვით.

აფხაზეთის აქამდე უცნობი და უნიკალური ფოტოები, რომელიც XIX საუკუნის მინურულსა და XX საუკუნის დასაწყისშია გადაღებული, კოლექციის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია, რადგან ის ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიას ინახავს. ისტორიას, რომელსაც გვედავებიან, გვართმევენ, აყალბებენ და ამ გზით ცდილობენ ამ კუთხის შემომტკიცებას.

ბაადურ ქობლიანიძე: „იყო ასეთი ცნობილი და ძალიან მაღალი დონის ფოტოგრაფი, ივანე იუნაკი. მას ჰქონდა საინტერესო ფოტობარათების სერია. ეს იყო საფოსტო ბარათი, რომელსაც მიმონერისთვის და ერთმანეთთან გასაგზავნად იყენებდნენ. ფოტობარათები იმ პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იუნაკის ფოტობარათების სერია დაბეჭდილი იყო არა როგორც საფოსტო ბარათი, არამედ როგორც ფოტო და სხვა ფოტობარათებისგან განსხვავებით, მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ფოტოები განსაკუთრებულია გადაღების ტექნიკითაც. ფოტოხელოვანი ბარათებს ნომრავდა და ამ ნუმერაციის მიხედვით მათი რაოდენობა 200-ს აღემატებოდა. ამ სერიით იუნაკს გადაღებული აქვს გაგრა - როგორ შენდებოდა უნიკალური შენობები, როგორ გაყავდათ გზები, ჩამომსვლელი



აფხაზების ოჯახი_1900-1910-იანი წწ.

სტუმრები, ისტორიული შენობები, ბუნება. კოლექციაში არის ასევე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გაგრამი ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ამსახველი ფოტოებიც. ჩანს თაფლის, მცენარეების და სხვა პავლიონები. როგორც ირკვევა, ეს იყო რეგიონალური გამოფენა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნები მონაწილეობდნენ.

რუსეთის იმპერატორს სურდა, გაგრამ ექცია ისეთ კურორტად, როგორც იყო ნიცა, სანრემო. სამუშაოები დაიწყო კიდევაც. დანვრილებით შეისწავლეს კლიმატი - რამდენი ხანი გრძელდებოდა საკურორტო სეზონი, რის გამოყენება შეიძლებოდა სამკურნალოდ, დასასვენებლად.

პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგი აქტიურად იყო ჩართული გაგრამის მშენებლობაში. შემდგომში ცნობილი რესტორნებისა და ისტორიული შენობების მშენებლობა სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. ამ შენობების ასაშენებლად ნორვეგიიდან ჩამოჰქონდათ დამუშავებული ხის მასალა და სხვადასხვა აქსესუარები. შემდეგ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რამაც ამ პროცესს ხელი შეუშალა. თავდაპირველი გეგმით რომ გაგრძელებულიყო, გაგრამ მართლაც იქცეოდა, ალბათ, სანრემოდ ან ნიცად.

ივან იუნაკის 200 ფოტობარათიდან ყველა არა, მაგრამ უმეტესობა გვაქვს. ძალიან ძნელი იყო მათი მოპოვება. ძირითადი ნაწილი რუსეთში, აუქციონებზე მაქვს შექმნილი, რადგან ფოტობარათებით მიმოწერა რუსეთისკენ მეტი იყო. კოლექციაში არის გიორგი შარვაშიძისა და მისი ოჯახის, ასევე მერი შერვაშიძის ფოტოები. არის ასევე ალბომი, რომლის ავტორი დაუდგენელია, მაგრამ ჩანს, რომ ეს პიროვნება აფხაზეთში მოგზაურობდა. მას გადაღებული აქვს დრანდის მონასტერი, ახალი ათონი. ეტყობა, ეს ადგილები მოგზაურობის დროს გაიარა. გადაიღო ის ადამიანებიც, ვისთანაც რჩებოდა. ისინი არ არიან ცნობილი პიროვნებები, მაგრამ ამ ოჯახების ფოტოები აჩვენებს იმდროინდელ ყოფას და ცხოვრებას, რაც, შეიძლება უფრო საინტერესოცაა, ვიდრე ცნობილი ადგილები და პიროვნებები.

ფოტოებში საკმაოდ კარგად ჩანს მათი ჩაცმულობა, თუ როგორ გამოიყურებოდა ქალი, კაცი, ბავშვი. კოლექციაში სოხუმიც არის და სხვა ადგილებიც. არის ასწლოვანი ცაცხვების ამსახველი ფოტოები. ზოგს მინაწერი აქვს, ზოგიც გა-

მოსაკვლევია. ამიტომაც ინახება ის დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

კოლექცია რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას გადავეცი, შემთხვევითი არ იყო. ჩემთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა აქ მომუშავე ადამიანების დამოკიდებულება ამ საქმისადმი. რადგან ეს ჩემი ოჯახის ისტორიაა და დიდი შრომაა ჩადებული, არ მინდა, რომ უყურადღებოდ იყოს. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექცია „ივერიელის“ შექმნით დიდი რამ გაკეთდა. ხალხს ფოტოებთან წვდომა გაუადვილდა. ამიტომ ციფრული ასლები უფრო ადრე მივეცი ბიბლიოთეკას, ვიდრე თავად კოლექცია, რადგან

მიმაჩნია, რომ ადამიანებს ამ ფოტოებზე წვდომა უნდა ჰქონდეთ, უნდა შეისწავლონ, გამოიყენონ. ფოტოს თუ დავმაღავთ და სადღაც დავდებთ, მკვდარია მისი ისტორიაც და გამოსახულებაც, რაც დაუშვებელია. ბიბლიოთეკის საშუალებით კი ამ ფოტოებზე წვდომა ყველას ექნება.“



მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს-ძე ყიფიანი-ელისაბედ ალექსანდრეს ასული შერვაშიძე ქუთაისის ციხეში_1876

ფოტოკოლექციაზე ინფორმაციას გვიზიარებს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომელი ნათია კობახიძე: „კოლექცია, რომელიც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბაადურ ქობლიანიძისგან შეიძინა, ქობლიანიძეების ოჯახის დამსახურებით შესანიშნავად არის შენახული. კოლექციის თემატიკა მრავალფეროვანია. ამჯერად ყურადღებას აფხაზურ ნაწილზე გავამახვილებთ. ეს ნაწილი 200-მდე იშვიათ ფოტოსა და ფოტობარათს მოიცავს. მათი უმეტესობა ივან იუნაკის მიერ XX საუკუნის დასაწყისშია გადაღებული. პროფესიონალ ფოტოგრაფს ყირიმში ჰქონია თავისი ატელიე. ფოტობიექტივმა ასახა სოხუმის ქუჩები, ტყვარჩელის დასახლება, დრანდის, ბიჭვინთის, ახალი ათონის მონასტრები, გაგრის კლიმატური კურორტის ულამაზესი ხედები, ოლდენბურგის სასახლე, რესტორანი „გაგრიფში“, „სანაპირო სასტუმრო“, ბალები, ტბები, ბანანის ხეების ხეივანი; აქვეა გაგრაში მემცენარეობის პირველი გამოფენის (1903 წ.) ამსახველი უიშვიათესი კადრები - გამოფენისთვის მზადება, ცალკეული პავილიონები. რამდენიმე ეთნოგრაფიულ ფოტოზე აღბეჭდილია აფხაზთა ტიპაჟები. კოლექციაში შეიძლება შარვაშიძეთა გვარის წარ-

მომადგენელთა ხილვაც: ულამაზესი მერი შერვაშიძე; აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟი, პოეტი და დრამატურგი გიორგი შარვაშიძე; ასევე მისი ბიძაშვილი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული შარვაშიძე, რომელიც ცოლად გაჰყვა რევოლუციური საქმიანობისთვის მსჯავრდებულ მიხეილ (მიშო) ყიფიანს. 1878 წლის ივნისის ბოლოს მათ ქუთაისის საპატიმროს ეკლესიაში დაინერეს ჯვარი. მალევე მიშო ყიფიანი ეტაპით გაგზავნეს ციმბირში. მას თან გაჰყვა თანამოაზრე და ერთგული მეუღლეც.

ფოტოები, რომლებზეც საქართველოს ისტორიის სამი ეტაპი - რუსეთის იმპერიის პერიოდი, დამოუკიდებელი საქართველო და საბჭოთა საქართველოა აღბეჭდილი, მომავალში ეროვნული ბიბლიოთეკის „ფოტომუზეუმის“ უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდება. მანამდე კი საკმაოდ შრომატევადი და საინტერესო გზაა გასავლელი. თითოეული ფოტო აღირიცხება, დალაგდება, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდება რესტავრაცია; დაიწყება კვლევა - დადგინდება ან დაზუსტდება ფოტოგრაფის ვინაობა, ფოტოს გადაღების ადგილი და თარიღი, ფოტოზე გამოსახული პიროვნებების ვინაობა ან მოვლენა, რომელიც ფოტობიექტივმა დააფიქსირა“.



საქართველოს ისტორია



გვანცა ბურდული

ისტორიის დოქტორი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი)

1918 წლის 26 მაისმა განსაზღვრა ქართველი ერის ბედი როგორც XX, ისე XXI საუკუნეში. მართალია, საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს საქართველო ისევ დაიპყრო, მაგრამ დამპყრობელი უძლური აღმოჩნდა ქართველი ერის მეხსიერებიდან ამოეშალა თავისუფლების არასრული სამი წელი დიდი გამარჯვებებითა და მწარე მარცხით. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა საფუძველი ჩაუყარა ახალ საქართველოს – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წწ.). დღევანდელი ქართველობა მადლიერი უნდა იყოს იმ ურთულეს ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკოსებისა, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და პარტიული კუთვნილების ადამიანებისა, რომელთაც შეძლეს ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ადგილი დაიმკვიდრა ქართულმა სახელმწიფომ.

სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შინაარსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები და დასანანი წარუმატებლობები გაპირობებული იყო XX საუკუნის დამდევის ქართული საზოგადოების განწყობილებით, ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათით, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა მისწრაფებებით.

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) კარდინალურად შეცვალა ვითარება მთელ მსო-

ფლიოში, მათ შორის რუსეთსა და საქართველოში. შესაბამისად შეიცვალა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, საერთოდ პოლიტიკურ ძალთა სამოქმედო გეგმებიც. პირველი მსოფლიო ომის გამო გართულებული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაართულა მეორე მოვლენამ – რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა რუსეთის იმპერია. უმთავრესი ამ ცვლილებაში ის იყო, რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელსაყრელი ვითარება შეექმნა თავისი პროგრამის რეალიზებისათვის.

რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატებმაც კი ვერ შეძლეს ვითარებაში გარკვევა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით ისარგებლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და კავკასიის სამეფისნაცვლოში დანიშნა ხელისუფლების სამხარეო ორგანო – **ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი)**, რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი.

ქართულ პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით 1917 წლის აპრილში შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი და მეორე **ინტერპარტიული კრებების** ჩატარება. ხოლო ამავე წლის აგვისტოში შეიქმნა **საქართველოს ინტერპარტიული საბჭო**. არც საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე და არც საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. ეს ძირითადად

განპირობებული იყო სოციალისტური ორიენტაციის ძალების (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების) პრორუსული ორიენტაციით. თუმცა დამკვიდრებული თვალსაზრისის სანინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანებში არც ეროვნულ-დემოკრატებს წამოუყენებიათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. ყველაზე რადიკალური მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის შექმნა იყო. სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ის, რომ თავდაპირველად ძალზე პოპულარული იყო რუსეთის შემადგენლობაში არა საქართველოს ავტონომიური, არამედ ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის შექმნის იდეა.

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და რუსეთის კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. დროებითი მთავრობის სამართალმემკვიდრე - საბჭოთა რუსეთის მთავრობა იმთავითვე შეუდგა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნას. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მისი პოლიტიკური ლიდერები დაუპირისპირდებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის მებრძოლ ძალებს, მათ შორის ქართულ ეროვნულ მოძრაობას. რუსული ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ბუნების კარგად მცოდნე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების _ ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ევგენი გეგეჭკორისა და სხვათა ინიციატივით მოხდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება და 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირებას შეუდგა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანო _ **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანულ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურდათ წინ აღდგომოდნენ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას. ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას თუმცა

შესაძლებლად მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის არსებობა.



საქართველოს ეროვნული საბჭო

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) ინიციატივით მოწვეული **საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა**. ყრილობა 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. იმის გამო, რომ ყრილობაზე სოციალისტური ორიენტაციის ძალები სჭარბობდნენ ეროვნულ ძალებს, ყრილობამ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პრორუსულ ორიენტაციაზე იყო საუბარი იგულისხმებოდა არა საბჭოთა, ბოლშევიკური რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი. ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ თუ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება არ დაემხობოდა და დემოკრატიული წყობილება არ გაიმარჯვებდა, მაშინ უნდა მოწვეულიყო საქართველოს დამფუძნებელი კრება. ყრილობის დოკუმენტებში არ ჩანერილა, მაგრამ სავსებით ცხადი იყო, რომ დამფუძნებელ კრებას უნდა დაკისრებოდა ერთადერთი მისია _ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ პრორუსული ორიენტაციის დადასტურება შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული: იმ ხანად ოსმალეთის (თურქეთის) არმიის შემოტევისაგან საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიას რუსეთის არმია იცავდა. პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატების ის ნაწილი, რომელნიც პრორუსულ ორიენტაციას უჭერდა მხარს



და საქართველოს დამფუძნებელი კრების მონვევის იდეის რეკლამირებას არ ახდენდა, ამტკიცებდა, რომ ანტირუსული ლოზუნგებით შეიძლებოდა რუსეთის კავკასიის არმიაში მღელვარების გამოწვევა. ამის საბაბი ნამდვილად იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფად აღიქვა, არმიის სარდლობა იმუქრებოდა, რომ ფრონტის ხაზს მიატოვებდა და არმიას რუსეთში დააბრუნებდა. თბილისიდან სპეციალურად გაგზავნილმა პოლიტიკოსებმა შეძლეს რუსი გენერლების დარწმუნება, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა და ემიჯნებოდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მთავრობას და არა მომავალ დემოკრატიულ რუსეთს. პირველ ეროვნულ ყრილობაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის ღიად და ფართოდ რეკლამირება ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობამ საშიშად მიიჩნია. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წამოყენების შემთხვევაში რუსეთის არმია ან ფრონტის ხაზს მიატოვებდა და საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, რაც გზას გაუხსნიდა ოსმალეთს საქართველოს ოკუპაციისათვის ან რუსეთის არმია თვითონ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. რუსეთის არმიის კეთილგანწყობის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. მართალია ამ დროისათვის რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობა არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, მაგრამ არავინ არ იცოდა, რა პოზიციაზე დადგებოდა არმია მომავალში. სწორედ ამ რეალურ საფრთხეს გაუწიეს ეროვნულ-დემოკრატებმა ანგარიში, როცა მათთვის არასასურველ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირეს მხარი.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას გახდა. გარდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნენ უკვე იმხანად და მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები: დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა მიქელაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი.

საქართველოს მომავალი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთსა და მსოფლიოში. სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის პირობებში

ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს ჯეროვან დახმარებას ვერ უწევდნენ. ეს აშკარად გამოჩნდა 1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ) დიპლომატთა და სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტის დროს. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეხვედრისას ევროპელმა დიპლომატებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარს ვერ დაუჭერდნენ, ხოლო ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში ქართველებს ვერც შეიარაღებით და ვერც ფულით ვერ დაეხმარებოდნენ.

საბჭოთა რუსეთმა მალე გამოაჩინა ნამდვილი სახე. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად რუსეთის კავკასიის არმია გაიხრწნა და უმართავ ძალად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა სწორედ ამ სამხედრო ძალით მოეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზი მიატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახლად შექმნილმა ქართულმა რეგულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება. რუსები იძულებული გახდნენ თბილისის ოკუპაციაზე ხელი აეღოთ და ბაქოსაკენ დაიხიეს. რუსეთის ვერაგული გეგმები საქართველოს მიმართ მალე სხვა მხრივაც გახდა საცნაური. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიის იმპერიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) დადო სეპარატიული ზავი. ზავის პირობების თანახმად რუსეთის არმიას უპირობოდ უნდა დაეტოვებინა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია (ანატოლია). რაც შეეხება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილს (იმჟამინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმის, ყარსის და არტაანის ოკრუგებს), რომელიც 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, რუსეთის არმია ასევე ტოვებდა. ამ ოკრუგების მოსახლეობას, ოსმალეთთან და რუსეთთან შეთანხმებით, თავად უნდა გაერკვია საკითხი თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება. ზავის პირობებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ხსენებული ოკრუგების თვითგამორკვევის პროცესში უპირატესობა ოსმალეთს ენიჭებოდა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ სცნო. იგი ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგებზე იურისდიქციის დათმობას არ აპირებდა. ოსმალეთს ომის გარეშე უნდოდა აღნიშნული ტერიტორიების ხელში ჩაგდება. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში დაიწყო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პრაქტიკულად ოსმალეთი მოლაპარაკების გამართვას არც აპირებდა. ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ის რუსეთის ნაწილია და რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება უნდა სცნოსო. ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაციას მოსთხოვეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უპირობოდ ცნობა. ვითარება დაიძაბა. ამ დროისათვის უკვე თბილისში შეკრებილი იყო ამიერკავკასიის პარლამენტი – სეიმი, რომლის თავმჯდომარედაც კარლო ჩხეიძე იქნა არჩეული. ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთთან მოლაპარაკების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ამის საპასუხოდ ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა და 1918 წლის 1 აპრილს ბათუმი დაიკავა. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ოკუპაციაც მოახდინეს. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამის შემდეგ ოსმალეთს ვედარ უნდა წამოეყენებინა ის არგუმენტი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა ბათუმში, რომელიც იმხანად უკვე ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ბათუმში პრაქტიკულად დელეგაციათა დონეზე ერთადერთი შეხვედრა გაიმართა 1918 წლის 11 მაისს. შემდგომ დღეებში მიმდინარეობდა კერძო შეხვედრები. ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციის შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი გენერალი ოტო ფონ ლოსოვი. ოსმალებმა ამჯერად ახალი პრეტენზია წამოაყენეს: მართალია ამჟამად ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების მომენტში იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო, ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაციას არა აქვს უფლება მოითხოვოს ხელ-

შეკრულების პირობების შეცვლა. უფრო მეტიც, ოსმალებმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს. ოსმალეთის დელეგაცია ითხოვდა ომის შემთხვევაში ჯარების გადასაყვანად ამიერკავკასიის რკინიგზის თავისუფლად გამოყენების უფლებას. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოსმალეთის არმია მდინარე ჩოლოქთან იდგა. ოკუპირებული იყო მთელი სამხრეთ საქართველო ბორჯომამდე. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერებისათვის აუცილებელი სამხედრო ძალა ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს არ გააჩნდათ, უფრო მეტიც, აზერბაიჯანი ოსმალეთს აგრესორად არც განიხილავდა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე გაიქცა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შინაგანი წინააღმდეგობა ღრნიდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქართველები გერმანოფილურ, სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილურ ორიენტაციას აღიარებდნენ. გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისაგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ მათ უნდა გამოეცხადებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. გენერალი ოტო ფონ ლოსოვი ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე.



ოტო ჰერმან ფონ ლოსოვი



აკაკი ჩხენკელმა 1918 წლის 12 მაისით დათარღებულ ბათუმიდან გამოგზავნილ ორ წერილში საქართველოს ეროვნულ საბჭოს შექმნილი ვითარების თაობაზე მოახსენა. იგი ეროვნულ საბჭოს აფრთხილებდა: საქართველოსათვის ოსმალეთთან ომის წარმოება დამღუპველი იყო. ამასთან ერთად აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს სთავაზობდა გერმანოფილური საგარეო - პოლიტიკური კურსის აღიარებას. თბილისში თითქმის ყოველ დღე იმართებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. 1918 წლის 14 მაისის სხდომამ გაანალიზა შექმნილი ვითარება და ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაუგზავნა შემდეგი მითითებები: 1) ეცნობოს ბათუმის საზაო მოლაპარაკებაზე გერმანიის იმპერიის წარმომადგენელს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რომ ეროვნული საბჭოს თხოვნაა გერმანიამ ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს; 2) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს რათა სათანადო ღონისძიებანი გაატაროს ჩრდილო კავკასიაში გერმანიის ჯარების წინსვლის დასაჩქარებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გერმანიის ჯარებთან კავშირის დამყარება; 3) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების საქართველოში ორგანიზებულად დაბრუნებას; 4) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს ვიდრე გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეების დაბრუნების საქმე მოგვარდებოდეს, მოხდეს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეების სამხედრო რაზმად ორგანიზება გერმანელი ოფიცრის მეთაურობით, რათა საჭიროების შემთხვევაში გერმანელთა სამხედრო ძალა გამოყენებული იქნას საქართველოში შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.


მოგვიანებით გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შედგენილი რაზმი გერმანელი ოფიცრის მეთაურობით გადაყვანილი იქნა გურიის ტერიტორიაზე, სადგურ ნატანებთან, ხოლო შემდეგ მდინარე ჩოლოქის ნაპირას. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე მდგარმა ოსმალეთის არმიის ნაწილებმა ვერ გაბედეს გერმანიის იმპერიის არმიის ფორმაში გამონყობილი გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შექმნილი სამხედრო დანაყოფის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის დაწყება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გერმანოფილური ორიენტაციის აღიარება შექმნილ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გამოსავალი იყო. ოსმალეთი გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა, ამიტომ მას ანგარიში უნდა გაენიჭებინათ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი ასევე გარკვეული საფუძველი გააჩნდა. გერმანიას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები არ გააჩნდა. მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციის მოპოვებისათვის საქართველო გერმანიისათვის წარმოადგენდა პლაცდარმს.

1918 წლის მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს არწმუნებდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალური იყო. აკაკი ჩხენკელი დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ ხსნის ერთადერთი გზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. ბათუმში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. ოსმალეთის დელეგაცია კომპრომისზე არ მიდიოდა, კომპრომისზე არ მიდიოდა არც ამიერკავკასიის დელეგაცია. აკაკი ჩხენკელს რამდენიმე კერძო შეხვედრა ჰქონდა გენერალ ოტო ფონ ლოსოვთან. გენერალმა დაადასტურა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში იგი შუამდგომლობას აღძრავდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეკისრა საქართველოს დაცვა. 1918 წლის მაისის შუა ხანებისათვის ასეთი ვითარება იყო შექმნილი: სომხეთის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ასევე ოსმალეთის ჯარებს ეკავა, აზერბაიჯანი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად არ განიხილებოდა.

ოსმალეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ თუ საქართველო გერმანიის გარანტიით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გამოაცხადებდა, მაშინ საქართველოს ოკუპაცია ოსმალეთისათვის გერმანიასთან ურთიერთობის გაფუჭებას ნიშნავდა. ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება ოსმალეთს ხელს არ აძლევდა. ამიტომ არსებობდა საფრთხე, რომ ოსმალეთს საქართველო მანამდე

დაეპყრო სანამ იგი გერმანიის გარანტიით დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ამ საფრთხის თაობაზე აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა.




საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ზოგიერთი პოლიტიკოსი ვითარებაში ვერ გაერკვა და საკმაოდ გულბრყვილო კითხვა დასვა: რა მნიშვნელობა აქვს ოსმალეთი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაგვიპყრობს, თუ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ? ამაზე აკაკი ჩხენკელი თავის წერილში პასუხობდა: თუ ოსმალეთმა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიპყრო, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ის დაიპყრობს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს; დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობა განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დაპყრობა და ამდენად საქართველოს ექნება სამართლებრივი საფუძველი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

თბილისში ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა) მდებარეობდა, დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. შექმნილი ვითარების შეფასების მიზნით დაი-

ნიშნა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც 25 მაისს, ღამის 11 საათზე გაიხსნა. ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც იგი თხოულობდა საქართველოს დამოუკიდებ-



გერმანელი სამხედროები საქართველოში

ლობის გამოცხადების დაჩქარებას. შემდეგ ნოე ჟორდანიამ განმარტა, რომ 25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას. სომხების და აზერბაიჯანელების მოთხოვნით სხდომა გადაიდო 26 მაისის დღის 12 საათისათვის. ნოე ჟორდანიამ შემოიტანა შემდეგი წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რამდენიმე წევრმა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყოვნებლივ _ 25 მაისს. ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია. თავისი მოსაზრება მან ასე დაასაბუთა: სანამ არ დაშლილა ამიერკავკასიის ფედერაცია შეუძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან მოხდება ისე, რომ ერთი და იგივე ტერიტორიაზე იმოქმედებს ორი მთავრობა. ბოლოს გაიმართა კენჭისყრა. კენჭი ეყარა საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“. დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ, 25 მაისს, გამოცხადებას ხმა მისცა 6 წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას _ 4 წევრმა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხა-

დება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. ამის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისთავად გადაიდო 26 მაისისათვის. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება დაევალა ნოე ჟორდანიას. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განსაზღვრა სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა.

1918 წლის 26 მაისს რუსთაველის (გოლოვინის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, სადაც სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომას

ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი. საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია. სიტყვის დამთავრების შემდეგ მან წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, დაამტკიცა „**საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი**“. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „**ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა**“. დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის შემადგენლობა, რომელიც უცვლელად დამტკიცდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა დასრულდა ნაშუადღევის 5 საათზე და 55 წუთზე. სხდომის დასრულების შემდეგ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს _ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა



ნოე ჟორდანია
მთავრობის
თავმჯდომარე




ნოე რამიშვილი
შინაგან საქმეთა
მინისტრი



აკაკი ჩხენკელი
საგარეო საქმეთა
მინისტრი



გიორგი გიორგაძე
სამხედრო
მინისტრი



გიორგი გურული
ფინანსთა და ვაჭრობა-
მრეწველობის მინისტრი



გიორგი ლასხიშვილი
სახალხო განათლების
მინისტრი



ნოე ხომერიკი
მინათმოქმედებისა და
შრომის მინისტრი



მალვა მესხიშვილი
იუსტიციის
მინისტრი



ივანე ლორთქიფანიძე
გზათა
მინისტრი

ხელოვნება



დავით გიგინია

მედიცინის დოქტორი

ამ რამდენიმე დღის წინ მომინია ამერიკელი რეჟისორის, მერვინ ლეროის (Merwin LeRoy) ფილმის „ისინი არ დაივინებენ“ (They Won't Forget (1937) ნახვა. კინოს მოყვარულს არ უნდა გაუკვირდეს, რომ ამჟამინდელი ჰოლივუდის უმეტეს წილად უსახო და უფრო მეტად ეფექტებზე დაფუძნებული ფილმების ფონზე კინომოყვარული წარსულს რომ დაუბრუნდეს, იმდროინდელს, როდესაც კინოფილმი სოციალური დისკუსიისა და მსჯელობის ხერხად ითვლებოდა, როდესაც კინორეჟისორები არ ერიდებოდნენ დიდ ეკრანზე საკუთარი ფიქრებისა და განცდების გადმოცემას.

ფილმის სცენარი, დაწერილი რობერტ როსენისა და ეიბენ კანდელის მიერ, ეფუძნება უორდ გრინის რომანს „სიკვდილი ღრმა სამხრეთში“, რაც თავად 1913 წელს რეალურ სასამართლო პროცესის შემდეგ ნიუ-იორკელი ლეო ფრანკის ლინჩით გასამართლების ამბავს ეყრდნობა, რომელიც დამნაშავედ ცნეს ატლანტაში გოგონას - მერი ფაგანის მკვლელობაში.

ფილმში კი სიუჟეტური ხაზი გვიყვება სამხრეთის შტატში ჩრდილოეთიდან ჩამოსული მასწავლებლის, რობერტ ჰეილის ტრაგიკულ ბედზე, რომელიც მოულოდნელად, კონფედერატთა ხსოვნის დღეს, სკოლაში ტრაგიკულად დაღუპული მოსწავლის, მერი კლეის (მსახიობი ლანა ტერნერის სადებიუტო როლი) მკვლელობაში მთავარ დამნაშავედ მიიჩნევენ. ყველაფერი უცნაურად დატრიალდება რობერტ ჰეილის (მსახიობი ედვარდ

ფილმი, რომელიც დღევანდელობას ეხმაურება

ნორისი) ირგვლივ. იგი იმ დროს იმყოფებოდა სკოლაში, როდესაც მერი მოკლეს. სკოლის დირექტორს ახალგაზრდა ჩრდილოეთელი გულზე არ ეხატებოდა მისი ფართო სოცმხედველობის გამო, ოლქის პროკურორი - ენდი გრიფინი (რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებს კლოდ რეინსი) ზუსტად ამ შემთხვევას გამოიყენებს საკუთარი პოლიტიკური კარიერის წარმართვისათვის, ადგილობრივი ჟურნალისტი უილიამ ბროკი (მსახიობი ეილინ ჯოსლინი) კი გაზეთის რეპუტაციის ასამაღლებლად შეუერთდება გრიფინის გეგმებს და ქმნის საზოგადოების უარყოფითი განწყობილებას ახალგაზრდა მასწავლებლის წინააღმდეგ.

როგორც ფილმიდან ვიგებთ, მკვლელობის საქმეს მხოლოდ სამი ეჭვმიტანილი ჰყავს - სკოლის შავკანიანი დარაჯი ტამპ რედვანი, სკოლის მასწავლებელი რობერტ ჰეილი და მერი კლეის თაყვანისცემელი ახალგაზრდა, ჯოე ტორნერი, რომელიც მასთან შესახვედრად სკოლაში მიდის. მაგრამ ამ ადამიანების წინააღმდეგ გამოძიებას არანაირი დასაბუთებული მტკიცებულება არ გააჩნია, თუმცა სამხრეთული შტატის ამ პატარა ქალაქის მცხოვრებთ სხვა მოსაზრებები აქვთ: რობერტ ჰეილი ხომ აუტანელი იანკია, რომელმაც არ იცის სამხრეთული ტრადიციები და შესაბამისად არ ცემს პატივს მათ. არც ის სიამოვნებით, რომ მერი კლეის (როგორც სხვა მრავალ გოგონა მოსწავლეს) მოსწონდა თავისი პედაგოგი, რამაც რობერტ ჰეილს ბევრი მოშურნეც გაუჩინა. რატომ აპირებდა იგი ქალაქიდან წასვლას (გაქცევას) ჩიკაგოში სხვა სამსახურის საძებნელად? და ბოლოს, რაც მთავარია, მის მოსასხამზე ხომ აღმოჩნდა გაუგებარი ლაქა, რომელიც სისხლს ჰკავს. განა ეს საკმარისი არაა, რომ ადამიანი შერაცხო მკვლევლად და მთელი საზოგადოება მის წინააღმდეგ განაწყობს?! ყოველივე ამას კარგად იყენებს ოლქის პროკურორი, რომელსაც განტევების ვაცი სჭირდება ეფექტური სასამართლო განაჩენისა და

საზოგადოების სიმპატიების მოსაპოვებლად. მხოლოდ ასე უსამართლო სამართლით და ბრალდებულის უფლებების უგულვებლყოფით „გამარჯვებული“ შეძლებს იგი სენატორის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წაყენებას.

მერვინ ლე როი დეტალურად აჩვენებს, თუ როგორ ფორმირდება მცდარი და მტრული საზოგადოებრივი აზრი რობერტ ჰეილის მიმართ. პარალელურად ხდება შავკანიანი დარაჯის დაშინება, რათა მან „მეტი“ თქვას ჰეილის საწინააღმდეგოდ. ასევე აქვებენ ჯოე ტორნერს, რათა მასში მასწავლებლის წინააღმდეგ მეტოქეობის გრძნობა და აგრესია განვითარდეს. მოკლული გოგონას ძმებიც, ბნელ ინსტიქტებსა და იმ კუთხეში დამკვიდრებულ კლიშეებს აყოლილნი, მზად არიან შური იძიონ, აქვებენ ადგილობრივებს „ჩამოსული“ და „უცხო“ ჰეილის წინააღმდეგ. საქმე თავისი მასშტაბებით ქალაქის საზღვრებს სცდება. და ჰეილის დასახმარებლად ჯერ დეტექტივი პინდარი და მერე ცნობილი ადვოკატი გლისონი ჩამოდიან. მაგრამ ამ ანტი-ჰეილის საზოგადოებრივი კამპანიით ზომბირებული მსაჯულთა ჯგუფი, რომელმაც უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, ვერ გამოვა პროვინციული და ვინრო აზროვნების ჩარჩოებიდან და ბრალდებულს სიკვდილს მიუსჯიან! ჰეილის დედა და მისი მეუღლე სიბილი ამ მოვლენის მხოლოდ ტრაგიკული მოწმეები ხდებიან. არც უზენაესი სასამართლო გადახედავს ამ საქმეს და მხოლოდ შტატის გუბერნატორს, მაუნტფორდს ეყოფა გამბედაობა - იგი უმაღლეს სასჯელს სამუდამო პატიმრობით შეუცვლის ბრალდებულს, რასაც შეეწირება კიდევაც გუბერნატორის კარიერა. მაგრამ გაავეებული ბრბო (მერი კლეის ძმების ხელმძღვანელობით) გააჩერებს მატარებელს, რომლითაც ჰეილი მიჰყავთ სამუდამო პატიმრისათვის განკუთვნილ რეგიონში



და ლინჩის კანონით გაასამართლებენ მას. ძალზე სიმბოლურია ფილმის უკანასკნელი კადრები: ჰეილის მეუღლე, სიბილი (მსახიობი გლორია დიქსონი) მიდის პროკურორ გრიფინთან (იქვე ჟურნალისტი უილიამ ბროკიც იმყოფება), რათა უკან დაუბრუნოს თავის მშობლიურ კუთხეში გასამგზავრებელი თანხის ქვითარი (ვითომ მოლწყალება) და გამწარებული ქალი თან მიახლის, რომ რეალური მკვლევები სწორედ ისინი არიან და მათ სინდისზეა უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი, რომ ხელის მოთბობისა და საკუთარი კეთილდღეობისთვის მათ გამოიწვიეს სენსაცია და განიერეს ადამიანი!

ნიშანდობლივია, რომ მერვინ ლე როის ეს შთამბეჭდავი დრამა, სადაც სააშკარაოზე გამოტანილია საზოგადოების მანიპულაციის მექანიზმი ბოროტების დასათესად, ჩვენშიდაც „კარგად“ მუშაობს. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იოლად შეიძლება მაშინაც კი, როდესაც სარწმუნო ფაქტები ამ აზრის ჩამოყალიბებისათვის არ არსებობს. სიკეთისა და სიყვარულის გაღვივება მეტად ძნელია,

იოლია ადამიანებში შური, სიძულვილი და დაუნდობლობა გამოიწვიო იმის მიმართაც კი, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად მხოლოდ სიკეთე და ქველმოქმედება დაუსახავს და ქვეყნისთვის დიდი სარგებლობაც მოუტანია. სამწუხაროდ, წარმატებული, მდიდარი, მოწესრიგებული და ქვიანი ადამიანის ატანა თურმე საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის არ არის ადვილი...

მერვინ ლე როის ამ დრამატულმა ფილმმა კიდევ ერთხელ დამანახა და დამარწმუნა, რომ „ხალხის მსახურის“ კარიერით შენიღბული პოლიტიკოსის ხელში იოლად მართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრი, რომელსაც ბრბო „საკუთარ აზრად“ ასაღებს ბევრად დიდი ბოროტებაა...!

მოგონება



ლეილა ზამბახიძე

2021 წლის 22 აპრილს 93 წლის ასაკში აღესრულა ჩვენი საყვარელი კოლეგა, ქალბატონი ლეილა ზამბახიძე. ამბობენ, როცა ღრმად მოხუცებული ადამიანი კვდება, მასთან ერთად მთელი ბიბლიოთეკაც ნადგურდება. ქალბატონი ლეილა ზამბახიძე, მართლაც, ცოცხალი ბიბლიოთეკა იყო. ბრწყინვალე მეხსიერების, განათლების და ნიჭიერების ადამიანს შემთხვევით არ აურჩევია ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარობა. ეს მისი შეგნებული და გაცნობიერებული არჩევანი იყო, რასაც ხშირად აღნიშნავდა ხოლმე ჩვენთან საუბარში. ქალბატონი ლეილა 1953 წელს მოვიდა ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. ის ჯერ ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მუშაობდა, იყო ბიბლიოთეკათაშორის აბონემენტის განყოფილების უფროსი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში, ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დირექტორი, ხოლო ბოლო წლებში ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მდივნის თანამდებობა ეკავა.

დღეს ადამიანები განებივრებულები ვართ თანამედროვე საძიებო სისტემებით, რაც ძალიან

ლეილა ზამბახიძის ხსოვნას (1928-2021)

მოსახერხებელს ხდის ინფორმაციის მოძიებასა და სამეცნიერო კვლევას, მაგრამ სანამ ინტერნეტი და „გუგლი“ ჩვენს ცხოვრებას გააიოლებდა, ბიბლიოთეკარის სამუშაო ტრადიციულ კატალოგებსა და ბიბლიოთეკარის მეხსიერებაზე იყო მინდობილი. სწორედ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ბიბლიოგრაფიის შესანიშნავ ცოდნას ფლობდა ქალბატონი ლეილა ზამბახიძე. ეს ცოდნა მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

მოხუცებულობის ასაკის ობიექტურად ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს. ასაკის განცდა მაინც სუბიექტური კატეგორიაა. დამერწმუნებით, არაერთხელ გადავყრილვართ 20 წლის „ბებერს“ და 100 წელს მიღწეულ „ახალგაზრდასაც“ და ყველამ ვიცით, რაშია ახალგაზრდობის საიდუმლო: სიახლისაკენ ლტოლვა, თანამედროვეობის მიღება, ახალგაზრდების სიყვარული და არა მათი ზღვარსგადასული კრიტიკა, მაღალი ემოციური ინტელექტი. ყველაფერი ეს უხვად ჰქონდა მომადლებული ჩვენს ძვირფას კოლეგას, ყველასთვის საყვარელ და პატივსაცემ ლეილა ზამბახიძეს.

ლეილა ზამბახიძე თავისი თაობის საუკეთესო თვისებების მატარებელი ადამიანი იყო. ჩვენ, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ძალიან გვიჭირს მის გარეშე, მაგრამ მისი ხსოვნა და მისადმი გულწრფელი სიყვარული გვამხნევენ, ხოლო მისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე ცხოვრება სანიმუშოდ გვესახება.

ეზნარ ჭყერენია

ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი

ეკვილიბრიუმი

20 თებერვალი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ ხაშურში, სოფელ ქემფერში ბავშვებს ახალი წიგნები ჩაუტანა.



13 მარტი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა სოფელ მექვენაში, რიონის ხეობის მცველს, მაკა სულაძეს ესტუმრნენ და იმ სახლში, რომელიც ხუთი წლის წინ ხანძარმა იმსხვერპლა და მაკამ ალადგინა საკუთარი ძალებით, პატარა ბიბლიოთეკა მოუწყვეს.



4 აპრილი

წიგნის ჩუქების თვესთან დაკავშირებით, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, ანაგრამასა და ბიბლუსის წარმომადგენლებთან ერთად, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ დიცში ელენე ბოლათაევა-მინდიაშვილსა და პატარა ელენე მინდიაშვილს ესტუმრა და ბიბლიოთეკა მოუწყო.



5 აპრილი

„ეკვილიბრიუმმა“ დმანისელი პატარები გაახარა და წიგნები ჩაუტანა საჩუქრად, მათ კი პლასტელინით გამოძერწილი კეპიანი კაცუნები დაახვედრეს გიორგი კეკელიძეს.

12 აპრილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, კომპანია „გალფმა“, ორგანიზაცია „შემოქმედმა“ და მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის მიხედვით, მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის რეალური საჭიროება აქვთ, მოეწყობა ბიბლიოთეკა, სადაც მათ ექნებათ კომპიუტერი და ინტერნეტი.

18 აპრილი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ეწვია გლდანის მოხუცთა თავშესაფრის მაცხოვრებლებს და საჩუქრად წიგნები მიუტანა.

18 აპრილი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ სოფელ ილტობას პატარებს წიგნები გადასცა საჩუქრად.

20 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკისა და მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ წარმომადგენლებმა N195 სკოლას ორასამდე წიგნი, მათ შორის, სკოლის პროფილის გათვალისწინებით, გერმანული გამოცემები გადასცეს.

22 აპრილი

კამპანია #აჩუქენიგნის ფარგლებში მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ N28 პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკას წიგნები გადასცა საჩუქრად.

25 აპრილი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ესტუმრა სიმონაანთხევში პოეტ ტარიელ ხარხელაურს და მისთვის და სოფლის ბიბლიოთეკისთვის წიგნები გადასცა საჩუქრად.



27 აპრილი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ პატარა ბიბლიოთეკა მოუწყო ბრწყინვალე მოქართულესა და წიგნების შესანიშნავ მკითხველს - თათია ჩუგიანოვს, ძველი ქანდიდან.

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ გარდაბანში, სოფელ ვახტანგისს ესტუმრა და აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის ქართული ბიბლიოთეკა მოაწყო.

3 მაისი

„მარტოკაცების ბიბლიოთეკის“ ფორმატში ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ ხორხის ხეობაში მცხოვრებ 87 წლის მარტოხელა მოხუცს - მენყინა ქავთარაძეს ბიბლიოთეკა მოუწყო.



4 მაისი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ ქარელში, მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებს ახალი წიგნები გადასცა საჩუქრად.



9 მაისი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემოჭალაში ოკუპირებულ ცხინვალში დატყვევებული ზაზა გახელაძის ოჯახს ესტუმრა. ზაზა გახელაძის შვილებს, 11 წლის ანანოსა და 9 წლის მარიამს დათა პაპას სახელობის სტიპენდია დაენიშნათ.



12 მაისი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“, პარტნიორ ორგანიზაცია „პსპ აფთიქთან“ ერთად, თეთრიწყაროს ახალგაზრდულ ცენტრში საჩუქრად ჩაიტანა წიგნები.



21 მაისი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ და ბერი ანდრიას ფონდი შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე, რაც სხვა აქტივობებთან ერთად, ფონდის ახალი წიგნებით მომარაგებასაც გულისხმობს.



22 მაისი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ და კომპანია „გალფი“ ესტუმრნენ ქვემო ბოდბეში მცხოვრებ ათშვილიან ოჯახს და საჩუქრად ტექნიკა და ახალი წიგნები უსახსოვრეს.



24 მაისი


მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ მოხალისე ნათია ქარდავასთან ერთად ეწვია მარტყოფში მდებარე შშმ პირთა პანსიონს, სადაც ილუსტრირებული წიგნები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა ჩაიტანეს.

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება: მოვლენები, ფაქტები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქრონიკა

16 იანვარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და „მთის ამბების“ (დამოუკიდებელი საინფორმაციო ონლაინგამოცემა) ერთობლივ პროექტით დაიწყო საქართველოს სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ მართო, უოჯახდ და უმეზობლოდ დარჩენილი ადამიანებისთვის პირადი ბიბლიოთეკების მოწყობა. ამ პროექტის ფარგლებში ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ლენტეხის რაიონის სოფელ ბავარში მცხოვრებ კორნელი გაზდელიანს წიგნები ჩაუტანა.



24 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI-ს) და შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ხელშეწყობით, ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის მარო მაყაშვილის სახელობის ბაღში გაიხსნა გამოფენა - „100 წელი ოკუპაციიდან“. გამოფენის მიზანი იყო, თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანებისა და ეროვნული სულისკვეთების წარმოჩენა, ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეისათვის მსხვერპლად შეწირული ადამიანებისათვის პატივის მიცემა.



26 თებერვალი

26 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა და IDFI-ის ხელმძღვანელმა გიორგი კლდიაშვილმა ეროვნული ბიბლიოთეკის ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის კორპუსის ფასადზე ოკუპაციის 100 წლისადმი მიძღვნილი გრაფიტი „ყაყაჩოები ჭაჭვით“ გახსნეს. ნახატის ავტორია ლია უკლება. გრაფიტი IDFI-ს და ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს Sida-ს ხელშეწყობით შეიქმნა.



27 თებერვალი

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორს, ლევან თაქთაქიშვილს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის ღირსების ორდენი გადასცა. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ლევან თაქთაქიშვილს ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის.

30 მარტი

29-31 მარტს ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში ქალთა ისტორიის თვე აღინიშნა. ეს პროექტი მომზადდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ძალისხმევით. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ პროექტის ფარგლებში, „სილქნეტისა“ და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის პარტნიორობით, „თანასწორობის კუთხეები“ გახსნა გურიის ამ მუნიციპალიტეტების სკოლებში. მან ასევე გამართა საჯარო ლექციები, სადაც გენდერული თანასწორობის იდეისა და მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა.



2 აპრილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზს, რომელიც თავის დროზე ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის აქტიური მონაწილეობით გაიხსნა, 2 აპრილს ანზორ ერქომაიშვილის სახელი ეწოდა.

5 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკის მარო მაცაშვილის სახელობის ბაღში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ხმა ქართველი ქალისა“. გამოფენა 1917 წლის 5 აპრილს კატო მიქელაძის რედაქტორობით გამოცემული პირველი ფემინისტური გაზეთის, „ხმა ქართველი ქალისა“, 104 წლის იუბილეს მიეძღვნა. გამოფენაზე სიტყვით გამოვიდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, გამოფენის ავტორი სალომე ჭანტურიძე და სხვები. გამოფენასთან ერთად გაიმართა წიგნის - „ქალები გასული საუკუნიდან 1918-1921 წწ“ - პრეზენტაცია.




28 აპრილი

ქართული შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით (30 აპრილი) ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი და ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ქუთაისში საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეით ბრიგადას ესტუმრნენ. განახლებული ბიბლიოთეკის მოსაწყობად სამასზე მეტი საჭირო წიგნი ჩაიტანეს, დაგეგმეს სამომავლო თანამშრომლობა. მალე ეროვნული ბიბლიოთეკა ჩვენს ჯარისკაცებს რეგულარულად უმასპინძლებს როგორც თბილისში, ისე ქუთაისის ახლად გარემონტებულ შენობაში. მოეწყობა სპეციალური გამოფენები და საგანმანათლებლო შეხვედრები.



21 მაისი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო პროექტ „დიდგორელის“ ერთ-ერთი მხარდამჭერია. 21 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები მარნეულში პროექტის დასკვნით ეტაპს დაესწრნენ და გამარჯვებულებს საჩუქრები გადასცეს. „დიდგორელი“ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია - სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებს შორის ტარდება კონკურსი საქართველოს ისტორიის ცოდნაში. რაოდენ სასიხარულოა, რომ საკუთარი სამშობლოს წარსული ამდენმა შესანიშნავმა ახალგაზრდამ იცის და კიდევ იღრმავებს ცოდნას. ჩვენ კვლავ აქტიურად გავაგრძელებთ ასეთი ეროვნული პროექტების თანადგომას“, - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა.



25 მაისი

25 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული, ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ფოტო და საარქივო მასალები. გამოფენას დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, კახა კუჭავა.



26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, თბილისის მუზეუმების გაერთიანებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პარტნიორობით, მოსწავლეებისთვის ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში თბილისს ესტუმრა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განსაკუთრებით დაზარალებული საზღვრისპირა სოფლების მე-10-12 კლასის 50 მოსწავლე. მოსწავლეებმა დაათვალიერეს დამოუკიდებლობის დარბაზი და სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 1028 დღე“.



27 მაისი

27 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას პოლონეთის პირველი ლედი - აგატა კორნჰაუსერ-დუდა და პოლონეთის კულტურის მინისტრი - პიოტრ გლინსკი ესტუმრნენ. სტუმრებმა დაათვალიერეს ეროვნული ბიბლიოთეკის ჰენრიხ ჰრინიევსკის სახელობის დარბაზი. ამ პოლონელი მხატვრის მიერ შესრულებული დარბაზის ქერის მოხატულობა სამი წლის წინ პოლონეთის მთავრობის მხარდაჭერით აღდგა. სტუმრები ასევე გაეცნენ ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ პოლონურ იშვიათ გამოცემებს. მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის გეგმებზეც ისაუბრეს.



სურამის ბიბლიოთეკა - 125



ელენე ავდიშვილი
სამსახურ ბიბლიოთეკის
ბავშვ 1948 - 1972 წწ



ნანული ხაჭავაძიძე
საბავშვო ბიბლიოთეკის
ბავშვ 1969 - 2006 წწ



ბიბლიოთეკის დონისძიებაზე 1988 წ.



№ 3207. Закарпатська залізниця біля дороги